





ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * სექტემბერი, 2009 N54 * ასავალ-დასავალის პარტნიორობით

აგრემც ვალმოხდილ ნაჯაფარ
ბებერ ქედს ვენაცვალები,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს
ჯიღა, საცერა თვალები!
წარმართმა გხატე კლდეებზე,
ათას მისნური ქარაგმით
და ხარი ღმერთად გიწამე,
გწირე და გწირე ზვარაკი.
შენ გთხოვდა კაცის შენახვას
უფალი ღმერთი იესო
და შენაც ერჩოლებოდი
შიმშილს და სიღარიბესო.
ურმულით, გუთნისდედურით
სულს ლევდნენ მამა-პაპანი
და მათთან ერთად შენც სწიე
ქართლის ცხოვრების ჭაპანი.
აშენე ციხე-ქალაქი,
ააგე ბევრი საყდარი,
რომ ქართველს აბჯარგაუხდელს
მტერი ჰყოლოდა წამხდარი.
სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები,
ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,
გუთნის ტარი და ხმლის ტარი
საჭეა ქართლის ცხოვრების.
ცხადში ხომ მყავდი მეგობრად,
შემშველებიხარ ზღაპარშიც,
ოფლში და პაპანებაში
ერთად ვართ გამონახარში.
ფეხზე მაცმევდი ქალამანს,
ყანწს მომაწვდიდი ნადიმში,
დაგკლავდით დიდზამთრობისას,
მამღრად გვყოლოდა ბადიში.
მეობა იყო - გლეხკაცი
ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრეობა იყო - ვაიმე,
ისევ შენ გამოგიმეტეთ.
ქორწილი იყო... ვაიმე,
მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი
და ყელი გამოგაღადრეთ.
ცხედარიც მიპატიოსნე
აღაპ-ქელეხის წესებით,
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე
ტირილით ვწერე ლექსები.
გვიმრავლდეს საქართველოში
მიწის და მზის მოხარკედა
ხარივით მსმელი ვაჟკაცი -
ხარისთვალა და ხარქედა.
ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა
ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა-ხარივით გამწევი
მამულის გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი,
ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის
მეც შევძლო ხარისოდენი.

ჩვენ ქართველნი ვართ, მაშასადამე ქრისტიანნი, არაბ-თურქ-სელჩუკ-სპარსთა განსაცდელს გადარჩენილნი. ახლა დიდი სიხარულის დროა, იმ განსაცდელს რომ უნდა მოჰყვეს.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში იყო ისეთი პერიოდები, როდესაც საკუთარი ხელით ვანგრევდით ან საწყობებად ვიყენებდით ტაძრებს, უმოწყალო შევურაცხყოფდით სიწმინდეებს, ურალის მანქანით ვანგრევდით ეკლესიის კარიბჭეებს.

დიახ, ჩვენდა საბედნიეროდ ისტორიას ისიც ახსოვს, რომ კლდის წვერზე, მიუდგომ თუ თვალუწვდენელ ალაგას ვმართავდით ცხრაჯვარს; სამშობლოდან შორს, წმინდა მიწაზე ვაგებდით ჯვრის მონასტერს; საკუთარი ბეჭით ჩამოჰქონდა უზარმაზარი ლოდი თვით მეფე აღმაშენებელსაც, რომ მერე მშენებლებისათვის არ დაენებებინა და საკუთარი ხელითვე ჩაებეჭდა ჩუქურთმათა სიმაღლეებში; მკლავს ვჭრიდით დიდოსტატ არსუკიძეს, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ლამაზი გვინდოდა სვეტიცხოველი, უფრო მოხატული და „მოქნეული გავაზივითა". ერისკაცები მონასტრის უნახავად იხიბლებოდნენ რაღაც ზებუნებრივი ძალით, რომ შემდეგ ფურცელზე ეს სტრიქონები გადმოეტანათ:

„მაქვს მკერდს მიდებული,
ქნარი, როგორც მინდა,
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა".

ხედავთ?...
გესმით?...

ცით დაამშვენაო, ისე ლამაზიაო, ცა და მიწა კი არ დაამშვენაო ტაძრით, არამედ ტაძარი დაამშვენაო ცით.

ამას ხომ თქმა უნდოდა.

ჩვენი ცა ისე მშვიდია, ისე ლაჟვარდი, მისი მზე უზომოდ თბილია, რომ ვუმღერთ კიდეც: „მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდიო".

გიფიქრიათ, რომ მზე გარეთ ჩვენთვის გამოვიდა, ალბათ იმისათვის, რომ ქართული მზით აქაც გავმთბარიყავით.

ჩვენ ბედმა თუ უბედობამ წამოგვიყვანა ოკეანის გამოღმა და თან წამოვიღეთ უსაზღვრო სიყვარული ღვთისა და მამულისა; ნიჭი, უფლის მიერ ბოძებული ნიჭი, შემოქმედებისა, როგორც დასტური დიდოსტატ ქართველობისა.

ეს ნიჭი იწყება და მთავრდება ღვთის სიყვარულით.

ამერიკაში, ღვთის სიყვარული ქართველთათვის ყველაზე მეტად ნიუ-იორკის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში სუფევს. ეს ეკლესია დედა-ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. ქართულმა დიასპორამ დიდი რუდუნებით მოიტანა დღემდე ეს სამლოცველო. იგი გაგრძელებაა დიადი ქართული მადლისა, რომელიც დავანებულია სვეტიცხოველში, გელათში, ვარძიაში, ბეთანიაში... და უკვე სამებაშიც.

დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენი
გაზეთის მომავალ ნომერში, ცარიელად
დატოვებულ ამ ჩარჩოში უკვე შემენილი
ეკლესიის სურათი შემოგთავაზოთ
!

შესაძლებელია, ბევრი ჩვენგანი დაუბრუნდეს სამშობლოს პირნათელი, ბევრთათვის კიდევ არ იყოს შესაძლებელი შინ დაბრუნება, ან დროთა განმავლობაში სურვილიც გაქრეს ამისა,

თუმცა სისხლი,
სისხლი,
მაინც თავისას იზამს:
დავხატავთ,
გავაფერადებთ,
ავაშენებთ,
გავალამაზებთ...
ქართულ სულს შთავბერავთ,
შემოვინახავთ,
თაობებს გადავცემთ.

თუ ქართველს დავუკარგავთ სამშობლოს, ქრისტიანს მაინც შემოვუნახავთ საქრისტიანოს.

მოდით, წამით, მხოლოდ წამით დავხუჭოთ თვალები, ერთი ძმა კეჟერაძე რომ იტყოდა „მომავალში გადავარდეთ" და წარმოვიდგინოთ:

ნიუ-იორკი, თაიმს სკვერი, უზარმაზარი ტაბლოები, სხივთა თუ ფერთა თვალისმომჭრელი გამოთ და სულ რამოდენიმე კილომეტრში ქართული ტაძარი, რომელიც ყველაზე ლამაზი ზამთარში იქნება - დათოვლილი. და თუ ხელთათმან-კაშნეთი დამალულნი ეკლესიის გზას გავუყვებით და გზაში ზარების გუგუნიც შემოგვესმება, უცაბედად გავთბებით, თითქოს მშობელ დედას თბილ გულში ჩაუკრიხარ გათოშილი.

გავთბეთ!
შევიძინოთ ქართული ტაძარი ამერიკაში.

წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყიდულობს ახალ საეკლესიო შენობას ნიუ იორკში. ამ პროცესის სრულყოფილად დასასრულებლად დამატებით საჭირო შეიქნა 50 ათასი დოლარი. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში. შეგიძლიათ თანხა პირდაპირ გადმორიცხოთ ქვემოთ მოცემული ბანკის ანგარიშზე:

Chase Bank,
Routing # 021000021,
Account # 907225332065

ან გამოაგზავნოთ ჩეკი ან მანი ორდერი საფოსტო მისამართზე:

St. Nino Georgian Orthodox Church,
P.O. Box 351160, Brooklyn, NY 11235

და მაინც, კულუარებში ბჭობდნენ და ვრცელდებოდა ამბები ილიას მკვლელების შესახებ. საზოგადოების ფართო ფენებისათვის თავზარდამცემი იყო ის ამბავი, რომ თურმე ილია მეფის მიერ მოსყიდულ ოხრანკას კი არა, სოციალ-დემოკრატებს მოუკლავთ და განსაკუთრებული უდიერებით იხსენიებდნენ ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს. ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც საგურამოში ექსკურსიებზე მისული სტუმრები მუზეუმის თანამშრომლებს ჩუმად ეკითხებოდნენ მართალი იყო თუ არა, ილიას მკვლელობას რომ ბოლშევიკებს აბრალებენო. თანამშრომლები კი მიიხედ-მოიხედავდნენ, არავინ მოგვისმინოსო და დარწმუნდებოდნენ რა თანამოსაუბრეთა სანდოობაში, ამხელდნენ სიმართლეს, ზოგი კი უხერხულ შეკითხვებსაც სვამდნენ – მართლა ამტვრევდა ილია გლეხებს კოკებს თავზე და წყალს მართლა არ აძლევდა თავისი წყაროდანო?! მღიმარენი არაფერს ეტყოდნენ სტუმრებს, ნახეთ წყარო ილიას ეზოში და მერე ვისაუბროთ მაგ საკითხებზეო. რა თქმა უნდა, წყაროს ვერ პოულობდნენ. მერე აბზარი მომკითხავი იტყოდა, ილია რომ კარგი კაცი ყოფილიყო, არ ჩაესიძებოდა საგურამოს მამულში და ყვარელს უპატრონებდაო.

ერთი შემთხვევაც იყო ასეთი: ქუთაისში, მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა პოეტ მურმან ლებანიძის ლიტერატურული საღამო. თავისთავად წაკითხულ იქნა პოეტის ლექსები, შესრულდა მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, სიტყვებში ხოტბა შეასხეს პოეტს და უსურვებდნენ სამომავლო წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. როგორც მიღებული იყო, დარბაზიდან კითხვებს უსვამდნენ სტუმარს. დარბაზში მიკროფონი იდგა და მისთვის საინტერესო შეკითხვებს მიკროფონიდან უსვამდნენ, ზოგიც კი წერილობით, ანონიმურად ეკითხებოდნენ და მურმან ლებანიძეც პასუხობდა. ერთ-ერთმა უცნობმა წერილი მისწერა მას. როგორც წესი, წერილებს საგანგებო ცენზურის გარეშე პირდაპირ ამორჩევის გარეშე კითხულობდა. ის წერილიც ასევე პირდაპირ წაიკითხა. წაიკითხა და უხერხულობა იგრძნო, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, ფერი ეცვალა. პასუხი კი აუცილებლად უნდა გაეცა. წერილის მოკლე შინაარსი ასეთი იყო:

„ - რას იტყვით, ბატონო მურმან, ილია ჭავჭავაძის პიროვნების აღიარებისა და დევნის შესახებ, რატომ იკრძალებოდა ილია ჭავჭავაძე და როგორ მოხდა მისი დიდებით შემოსვა?“.

უხერხულობა რომ განემუხტა, პოეტმა დიპლომატიური ლავირებით ოსტატურად თქვა ყველაფერი: „მეო, - უპასუხა მან, - არ მსმენია ილიას თუ დევნიდა და ავიწროებდა ვინმე, არც ის გამიგონია თუ იკრძალებოდა ილია ოდესმეო. თუმცაღა, - დასძინა მან და სრულად დააკმაყოფილა იმ უცნობის ცნობისმოყვარეობა, - თქვენ, ვინც ეს წერილი დასწერეთ, საქმის კურსში ხართ ჩამდგარი და ბევრი რამ იცითო. გთხოვთ, თუ საშუალება გექნებათ ამ საღამოს შემდეგ ვისაუბროთ ამ საკითხებზეო“. ისაუბრეს თუ არა მურმან ლებანიძემ და იმ უცნობმა ამ საკითხებზე, უცნობი დარჩა.

ილიას 150 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილემდე რამდენიმე წლით ადრე ოფიციოზმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, დაიდგა ძეგლები მოსკოვსა და თბილისში, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ რუსეთ-საქართველოს „ძმობას“ მიუძღვნა მრავალსერიანი ისტორიული ჟანრის მხატვრული ფილმი „წიგნი ფიცისა“ (რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე). აქაც კულუარებში დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ყველაფერი ეს, როგორც წარმოაჩინა ქართველმა კომუნისტმა მლიქვნელებმა, სიმართლეს არ შეეფერება. ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაქსასული იყო, რადგან ამ მოძრაობის ყველა მოთავე და სულისჩამდგმელი ან დაპატიმრებულ-გასახლებულ-გადასახლებული, ან კიდევ საკუთარ ნაჭუჭში იყო ჩამალული. ჩუმად და უჩუმრად მაინც აზრხებდნენ ხალხისთვის სიმართლე მიეწოდებინათ. იმ პერიოდს განეკუთვნება საკმაოდ გახმაურებული თვითმფრინავის გამტაცებლების ინციდენტი და ჟურნალისტ ნაზი შამანაურის მკვლელობა ჯალათ ფსიქიატრების (ავლიპ ზურაბიშვილის მეთაურობით) მიერ.

საზოგადოების ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ იყო მივიწყებული სულ ახლახან სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში საპროტესტო აფეთქებების შედეგად სიკვდილმისჯილი ვლადიმერ ჟვანიას სახელი. გაურკვეველ ვითარებაში თავს იკლავს პოლიტპატიმარ მერაბ კოსტავას ვაჟი ირაკლი კოსტავა, რომელზეც სუკი ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას და სასოწარკვეთილებამდე მისული ახალგაზრდა ყმაწვილი საბედისწერო ნაბიჯს დგამს. ამით საბჭოთა კავშირის გულბოროტმა მესვეურებმა მოიწადინეს მერაბ კოსტავას მორალურად გატეხვა. მაგრამ განგება სხვა ბედისწერას უქადდა ჯალათებსაც და მსხვერპლსაც.

ილიას იუბილის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი სხვადასხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, მწერალთა კავშირში და სხვაგან მართავს დისკუსიებს. ეს დისკუსიები ღია ეთერით გადაიცემა, ჯ. პატიაშვილის ორატორობით მოხიბლული იყო ხალხი, რადგან მიჩვეულიყვნენ დუნე და ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს, შუა მოხსენებებში რომ ჩაეძინებოდა ადამიანს. ერთის სიტყვით, გამოჩნდა პოლიტიკური ლიდერი და ავტორიტეტი, იქით მიხეილ გორბაჩოვი არ გვაწყენს თავს და ისიც აშკარად ყურებადი პიროვნებაა. თუმცაღა ბოლო ჟამს გორბაჩოვის ტრიუკები მოსაწყენი გახდა ქართული მასისთვის, აი, პატიაშვილის ავტორიტეტი კი დღითიდღე იზრდებოდა. ამასობაში გადასახლებიდან დაბრუნდა მერაბ კოსტავა, ერთიან მუშტად შეიკრნენ ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი (ძირითადი ბირთვი ქართველი დისიდენტებისა).

1988 წელს იქმნება ნახევრადპოლიტიკური ორგანიზაცია (მთავრობის დავალებითა და რეკომენდაციით) შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოება. წესდების განხილვისას საკმაოდ მწვავე დებატები გაიმართა, მაგრამ წითელმა პროფესურამ გაიმარჯვა და თავისკენ გადახარა საზოგადოების მართვისა და კონტროლის აღვირები. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. მაგრამ უმოკლეს დროში ისევ შეიკრიბა რუსთაველის საზოგადოების სადამფუძნებლო კრება და ამ საზოგადოების რადიკალურმა ფრთამ თავისი გაიტანა – მიიღეს მათთვის ხელსაყრელი პროგრამა, სადაც რუსთაველის საზოგადოება ცხადდებოდა პოლიტიკურ ორგანიზაციად და მას ჩამოშორდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში ხელშეწყობის ფუნქცია. საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადაყენებულ იქნა ირაკლი აბაშიძე და მის ნაცვლად არჩეულ იქნა აკაკი ბაქრაძე. უკვე რუსთაველის საზოგადოების სახით კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ლეგალური ოპოზიციური დაწესებულება (ასე ვთქვათ პარტია).

ქვეყანაში გამქრალი იყო შიშის სინდრომი, მაგრამ არსებობდა 70-იანი წლების რეფლექსი, ანუ „ვაი თუ რაღაც გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს“. უკვე საზოგადოებაში ღიად ჩნდებიან დისიდენტები, ისინი თბილისის უნივერსიტეტში ხშირი სტუმრები იყვნენ. გაზეთი „კომუნისტი“ რეგულარულად ბეჭდავს მენშევიკური საქართველოს ისტორიულ ამბების შესახებ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გვერდები ეთმობა 1937 წელს რეპრესირებულთა შემოქმედებას. საზოგადოებრივი უკმაყოფილება ყველაფრის მიმართ აშკარაა, იწყება ეკონომიკური კრიზისი, რაც საშუალებას იძლევა მოსახლეობის მღელვარების დასაწყებად. ერთია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა ნაადრევია და ერი მზად არაა ამ მოთხოვნის მოსასმენადაც კი, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნია მას ასეთი რამ და ბოლომდე ვერც გარკვეულა მის მნიშვნელობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებაზე.

1988 წლიდან იმართება პოლიტიკური გამოსვლები – მანიფესტაციები და დემონსტრაციები (არასაპროტესტო და არასანქციონირებული). რუსეთში დონბასის შახტებშიც გაფიცვებიაო, აცხადებდა ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები. ჩვენთვის, მოსახლეობისათვის კი გაფიცვები კინოფილმებში თუ გვენახა და წიგნებში თუ ამოგვეკითხა, რომელიც ცარიზმის დროის ეწყობოდა და ამ მიტინგ-მანიფესტაციების დარბევისას ბევრი კომუნისტი შეეწირა.

ზოგი ამბობდა, ჩვენს დროშიც თუ ასეთი რამ მოხდებოდა, ნამდვილად არ მეგონაო. თვალი და ყური ნელნელა გაეჩვია თბილისის ქუჩებში მეგაფონებითა და „უცნაური“ დროშებით თავშეყრილი ადამიანების მსვლელობას. ზოგი გაუბედავად მიჰყვებოდა ტროტუარზე შორი-ახლოს რა ხდებაო, ვინძლო თუ დაარბიეს, მე არაფერს მეტყვიან, „მაღაზიაში მივდიოდიო“, ვეტყვი, ის ღამე თეთრად რომ გაუტარებია, - „არ მომაკითხონო“...

არ მოუკითხავთ.

მერე კიდევ, კიდევ და ერთ დღეს იმ „ჩირგვებიდან“ თვითონაც შეუერთდა სამსახურში წასული მანიფესტაციას. ხომ არავინ მიყურებსო, ფიქრობდა, თავი არ მომეჭრასო.

თავი არ მოჭრია.

პირიქით, ერთ დღეს, სამსახურში რომ ყველაზე აქტიურად აქიქებდა მომიტინგეებს და არაფორმალებს (ასე ეძახდნენ მაშინ ოპოზიციას) თვითონ მოწინავეთა რიგში ყოფილა. მერე უკვე ეს რეფლექსიც გაქრა.

ასე მოეწყო სამგლოვიარო მსვლელობა თბილისის ქუჩებში 1988 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით. ასევე მანიფესტაციებით და მიტინგებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი. ისევ და ისევ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საზოგადოების ფართო მასებში აყენებს საკითხს ზაკვოს პოლიგონის გადატანის შესახებ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან, რათა მძიმე ტექნიკა პირველყოვლისა აზიანებდა ფრესკებს, შემდეგ კი ჩნდებოდა ბზარები თვით მონასტრების კედლებზე. დისიდენტთა ერთი ნაწილი მთავრობიდან მოითხოვდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასთან გადაესინჯა სასაზღვრო ზოლი, რათა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მთელი ტერიტორია მოქცეულიყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. ამისათვის იმავე წლის ნოემბერში თბილისში მთავრობის სასახლის წინ გაიმართა გრანდიოზული მანიფესტაცია, მჯდომარე აქცია და შიმშილობა გამოაცხადა გაფიცულთა რამდენიმე კაციანმა ჯგუფმა. მდგომარეობა თანდათანობით იძაბებოდა. მოსალოდნელი იყო ფერგანას ტრაგედიის განმეორება თბილისშიც. საქართველოს ბედი კი წყდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. დღითი-დღე საშიშროება მატულობდა. უფროსი თაობა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებსაც იხსენებდა, თუ როგორ დაარბია რუსულმა არმიამ თბილისში მშვიდობიანი მომიტინგეები. შიშობდნენ არც თუ უსაფუძვლოდ. შიშობდა სამღვდელოებაც. ეკლესიებში იმართებოდა სამშვიდობო პარაკლისები, ტელევიზიით გადმოიცემოდა ინტელიგენციის მიმართვები მომიტინგეთა მიმართ, რათა დაშლილიყვნენ. მიტინგი, მართალია, დაიშალა 30 ნოემბერს, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ასე მშვიდობიანად ყველაფერი აღარ დასრულდებოდა, რადგან ჯინი ბოთლიდან ამოშვებული იყო და იგი თავისი ნებით უკან აღარ ჩაბრუნდებოდა და ასეც მოხდა.

ქვეყანა იდგა რევოლუციის ზღვარზე, რასაც ეკონომიკური კრიზისი დაემატა.

## 12. პირველი ქართული დიადი რევოლუცია - 1989 წლის 9 აპრილი

ბევრს არაფერს ვიტყვი 9 აპრილის მსვლელობის შესახებ, რადგან მასზე ბევრი რამ არის დაწერილი და ცნობი-

# ფორტუნა და ფიასკო



ლი. აქ ერთი რამ არ არის გათვალისწინებული: 9 აპრილი არ არის განხილული ერთიან მოვლენათა სისტემაში.

თავისი მსვლელობით, ერის ფსიქიკის ფორმირების მხრივ, ცხრა აპრილმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა - ერთ ღამეში შეიცვალა ერის მენტალიტეტი!

რევოლუციამ არ იცის ხელისუფლების ერთბაშად ჩამოგდება, სამაგიეროდ მან იცის ცნობიერების ერთბაშად მოშლა, არსებული წყობილების მომენტალური ნგრევა შეგნებაში, უნდობლობა და ნიჰილიზმი არსებული რეალობის მიმართ. რევოლუციის პირველმა დღეებმა არ იცის მასიური სისხლისღვრა, - სისხლს შემდეგ, აზარტში შესული ეგზალტირებული ბრბო ღვრის. ასე მოხდა პარიზის დიდი რევოლუციის ჟამს 9 აპრილამდე ზუსტად 200 წლით ადრე: ბასტილიის აღებისას თითო ოროლა კაცი დაიღუპა, მეფე ისევ მეფობდა, იგი რევოლუციონერთა მარიონეტად გადაიქცა. სისხლისღვრა თუ მოხდა, შემდეგ მოხდა და რა მოსატანია 1789 წლის 14 ივლისს შემთხვევით დაღუპულები. ტყვე-მეფემ დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციასაც კი მოაწერა ხელი. რევოლუცია აზარტში შედიოდა და „საკუთარ შვილებთან“ ერთად „სხვის შვილებსაც“ ჭამდა. ლუდოვიკო XVI-ის (მოქალაქ კაპეტის) გილიოტინირების, მანამდე კი კონვენტის დეკრეტით სამეფო ხელისუფლების გაუქმების და პირველი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ყალიბდება იაკობინელთა დიქტატურა. ამის შემდეგ რევოლუცია გადადის თავისი არსებობის აგრესიულ ფორმებზე. ანალოგიური მოდელია რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ჟამს. იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა. რუსეთს მართავს დროებითი მთავრობა. მართალია, ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორი პირდაპირ ტყვექმნილი იქნა რევოლუციონერთა მიერ, სახელმწიფოს მართვაში, ბუნებრივია, მას არ რევდნენ. არსებული ხელისუფლება რევოლუციური ეიფორიით არის ალტკინებული და ხელისუფლებით ტკბობა აკარგვინებს რეალობის განსჯის უნარს. რევოლუციის დროს აუცილებელია დამხობილი ხელისუფლების ნაცვალი იყოს უუნარო სახელმწიფოს მართვაში, ან უუფლებო. ამით სარგებლობს რევოლუციის აგრესიული ფრთა და ეუფლება ხელისუფლებას. რუსეთის შემთხვევაში ეს 1917 წლის 7-8 ნოემბერს მოხდა, თუ საფრანგეთში იაკობინელთა დიქტატურაა, რუსეთში - ბოლშევიკთა პროლეტარიატის დიქტატურაა. საფრანგეთში თუ ლუდოვიკო XVI და მისი მეუღლე მარია ანტუანეტა დასაჯეს სიკვდილით, რუსეთში ნიკოლოზ II მთელი ოჯახით ამოწყვიტეს. სისხლისღვრა აქაც თავდაპირველად თუ არა, შემდეგ და შემდეგ რომ დაიღვარა, ისე უნდოდა. ყველა რევოლუციის მსვლელობა ამ მოდელით წარიმართა. ყველა თავისებურად იყენებდა რევოლუციურ მონაპოვართა სიუხვეს, ყველა თავისებურად ხსნიდა რევოლუციის აუცილებლობას და მსვლელობათა უტყუარობას, ერთი კი უცვლელი დარჩა:

1) უკმაყოფილება არსებული წესწყობილების მიმართ (სწორედ უკმაყოფილება ქმნის იმას, რომ „ზედაფენებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართვა, ხოლო ქვედაფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება“);

2) არსებული ხელისუფლების ლიბერალური ბუნება, რომელიც განაპირობებს ათასგვარ ავანტიურისტთა ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებას (ყველაფერი კი საბოლოო ჯამში ერთ ფეთქებად წერტილში იყრის თავს);

3) მენტალიტეტის მომენტალურად შეცვლა, ხოლო ყოფიერებისა კი ეტაპობრივი; ხელისუფლების დაქვეითება და არსებული მდგომარეობის თვითდინებაზე მიშვება, რაც რევოლუციურ ძალას ხელს შეუწყობს თავისი მიზნების შესრულებაში;

4) არსებული წეს-წყობილების ცვლილება ძირით-ძირამდე, რევოლუციის გადაზრდა კონტრრევოლუციაში;

5) რევოლუციის აგრესიული ფორმების გამოვლინება ომებისა და სისხლისღვრის ჩათვლით, გამართლება იმ თეზისისა, რომ რევოლუცია სხვა რევოლუციის კალკირებული ასლი არ არის (ამით რევოლუცია თავის ინდივიდუალურ ბუნებას ავლენს);

7) რევოლუციის მიმართ საგანგებო და ერთადერთი მსხვერპლშეწირვა მისტიური რიტუალის დონეზე (კარლოს I, ლუდოვიკ XVI, ნიკოლოზ II და მისთ); რევოლუცია თავისთავად უსამართლობის დიდი დემონსტრირებაა. მსხვერპლშეწირვა რევოლუციისადმი უნდა ითვლებოდეს საშვილთაშვილო ცოდვად, რაგინდ პირსისხლიანი ტირანის მოკვდინება არ უნდა მოხდეს.

თუ დავაკვირდებით საქართველოს მოვლენათა მსვლელობას, 1989 წლის 9 აპრილიდან დაიწყო დიდი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია. კონფლიქტი მხარეებს შორის იყო როგორც ყველგან შრომასა და კაპიტალს შორის, - ეს ყველაზე ნაკლებ; კერძოდ და საზოგადო საკუთრებას შორის, - ეს უფრო მეტად; სახელმწიფო მონოპოლიისა და პროლეტარიატს შორის, - ეს კიდევ უფრო მეტად, სუვერენიტეტსა და კოლონიალიზმს შორის, - ეს უმთავრესი.

და მაინც, საქართველოში რევოლუცია დაიწყო სეპარატიზმისა და სუვერენიტეტის იდეოლოგიურ ნიადაგზე. ხელოვნურად და საგანგებოდ შექმნილი საქართველოს ავტონომიები (საბჭოეთის სივრცეში მიმდინარე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეიფორიის შესაბამისად) ქმნიან თავიანთ რეგიონებში სეპარატისტულ ორგანიზაციებს, რომელსაც აშკარად და დაუფარავად აფინანსებს და ლობირებს რუსეთის სპეცსამსახურები. ეს უკანასკნელები ცდილობენ ერთიანი სახელმწიფოებრიობა მოშალონ მცირე ერებში. ეს გეგმა თავის დროზე შეიმუშავეს ჯერ ლავრენტი ბერიამ, ხოლო მასში აგრესიული ნიუანსებით „გაამდიდრა“ იური ანდროპოვმა. ამიტომ რუსეთი არანაირ პოზიციებს არ თმობდა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ. ანდროპოვის გეგმის გორბაჩოვისეული განხორციელების საწყის ეტაპზევე თვით რუსეთმა იწვნია თავისსავე ტერიტორიაზე სეპარატიზმისა და ე.წ. ცხელი წერტილების გემო, ეს იყო ფერგანა თუ ვოლგისპირეთი და სხვა და სხვა. მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი იყო მოკავშირეთა ძიება მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ანუ, როგორც იტყვიან, „მეხუთე კოლონის“ შექმნა დაიწყეს მოკავშირე რესპუბლიკებში. თუ ამ რესპუბლიკების არაფორმალური (დისიდენტური) მოძრაობები ღიად და აშკარად უპირისპირდებოდნენ კრემლს, ამ ქვეყნებში უნდა გამოძებნილიყო ძალა (და არა კომუნისტური პარტია), რომელიც დაუპირისპირდებოდა თვით ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. საბჭოთა სპეცსამსახურები მაქსიმალურად ფლობდნენ ინფორმაციებს ყველა დისიდენტის შესახებ და ზოგადი სურათი რესპუბლიკებში არსებულ მოვლენათა და შესაძლო მოსახდენ მოვლენათა შესახებ მათთვის ცნობილი იყო. ამდენად ერის ერთიანობის გახლეჩის საუკეთესო და ნაცადი საშუალება იყო გაეღვივებინათ ეთნიკური სეპარატიზმი ყველგან, რომელიც მართული და დაფინანსებული იქნებოდა მათ მიერ. ასე მოხდა დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და სხვაგან.

სახელდობრ საქართველოში რევოლუციური ტალღის აზვირთების ინსპირატორი მაინც აფხაზი სეპარატისტები იყვნენ. საკმარისი იყო ლიხნში ჩატარებული კრება, რომ თბილისში აზვირთდა საპროტესტო აქცია, რომელიც გადაიზარდა რევოლუციაში. საქართველოში და საერთოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში არავის სურდა (ან არც ფიქრობდნენ) ეღიარებინათ 9 აპრილი ქართული რევოლუციის დასაწყისად - არც ქართველებს, არც რუსებს. ორთავე მხარე მაქსიმალურად ერიდებოდა 9 აპრილისათვის ეს სტატუსი მიენიჭებინა. რუსი მოიხსენიებდა როგორც „9 აპრილის მოვლენას“, ქართველი კი „9 აპრილის ტრაგედიას“. საბჭოთა კავშირგამოვლილი მოქალაქეებისთვის რევოლუცია ასე თუ ისე ასოცირდებოდა ლენინურ სახელმწიფო გადატრიალებასთან, მთელ მსოფლიოში ახალი ცივილიზაციის დაწყების დღედ რომ ჰქონდათ შერაცხული ეს დღე, უკლებლივ ყველას - მტერსაც და მოყვარესაც. ხოლო რევოლუცია თუ შეიძლებოდა მომხდარიყო ჩვენს თვალსაწიერში, რომლის შესახებაც მთელი რიგი მეცნიერებებია შექმნილი (მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვათა სახით), ამდენი გახმაურებული ფუნდამენტური ნაშრომებია შექმნილი მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის და სხვა მარქსიზმის კლასიკოსებადწოდებულების მიერ, ამდენი ფილმია გადაღებული, ამდენი წიგნია დაწერილი და ა.შ., ამ დროს 9 აპრილის „მოვლენას“, სადაც 16 კაცი დაიღუპა, რომ უწოდო რევოლუცია, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა თამამ განცხადებად შეიძლება ჩაგითვალონ, იქამდე დღესაც ეს ტენდენცია გრძელდება 9 აპრილის მიმართ. ამ მოვლენის შესაფასებლად ცხელ კვალზე შეიქმნა მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო კომისიები, რომლებიც „ყოველმხრივ“ სწავლობდნენ მას, მაგრამ, ბუნებრივია, მისი საბოლოო შეფასება არ იქნებოდა სრულმომცველობითი, რადგან 9 აპრილი, როგორც ასეთი, როგორც მოვლენა და ფენომენი, განაგრძობდა ცხოველ მოქმედებას და იგი იყო ყველასათვის მტკივნეული და გადაუჭრელი საკითხი.

რევოლუციის პირველ ღამეს 16 კაცი დაიღუპა. რევოლუციისთვის ეს უმნიშვნელო ციფრია. ასე რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად გაცილებით მეტი მსხვერპლით დასრულდებოდა ის დღე. იქმნება ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან ყოფილი დისიდენტები (ამჟამად უკვე არაფორმალები), ერთმანეთზე მიყოლებით იქმნება ეროვნულ ნიადაგზე მდგარი პარტიები, ერთი ხანი აპატიმრებენ ცხრა აპრილის აქციის ორგანიზატორებს, მაგრამ საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით მათ მალევე ათავისუფლებენ.

მარატისა არ იყოს, იღუპება მერაბ კოსტავა რევოლუციის წიაღობამდე, მასთან ერთად ზურაბ ჭავჭავაძე. უცნაური ანალოგია მარატისა და კოსტავას სიკვდილთან დაკავშირებით – ორთავე შემთხვევაში რევოლუციის შავი ბედისწერის როლს ქალი ასრულებს რევულუციის გმირთა თავზე. და ასეთ შემთხვევაში მარატიცა და კოსტავაც იმიტომ უნდა გასულიყვნენ „თამაშიდან“, რომ მათ არ შესძლებოდათ რევოლუციური კალაპოტის შეცვლა, რომლითაც შეუქცევადი პროცესი გაუთვალისწინებელ პროცესად გარდაისახებოდა, რის გაკონტროლებასაც ველარ შეძლებდა ვერავინ. და ამის რეალური ძალა როგორც მარატს, ასევე კოსტავას გააჩნდათ ხალხში დამკვიდრებული ავტორიტეტის წყალობით. მარატიცა და კოსტავაც რევოლუციის ბედისწერამ სწორედ ამიტომ შეარჩია, ხოლო თუ რატომ – ქალი, - ალბათ ამისი პასუხი საუკეთესოდ მოეძებნება ეჟენ ბელაკრუას.

მომდევნო წელს (ანუ 1990 წელს) პოლიტიკური წრეები იკრიბებიან ერთიან ქართულ ფორუმზე და მსჯელობენ ხელისუფლებაში მოსვლაზე. რევოლუციამ თავისი განტოტვა გააკეთა ამ შემთხვევაში იმით, რომ ისედაც ერთმანეთის მიმართ ალმაცერად მომზირალი ყოფილი თანამებრძოლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ფორუმი დატოვა ზვიადმა და მისმა მომხრე პარტიებმა, ფორუმში კი დარჩნენ გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ფრთა მიზნად ისახავდა ხელისუფლებაში მოსვლას კონგრესის არჩევნების გზით და არსებულ უზენაეს საბჭოს ჩამორთმეოდა საკანონმდებლო უფლებები, ხოლო მეორე ფრთა ასევე არჩევნების გზით გეგმავდა ხელისუფლებაში მოსვლას, მაგრამ არა კონგრესში, არამედ თვით უზენაეს საბჭოში. ეს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები თითქოს თავისი საბოლოო შედეგით ერთმანეთისგან არც განსხვავდებოდნენ, მხოლოდ სახელწოდებაში თუ იყო სხვადასხვაობა, ე.ი საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს უზენაესი საბჭო ერქმეოდა თუ კონგრესი, ამას ვითომდაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ როგორც ერთ, ასევე მეორე მოსაზრებას თავისებური განმარტება გააჩნდა - კონგრესის მომხრეებს არ სურდათ საბჭოურ სტრუქტურაში გაწევრიანებულიყვნენ და ისინი უნდობლობას უცხადებდნენ ყველას, ვინც მოისურვებდა ასეთ სტრუქტურასთან თანამშრომლობას. ისინი ითხოვდნენ ახალი დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარებას, რათა დაკომპლექტებულიყო კონგრესი. ხოლო უზენაესი საბჭოს არჩევნების მომხრეები ფიქრობდნენ, რომ ამით მათ მიეცემოდათ საშუალება, განსხვავებით არალეგიტიმური კონგრესისა, სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში შესვლისა და იქედან თავიანთი იდეების განხორციელებისა. გამორიცხული არ იყო (და რეალობაში ასეც მოხდა), ოპოზიციას გაემარჯვა არჩევნებში. ამით ისინი მთელი სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდნენ საპარლამენტო არჩევნების გზით და ისინი გახდებოდნენ კანონმემკვიდრე აქამდე არსებული სახელმწიფოსი და ამ გზით ქვეყანაში არ შეიქმნებოდა კონსტიტუციური ვაკუუმი.

ზვიადი და მისი მომხრეები უფრო სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნებდნენ ამ შემთხვევაში, ვიდრე გია ჭანტურიას მომხრეები. ზვიადის ნაბიჯის მართებულობამ უფრო მეტი ბზარი გააჩინა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ვიდრე იყო აქამდე, და რუსეთის მოკავშირეებად აფხაზ და ოს სეპარატისტებს დაემატნენ ქართველი კოლაბორაციონისტებიც.

რევოლუცია კი ამასობაში ფრთებს შლიდა. ზვიადის მიერ გამართულ ყოველ მიტინგს გეომეტრიული პროგრესიით (საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით) ემატებოდა და ემატებოდა გულშემატკივრები.

ასე იყო, თუ ისე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაჩენილმა ბზარმა თავი იჩინა, რაც უმთავრესად მისი აშკარა და გარდაუვალი დამარცხებით დასრულდა, არათუ რევოლუციის, არამედ კეთილშობილი იდეის. რევოლუციის შესახებ ბევრს აღარ გავაგრძელებ, რადგან ეს საუბრის სხვა თემაა. ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ მარცხის მიზეზებზე.

## 13. ხელმწიფება

საბოლოო ჯამში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ზვიად გამსახურდია. არადა, ყველა პარტია ჩქარობდა სახელმწიფოს სათავეში მოხვედრას, შეცდომები ბევრი იქნა დაშვებული, ყველაზე ნაკლებად ვინც დაუშვა შეცდომა, იმას ერგო ქვეყნის მმართველობა. ნებისმიერ შემთხვევაში ვინც არ უნდა დამჯდარიყო ხელისუფლების სავარძელში, მათი პირველი ნაბიჯები იქნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, რათა პირველობა რგებოდათ წილად. სწორედ რომ პირველობის ამბიციამ დაამარცხა საბოლოო ჯამში ზვიადიც, ალბათ ყველა სხვაც ასევე დამარცხდებოდა. სხვაობა ის იქნებოდა, რომ მსხვერპლი ამ მარცხში რამდენად მეტი, თუ ნაკლები იქნებოდა.

ზვიადს ჰქონდა ხელმწიფება პირველყოვლისა ხალხისგან, ღმერთმა აკურთხა მისი ხელმწიფება და იგი ვერ გახდა ხელმწიფე. ის იყო ბელადი თავისი ერის, ერმაც შესაბამისად აუბა მხარი. ზვიადი ზნეობრივი მაგალითი იყო ერისთვის თავისი ღირსებებითა და სისუსტეებით. ერი უაპელაციოდ მიენდო მას, ხუთმილიონიანმა გონიერებამ თავი მოიყარა ზვიადში. იგი არ ელოდა ასე უსიტყვო მორჩილებას. ერი ფაქტიურად არ იცნობდა მას. ერმა იცოდა ერთი და მისთვის აუცილებელი რამ, რათა ნდობის მანდატი უყოყმანოდ გადაეცა მისთვის - ზვიადი იყო კონსტანტინე გამსახურდიას შვილი. ეს საკმარისი არგუმენტი იყო მაშინდელი ქართული მასიური აზროვნებისა, რათა თავიანთი ბედ-იღბალი და მომავალი ისევ და ისევ ერთი კაცის ხელში აღმოჩენილიყო.

„ერთ კაცსო“, - ვამბობ და ვგულისხმობ მაშინდელი საზოგადოების და ჯერაც ბოლომდე ვერაღმოფხვრილ სტერეოტიპს - იგია უფროსი, მე ვარ მისი ქვეშევრდომი, ე.ი. მორჩილი. ის იტყვის, მე ვასრულებ, რადგან ის მართალია იმიტომ, რომ ის უფროსია. იმას აღარ ფიქრობდნენ - „და უფროსია იმიტომ, რომ მე ეს ასე მინდა“. თავი და თავი მაინც ერის „ეგო“ იყო, რათა მის „ეგოს“ ეპოვნა „ალტერ-ეგო“. სწორედ რომ „ალტერ-ეგოს“ ასე-რიგად წარმოჩინებას არ ელოდნენ. ერი მაინც მიჩვეული იყო კომუნისტურ ფუნქციონერთა ცხვირაბზუებულ დ მენტორულ, უფრო მბრძანებლურ ტიპაჟებს. ზვიადში ასეთი უფროსი ვერ აღმოაჩინეს, იგი სწორედ რომ ერის „ალტერ-ეგო“ იყო, მაგრამ ამითაც კი დათვური სამსახური გაუწიეს მას. იტყოდა ზვიადი, კეთდებოდა ისე. არავის უფიქრია ის, რომ ზვიადი კერპი და მესია კი არა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო და უფლებაც ჰქონდა დაეშვა შეცდომები. მან სახელმწიფო სტრუქტურა ერთი კაცის თარგზე მოჭრა. სწორედ ამაში დაუშვა მან ყველაზე დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა, დანაშაულის ტოლი შეცდომა, რადგან მისი დამარცხება ნიშნავდა სახელმწიფო სტრუქტურის, საბოლოო ჯამში კი სახელმწიფოს დამარცხებას. ამის გამო ჰქონდა მას ხელმწიფება და ვერ გახდა ხელმწიფე. პრეზიდენტის ირგვლივ რომ ტრიალებდა კანონი და კონსტიტუცია, მას იმიტომ გააჩნდა ხელმწიფება, რომ გაენადგურებინა ერის შინაური მტრები, შემოგზავნილები და გადამთიელები. უპირველეს ყოვლისა ზვიადი და მისი ხელისუფლება გაეკიდა ხმაურიან და სკანდალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მას, რაც ხალხს უნდოდა და გაართობდა 70-წლიანი მოწყენილობის შემდეგ და ზვიადი ასეთ „დაკვეთებს“ პირნათლად ასრულებდა, რადგან ვერ გათვალა პოლიტიკური შედეგები, რომლებიც დამოუკიდებლად შემოტრიალდა მისთვისაც, მისი ხელისუფლებისთვისაც და ხალხისთვისაც.

მ. ბეჟანიშვილი

(დასაწყისი „მამული“ №51-53, დასასრული - შემდეგ ნომერში)

იყიდება საქართველო,
საქართველო იყიდება, იყიდება, ნიკო ბატონო,
რაც ხმამაღლა გატირებდა, საჯიშე-საგვარტომო...
იყიდება? რა გაკადრე?!
გაიყიდა, დიდო მამულიშვილო,
ყველაფერი, ყველაფერი, სითაც უნდა გაიხედო,
და ხელი გაიშვირო...

ოტია იოსელიანი

„ბატონო ოტია, საგაზეთოდ შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ?" „ბიჭო, უთო კი არ ვარ, ჩამრთო და გამრთო", — ასე დაიწყო სატელეფონო საუბარი სტუმართმოყვარეობით განთქმულ გამოჩენილ ქართველ მწერალთან ოტია იოსელიანთან:

# სადაც გავძლებით, სამშობლო იქინე გვგონია?!

- ქვეყანა გვემხობა თავზე. გუშინდელი დღე გვენატრება, ჩაი რომ გვქონდა გაშენებული, ქარხნები აშენებული, რატომ მომისპე ეს? შენ ხომ არაფერი გეხარჯებოდა? ჩემი ჩაი რატომ გამიხადე საყიდელი, როცა სხვას ვამარაგებდი! აღარც ტყე, აღარც სახნავი, აღარც საბალახო, აღარც ჩაი, აღარც სპექტაკლი. ყოფილიყო ეს ყველაფერი, ორ კაპიკსეიღებდა ადამიანი შავი პურისთვის სამყოფს და აღარ გეიქცეოდა, აღარ გედეიკარგებოდა ქვეყნიდან!

რა უნდა ამიშენო შენ, რა უნდა შემიქმნა, როცა გაკეთებული, მოწესრიგებული დამინგრიე? რატომ და ვისი უნდა ვიყიდო, როცა ეს ყველაფერი მე მქონდა! ვარგა რამე, თუ ყიდულობ? დავანებოთ ყველაფერს თავი, ნუ ვკითხულობთ იმას, რომ გვქნება წარმოება, თვითმფრინავებს გამოვუშვებო და ტანკებს. რისი გამკეთებლები ვართ, აშენებული გავანადგურეთ, თანაც გამოცდილება გვქონდა და კულტურაც, რატომ გადავყარეთ ყველაფერი წყალში?

**- ჩვენი პრეზიდენტი დადის, ქარხნებს ხსნის და იქნებ თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემებითაც დაინტერესდეს, გამოსწორებაზე იზრუნოს...**

- დამანებე, კაცო, ერთი თავი. მაგასთან ლაპარაკი როგორ შეიძლება? მაგი გამორიცხულია, მაგას არაფერი არ ეყურება, ჩემთანაც იყო ერთხელ. არ იყო პრეზიდენტი, მარა შეწკიპული იყო საპრეზიდენტოდ. შაშიაშვილს მოჰყვა და გეიჯგიმა აგერ კარებში. მაშინ იყო, რომ ვუთხარი: სად მიგყავთ თქვენ ჩემი ხალხი, კულტურა არ გინდათ, მწერლობა არ გინდათ, ხელოვნება, წიგნი და პრესა. მუსიკა, თეატრი, რითაც სულდგმულობს ადამიანი და განსხვავდება ცხოველისაგან, არ გინდათ. მაშინ გამოქვაბულში დაბრუნდებით-მეთქი. ისე, გამოქვაბულში ნახატები მაინც იყო. უძველესი ზღაპრები და ლექსები რომ გვაქვს, იქაა შექმნილი. სად მიგყავთ ჩემი ხალხი, უკან აბრუნებთ გამოქვაბულში? არა, ბატონო ოტია, წინა გამოქვაბულში მივდივართო...

მე ყველას ვლოცავ და ყველა კაი მინდა, რო იყოს. მარა თუ გაგიჟდები მერე, თუ არა ხარ კახაბერი, მე კახაბერს ვერ დაგარქმევ! უნდა იყო კახაბერი! მერე რანაირიც იქნები, მხოლოდ იმას დაგარქმევ. წინა გამოქვაბულში რომ მიდის მაგი, ის ეტყობა, ცარიელია.

**- ბატონო ოტია, ერთი წელი გავიდა აგვისტოს მოვლენებიდან. რას იტყვით შარშანდელ უბედურებაზე, როგორია თქვენი შეფასება?**

- მე ვერაფერს ვერ ვიტყვი იმაზე, რასაც საკუთარი თვალით არ ვნახავ, ჩვენში ყველა და ყველაფერი ტყუა. ჩვენს ტელევიზიებს ვერ ვენდობი. ეს ტელევიზიები რას დაამსგავსეს, კაცო? რა საშინელებაა... რას ჰგავს ეს? ფირი იღებს იმას და ფირს ატყუებ? ტყუილი ბოროტებაა, რაშიც ჩადებ ტყუილს, ის განწირულია დასაღუპავად!

**- ბატონო ოტია, რას ურჩევდით საზოგადოებას, თუნდაც ჩვენი გაზეთის მკითხველს?**

- **ვის ეყურება, კაცო?** ადრე, გაზეთში რომ ვინმეზე რამე დაიბეჭდებოდა, პასუხს აგებინებდნენ, ერთი ალიაქოთი იყო! გამორბოდნენ კისრისტეხით, არიქა, სახელი გამიტყდაო.... ახლა ვის ეყურება? მეც ბევრი მითქვია და სხვასაც, მაგრამ ვინმე გვპასუხობს? ვინმე გვაგდებს კიტრად? იქნებ მტყუანი ვარ, ბატონო, და გამამტყუნე, მაგრამ არავინ არ აბარტყუნებს ყურს! რჩევა მიეცით საზოგადოებასო, მითხარით და მწარედ მომხვდა გულზე... მე რა უნდა ვურჩიო, დაქცეულია ქვეყანა.

აქანე მოვიდნენ ვიღაცები. ჩამოდიან ხანდახან... რა ვქნა, ჭიშკარს რომ გადმოაბიჯებს ადამიანი, ვეღარ გავაგდებ... იმასაც ხომ თავისი საქმე აქვს. ლეჩხუმიდან, ბათუმიდან ჩამოჰყავთ ხოლმე ბავშვები. ვეუბნები, იქნება წიგნში ჩეიხედოთ-მეთქი. ჩვენ ხომ საერთო ეროვნული გამოთაყვანება გვჭირს. ჩხუტელიდან მოიყვანეს ბავშვები. ოთხასი მოწაფე ჰყავდათ უწინ სკოლაში. ახლა რამდენი გყავთ-მეთქი, ვკითხე? ოთხმოციო, მიპასუხეს. დევიღუპეთ-თქო, შევიცხადე, იმათ კი გააგრძელეს, ეგ რა არის, სექტემბრიდან მხოლოდ სამი ბავშვი მოვა სკოლაშიო. ამის პატრონმა სხვაზე თუ შეიძლება ვილაპარაკოთ?

მთელი სვანეთი დაცლილია, სამაგიეროდ, ბარსელონაშია ოცი ათასი ქართველი ჩაწერილი, ეს მარტო ამ ქალაქში. შარშან ვიყავი სტუმრად. ტაძარი არა აქვთ და რაღაც შენობა აქვთ ნაქირავები. ერთი მღვდელიც წაუყვანიათ აქედან. რა არის ეს, საერო დარბაზში გაქვთ-მეთქი ეკლესია? ვაშენებთ ახალ ეკლესიას აგერ ბარსელონაშიო, მომახარეს. ის დაგიბრუნდება უკან? მომსპარია შობადობა ჩვენში, **აშენდა ივანიშვილის ოჯახი, მარა არ გვაძლევს ნებას მადლობის თქმისას, თორემ ერთადერთია საჩხერე, სადაც შობადობა პლუს 11 ბავშვია!..** დანარჩენი სულ დაქცეული, განადგურებულია. სამჯერ ვიყავი სამკურნალოდ ავსტრიაში,



მეხვეოდნენ ჩემი ბავშვები თავზე, ვითომ რამეს მშველოდნენ.

**- ახლა როგორ გაქვთ ჯანმრთელობა, ბატონო ოტია?**

- სამჯერ კი ვიყავი იმ ოჯახაშენებული **ივანიშვილის** წყალობით ავსტრიაში, მარა ნამეტანი საშინელი ფასებია იმ კლინიკებში. გავაკოტრე ეს მადლიანი კაცი, იგი არ იშლის, თუარა, მე რავა ვაკადრებდი ამდენს. ექვსი თვის მერე საკონტროლო შემოწმებაზე უნდა ჩამოხვიდეო, მითხრეს. ისე, ქე ვთოხნიდი ამ დილით, თოხი მაინც არ გამიგდია ხელიდან.

**- ხუმრობთ, ბატონო ოტია? თქვენ ახლა უნდა ისვენებდეთ და წერდეთ...**

- რა მაქვს, ბიჭო, სახუმარო? კი მიჭირს, მარა მცენარეს უფრო უჭირს და მე თქვენსავით დაყრუებული კი არა ვარ. გამოვთოხნე ორანჟერეაში, რა დამაჯენს ტყუილა? **რად მინდა მე პოზიცია და ოპოზიცია, თუ ჩხუტელში სამი ბავშვის მეტი არ მოვა სკოლაში?** ვინმემ ახსენა აქეთა მხარე? რომ დეიქცა და დეიცალა აქეთ სოფლები, ახსენა ვინმემ? სვანეთში ვიყავი-მეთქი, გითხარი. სოფელი ცანა ევიარე. მაგი ცანის წყალია, ჩვენ რო ცხენისწყალს ვეძახით... დაცლილი სოფელი დამხვდა, ერთი კაცი იყო მინდია ჩარკვიანი დარჩენილი და იგიც მომკვდარა... „შვიდ წელიწადს არ უნახავთ სვანებს გემო მარილის", - წერდა გალაკტიონი, მარა ის კაცი ცხოვრობდა იქ. რას დავემსგავსეთ? სად გავრბივართ? სადაც გავძლებით, სამშობლო იქინე გვგონია? რა გადაარჩენს ამნაირ ერს?

61 კოდორელი ბოვში მომიყვანეს. მოვეფერე. არ გეგონოთ, სხვაგან იყოთ, ესეც თქვენი სამშობლოა-მეთქი. ადრე დაკარგულს კოდორი და ახალგორი მიამატეს ახლა, კაცო... ვეხვეწები ყველას, წიგნში ჩეიხედონ, რადგან ამგენს შტერი უნდათ, ცდილობენ, დაგვაბრმაონ, გამოგვათაყვანონ და მერე გაგვაქციონ...

**- რატომ, რა არის მიზეზი?**

- საოცრებაა, კაცო, ესენიც ამ ქვეყნის შვილები არ არიან? ის ვინცხაა კიდო, სოროსი თუ ეშმაკები, ამათ რომ აფინანსებს, ამიხსნას, რაში ყრის ფულებს, გამოთაყვანებაში? რას ჰქვია კოსმოპოლიტიზმი? ბაბილონის გოდოლი დაანგრია ღმერთმა. ამათ რა უნდათ ჩემგან, რომ გამოვთაყვანდები, რა ბედნიერებაა ამერიკისთვის? თუ ქვეყნიერება ერთ ჯოგად გადაიქცევა, რომელსაც არც აზრი ექნება, არც ეროვნება, რად უნდათ ეს ყველაფერი?

**- რას ეტყვით ჩვენს ხელისუფლებას, ბატონო ოტია?**

- არ გადამრიო, კაცო, შენ ახლა, **სადა გვყავს ჩვენ ხელისუფლება?** ის კაცი ჩამოვიდა ამერიკიდან და რაფრაც მაგი იტყვის, ისაა მართალი! რა არის კაი? ჯერ შეურაცხყოფაა ეგ ჩემი. რას ჰქვია, მოდიხარ და მეუბნები, არჩევნები ჩატარდა საუკეთესოდო. კი მარა, მე არ ვიცი, რაცხა ჩავატარე? მაგასო გაუფრთხილდიო, მაგიო ჩვენ გვჭირდებაო... **მაგას რომ სჭირდება, მე მჭირდება?** ამერიკამ მხარი დაგვიჭირაო... როდის იყო, ამერიკა მხარს არ გვიჭერდა, მარა რას გვიკეთებდა? რაში გამოიხატება მხარდაჭერა? ომი რომ დეიწყო, მაშინ სად იყო და ახლა იძახის, რუსი გევიდესო? ახლა რაფერ გავა, როცა მოდიოდა, ვერ დაუშალე! ვისაა, კაცო, თვალებს რომ უხვევ, რას ჰგავს ეს? ასე აბუჩად აგდება ერის, ქვეყნის და კაცის შეიძლება? მაგან თქვაო, არ უნდა იყოს რუსი აქანაო... კი მარა, ეგ ვინ არ თქვა? რა მოყვა ამ თქმას? აგერ კაცმა, მე ვაღიარებ და ფეხზე მკიდია, სხვა თუ არ აღიარებს, კიტრად არ ვაგდებ მაგასო. თუ გგონია, ნატო და კატო რამეს მაქნისები არიან?

**სკამს არის ეს კაცი ჩაფრენილი, არადა, რაც მაგ სკამის გამო ცოდვებს იდებს, მტრისას.** იგი არ ქნათო, ხელი არ გაანძრიოთო, კონსტიტუციის ფარგლები არ გადალახოთო... მე ვიძახოდი: როგორც სააკაშვილმა მოახდინა მაშინ „ვარდების რევოლუცია", თქვენც ისე გააკეთეთ, ოღონდ იმაზე მეტი არ ქნათ-მეთქი.

**- ბატონო ოტია, მოსახლეობაში რა განწყობაა, რა მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა?**

- საშინელებაა, კაცო. ვინმე კითხულობს მაგ ამბავს? შენ იკითხე და გამიკვირდა. მიწის 80% მოუხნავია! ფერმები იყო 400-500-სულიანები. სად გაქრა, არ ვიცი. 18 ტრაქტორი გვყავდა. არცერთი აღარაა და რით მოხნას კაცმა, მითხარი? სტამბოლში ჩაზიდეს ჯართად... იმიტომ არ იყო შემოსაშვები სააკაშვილი ჩემს ეზოში. აგერ იყო შევარდნაძეც ორი საათი და ყველაფერზე მეუბნებოდა, მართალი ხარ, მართალიო. კი მარა, თუ მართალი ვარ, სად არის შედეგი? შევთავაზე, დავსხდეთ ბუხართან ერთი-ერთზე და ვილაპარაკოთ-მეთქი.

**- რა გიპასუხათ, ისაუბრეთ?**

- მითხრა, არაფერი დამალევინეო და... რას დავალევინებდი? ერთი ეგ იყო, პატარა სირჩა თაფლის არაყი დავალევინე,

ახლა პარლამენტი გადმოაქვთ ქუთაისშიო, გავიგე. სადაც არის, რას აკეთებს? რა უნდა პარლამენტს აქ? ყოველდღე კაცი ქვეყნის დაქცევას ხედავდეს და კიდე ხელს უწყობდეს, მე არ ვიცი, რა არის ეს! **ალჩერა რომ ჩატარდეს, გგონიათ, ხუთი მილიონი ვიქნებით? ნახევარიც აღარა ვართ! თბილისს გარეთაც გაიხედეთ და ისე იფიქრეთ ზოგიერთ საკითხებზე, თორემ ხომ ხედავთ, უკან-უკან მიდის ჩვენი საქმე!**

*ესაუბრა*

**ბექა სივსივაძე**

# რეპორტაჟი „სომხური ქობულეთიდან"

მგზავრობა თბილისიდან ქობულეთამდე 18 ლარი ღირს. თუ წესიერი სამარშრუტო ტაქსი და მძღოლი შეგხვდა, 5-6 საათში ჩახვალ. გზად ერთგან აჩერებს, მგზავრებმა რომ წაიხემსონ და ბუნებრივი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. ზოგ მძღოლს სურამში აქვს გაჩერება, ზოგი კი თერჯოლის გადასახვევთან ჩერდება.

მე რომ მივყვები, იმ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი სურამში აჩერებს. სამი თუ ოთხი სამარშრუტო ტაქსი უკვე დგას წასახემსებელ პუნქტთან და მგზავრებიც კარგა ბლომად ირევიან. უმეტესად **შავი ხალხი** ჭარბობს, რაც მაშინვე მხვდება თვალში, მაგრამ არ მიკვირს. ანდა რა გასაკვირია - ისინი ხომ ბათუმიდან თუ ქობულეთიდან მოდიან და ძლიერ გარუჯულები არიან პლაჟზე დიდხანს წოლის გამო.

თუმცა, შემდეგ, როცა იქ მოფუსფუსე ადამიანების საუბარს ვუგდებ ყურს, ვხვდები, რომ ამ **შავ ხალხში** ყველა მზით გარუჯული არ არის. **სომხურად საუბრობენ. ძალიან ბევრნი არიან, ყოველ შემთხვევაში, ქართველებზე მეტნი, რადგან ქართული საუბარი კანტიკუნტად ისმის.**

საპირფარეშოში შესვლას ვაპირებ. კარებთან ბებო ზის. ასე, სამოცდაათის მაინც იქნება. შეიძლება ცოტა მეტისაც და ისე ცხარობს, ახლოს მისვლა შეგეშინდება კაცს! ძალიან გაბრაზებულია, შეიძლება ითქვას, გაკაპასებული!

**- გადაიხადეთ ფული, თქვე გასაწყვეტებო! ამხელა გზაზე მიდიხართ, ზღვაზე მიბრძანდებით დასასვენებლად და 20 თეთრის გადახდა არ გინდათ?** - ლამის უყვირის ბებო ძირითადად იმ **შავ ხალხს,** მე რომ თავიდან მზით გარუჯულები მეგონა.

- **არ იხდიან ტუალეტის ფულს?** - ვეკითხები.

- **არ იხდიან, არა, 20 თეთრის გადახდა არ უნდათ! სომხებია, რომ არ იხდიან! ნახევარი საქართველო იყიდეს და 20 თეთრს არ იხდიან, ეს გასაწყვეტები! გაწყდეს მაგათი ჯიში!**

**- კარგი, ბებო, ნუ წყევლი, სირცხვილია, სტუმრები არიან!**

- **სტუმრები არა... სტუმრები მალე ჩვენ ვიქნებით აქანა, თორემ ესენი სულ მასპინძლებივით არიან. მთელი საქართველოს წაღება უნდათ ამ გასაწყვეტებს და 20 თეთრის გადახდა არ უნდათ!** - თანდათან უფრო და უფრო ცხარდება ბებო და რაც მთავარია, უკვე პოლიტიკურ-ეთნიკური დაპირისპირების სიღრმეებში იჭრება.

- **კარგი, ბებო, კარგი, ეტყობა, ქართული წარწერა რომ კიდია „ტუალეტი - 20 თეთრი", ვერ კითხულობენ და იმიტომ არ იხდიან... სომხურადაც გააკეთე ეს წარწერა და გადაიხდიან მერე!** - ვცდილობ, დავაცხრო ბებო. მითუმეტეს, რომ მისი რისხვის ობიექტები მის გაკაპასებას ყურადღებას არ აქცევენ და გულგრილად უვლიან გვერდს. მართალია, ქართული არ იციან, მაგრამ ვეჭვობ, ვერ ხვდებოდნენ, რა აცხარებს ქალს, რომელიც ტუალეტის კარებთან ზის და რომელსაც პატარა მაგიდაზე ბევრი ხურდა უყრია.

- **სომხური წარწერა გავუკეთო, არა... „ვეფხისტყაოსანს" გადავუთარგმნი სომხურად, არ უნდათ? ქართველებმა რომც არ გადამიხადონ ფული, არაფერს ვიტყვი, მაგრამ ამათ რავა შევარჩენ, ამ გასაწყვეტებს... ა, ა, ა, შეხედე, როგორ მიიძურწება? გადაიხადე, გოგო, ფული! 20 თეთრი არა გაქვს, გოგო?!** - გოგო ყურადღებას არ აქცევს. მშვიდად უქცევს გვერდს.

ამასობაში მძღოლი სადილობას რჩება. მაგიდასთან შერჩენილ ორ მგზავრს - ქართველებს - (ისე მოიყარა საქმემ თავი, რომ ეროვნების დაკონკრეტება აუცილებელია) მთელი სამარშრუტო ტაქსი - 16 კაცი ველოდებით. როგორც იქნა, ისინდისეს, მიატოვეს სმა-ჭამა, ჩასხდნენ და გზა განვაგრძეთ!

●

**ჩავდივარ ქობულეთში - სამენოვან ქალაქში.** დიახ! ქობულეთი, როგორც წარწერებით, ისე ერთმანეთში მოსაუბრე ადამიანების მიხედვით, სამენოვანია - **სომხური, რუსული და ქართული.** ძვირფასო მეგობრებო, კარგად დაუკვირდით რიგითობას: **სომხური, რუსული და ქართული!** არა ქართული და მერე დანარჩენი ორი ენა, არამედ ჯერ სომხური და რუსული, ბოლოს კი - ქართული!

პირობითად და მარტივად რომ ვთქვათ, **10 დამსვენებლიდან 7 სომეხია და სამია მხოლოდ ქართველი, ოღონდ იმ 7-ში ე.წ. ქართველი სომხები, ანუ საქართველოში მცხოვრები სომხები არ შედის! მხოლოდ ერევნელი სომხები.**

მათგან უმრავლესობა **სომხურად** საუბრობს, მცირე ნაწილი - რუსულად!

**ქობულეთის ცენტრალური ქუჩა დავით აღმაშენებლის სახელს ატარებს და მისი სიგრძე 12 კილომეტრია. როგორც ამბობენ, ეს ყველაზე გრძელი ქუჩაა მთელ პოსტსაბჭოეთში. ამ 12-კილომეტრიანი ქუჩის ორივე მხარეს, თითქმის ყოველ მეხუთე ნაბიჯზე წარწერებია გამოკრული: „ქირავდება ბინა"! წარწერები, როგორც მოგახსენეთ, სამენოვანია - სომხურად, რუსულად და ქართულად წერია.** ზოგი წარწერა მხოლოდ ქართულად და სომხურადაა, ზოგი მხოლოდ სომხურად და რუსულად, ზოგიც მხოლოდ რუსულად. წარწერა **„ქირავდება ბინა",** მხოლოდ ქართულ ენაზე ვერსად ვნახე.

კაფე-ბარების უმრავლესობაში მენიუც ორ ენაზეა შედგენილი. ძირითადად ქართულ-სომხურად, უფრო იშვიათად, ქართულ-რუსულად!

კაფეებში, ბარებსა და ბუნგალოებში იშვიათად უკრავენ ქართულ სიმღერებს. უფრო მეტად რუსული სიმღერები ისმის, შემდეგ კი - **სომხური მელოდიები!** რამდენიმე ასეთ ბარში მიმტანებმა და ადმინისტრატორებმა მითხრეს: **თუ სომხური ან რუსული რეპერტუარი არ ჭარბობს, სომხები არ შემოდიან, ისინი კი იმდენი არიან, თუ არ შემოვიდნენ ჩვენს ბარში, ზარალზე მოგვიწევს მუშაობა!**

როგორ მოგწონთ, პატრიოტო ქართველებო?! ქობულეთის ნებისმიერ ბარში, სადაც სომხური მუსიკა არ უკრავს, სომხები საჭმელად არ შედიან!

ჩვენ კი, **„გიჟ-ვრაცუები"** და **„ტანცი-მანცი ლავ-ხა-ლუმეს"** მოყვარულები ყველაფერზე ვბუქნაობთ!

●

პლაჟთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ღია კაფეში შევდივარ წასახემსებლად. როგორც ნამდვილ ევროპელებს შეგვეფერება, კაფეს „ევროპა პლუსი" ჰქვია. შეკვეთას ვაძლევ. კერძი საკმაოდ მალე მოაქვთ. შევექცევი.

- **უკაცრავად, რა ჰქვია კერძს, რომელსაც თქვენ მიირთმევთ?** - თავზე წამომადგა და რუსულად მეკითხება შუახნის სომეხი ქალბატონი.

- **ოჯახური!** - ვეუბნები თავაზიანად!

- **ააა, ოჯახური!** - ჩაილაპარაკა და ასევე თავაზიანად დამემშვიდობა!

იმ კაფეში მენიუ მხოლოდ ქართულ ენაზე შეედგინათ!

**იმედია, მომავალი სეზონისათვის შეცდომას გამოასწორებენ და მენიუში კერძების დასახელებას სომხურადაც ჩაწერენ!**

**თუ არა და, კლიენტების უმრავლესობის უკმაყოფილებას მოიმკიან!**

●

პლაჟი ცალკე საუბრის თემაა. აქ ნამდვილი **სომხეთია** და თქვენ წარმოიდგინეთ, მოხარშული სიმინდის დამტარებლებიც კი ქართულთან ერთად, **სომხურად** გაჰკივიან: „ცხელი სიმინდიიიი".

ქობულეთში 5 დღე დავყავი. ყოველდღე საშუალოდ 2-3 საათს მაინც ვატარებდი პლაჟზე და მომავალ სეზონზე თუ კიდევ ამდენივე ხნით მომეცემა ქობულეთში დასვენების საშუალება, მერე მოვსეს ხორენაცის, მათეოს ურჰაეცის და სხვა სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებს ორიგინალში წავიკითხავ. მაინტერესებს, რას წერენ სინამდვილეში.

**5 დღის განმავლობაში ყოველდღე 2-3 საათს ვატარებდი პლაჟზე-მეთქი, მოგახსენეთ და ქართულ ლაპარაკს რომ მოვკრავდი ყურს, ისე მიხაროდა, როგორც სტამბოლის ბაზარზე მონად გასაყიდ ქართველ ყმაწვილს გაუხარდა სულხან-საბას ქართულის გაგონება!**

●

და ბოლოს, იმას, რაზეც ახლა ვიტყვი, არცერთი სომეხი არცერთ სომეხს, არცერთი თურქი არცერთ თურქს და გნებავთ არცერთი მოზამბიკელი არც ერთ მოზამბიკელს არ გაუკეთებს. მეტიც, არათუ თვისტომი თვისტომს, არამედ მტერი მტერს არ გაუკეთებს და არ აკადრებს ამას. **ამას მხოლოდ ქართველი თუ გაუკეთებს ქართველს!**

**ვგულისხმობ იმას, რომ ქობულეთის კაფეებში, ბარებსა თუ რესტორნებში ხალხს უთოფოდ აყაჩაღებენ და უსკალპელოდ აძრობენ კანს.**

როგორც იტყვიან, ფასებს ცეცხლი უკიდია! არა! საკურორტო სეზონზე ფასების მატება ახალი და გასაკვირი ამბავი არ არის, მაგრამ იმას, რაც წლევანდელ ზაფხულს ქობულეთში ხდებოდა, აშკარად დამცინავი და დამამცირებელი ხასიათი ჰქონდა!

პირველ რიგში, ეს ულუფების არნახულ სიმცირეს ეხება!

**დიდი თავხედობა და კლიენტის დაცინვაა, როცა, ვთქვათ, მწვადში 8 ლარს გახდევინებენ და საუზმის თეფშით მოაქვთ ხორცის 5 ნაჭერი, რომელიც თავისი სიდიდით** (თუ სიმცირით) **მწვადის სტანდარტულ, ტრადიციულ ზომას თუ ავიღებთ, ორ ნაჭერსაც არ უდრის.**

კლიენტის დაცინვა და დამცირებაა, როცა, მაგალითად, პიცაში **12 ლარს** გახდევინებენ და შემდეგ მოაქვთ გაურკვეველი ფორმისა და შეფერილობის **6 სიფრიფანა ნაჭერი,** რომელიც ცუდად შემწვარ ერბო-კვერცხს უფრო ჰ გავს, ვიდრე „პიცას ბეკონით".

კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო?

არ ვიცი, რა ჰქვია ამას, ოპერაცია **„დაყაჭე ფულები"** თუ ოპერაცია **„შემოდი მშიერი, გადი მშიერი",** მაგრამ ვიცი ერთი: **ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ მოხდება! ასეთ რამეს არცერთი თავმოყვარე ქვეყნის თავმოყვარე ხალხი არ იკადრებს! ამას, უბრალოდ, ყალთაბანდობა და თაღლითობა ჰქვია!**

●

**თუ გიჟ-ვრაცუობა არ მოვიშალეთ, რაც გვემუქრება, ის აუცილებლად დაგვემართება!**

**მერე ვირტყათ თავში ხელები და ვიძახოთ: ჰასტვაწ, ინჩუ ჰამარ!**

**მართლაც, ღმერთო, რისი გულისათვის!**

**ჯაბა ხუბუა**

# მათ აღიზიანებთ სტალინის მართლმადიდებლური სიმპატიები



**გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ხელმძღვანელთან გიორგი ანდრიაძესთან, რომელსაც მას შემდეგ დავუკავშირდით, რაც 21 აგვისტოს გორში სტალინის ძეგლს წითელი საღებავები შეასხეს.**

- **ეს არის ბრძოლა ისტორიული პიროვნებების წინააღმდეგ; იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ეწერება სოროსისა და მისი თანამზრახველებისა თუ დაქირავებული პირების გეგმაში.** მკვდარია ის პიროვნება თუ ცოცხალი, ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, როგორ მოიაზრება ესა თუ ის მოღვაწე გლობალისტურ იდეოლოგიის სივრცეში!

**სტალინთან ბრძოლა რომ აშკარა ფარისევლობაა, კარგად ჩანს იქიდან, რომ, თუ ვინმეს საბჭოთა სისტემასთან და მსოფლხედვასთან ბრძოლა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ლენინს უნდა ებრძოლოს. მაგრამ ლენინი მშვიდად უწევთ მავზოლეუმში და მის წინააღმდეგ ერთ გადაკრულ სიტყვასაც არავინ ამბობს.**

**- რა არის ამის მიზეზი?**

- ამის მიზეზი ზედაპირზე ძევს: **გლობალისტურ ძალებს, ამ კოსმოპოლიტ სექტანტებს ყოველთვის აღიზიანებდათ სტალინის მართლმადიდებლური სიმპათიები. ამ შავბნელ ძალას სტალინისთვის ვერ უპატიებია, რომ მან რუსეთსა და საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიების ავტოკეფალია აღადგინა და სრული რეაბილიტაცია მოახდინა ლენინის ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკით განადგურებული ეკლესიისა.**

ეს არის შურისძიება სტალინზე.

მაგრამ ვერც საღებავების შესხმით და ვერც სტალინის განქიქებით ამ დიდ ისტორიულ პიროვნებას ვერაფერს დააკლებენ. პირიქით, **სტალინის წინააღმდეგ მებრძოლი „ლენინელებისა" და „სოროსელების" შემხედვარე, ხალხი კიდევ უფრო დიდ პატივს მიაგებს სტალინს!**

**- ბატონო გიორგი, იქნებ, სტალინის ძეგლისთვის საღებავის შესხმა ჩვეულებრივი ხულიგნობაა და არა მიზანმიმართული პოლიტიკის გამოვლინება?**

- არა, ბატონო! **ეს არის სოროსული ჯგუფი, რომელიც ებრძვის როგორც ეროვნულ ღირებულებებს, ასევე რელიგიურ ღირებულებებს.** ამ სოროსულ ძალას საქართველოში აქვს სხვადასხვა გამოვლინება - ნაწილი „ვარდოვნულ ხელისუფლებას" წარმოადგენს, ნაწილი - ოპოზიციას, ნაწილი - ე.წ. არასამთავრობო სექტორს და ნაწილიც - მედიას, განსაკუთრებით ტელევიზიებს...

**სააკაშვილი მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის წარმომადგენელია, რომელსაც ქვეყნის გარედან კარნახობენ, რა უნდა გააკეთოს... უფრო სწორად, რა უნდა გააფუჭოს!**

**- ანუ, სტალინთან ბრძოლას სააკაშვილის თვითშემოქმედებას ვერ მივაწერთ?**

- არავითარ შემთხვევაში! **ვინც ესენი გამოზარდა და დააფინანსა, სწორედ ისინი მართავენ პროცესებს საქართველოში... სააკაშვილის რეჟიმი მხოლოდ შემსრულებელია.**

შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ ფინეთში დღესაც დგას რუსი და შვედი იმპერატორების ძეგლები, რომლებსაც არაფერს ერჩიან. ამ იმპერატორებმა წარსულში არაერთგზის დაიპყრეს ფინეთი, მაგრამ ფინელებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მათ ძეგლებს ებრძოლონ და საღებავები შეასხან!

ამიტომაც ვიძახი, რომ **დღეს საქართველოს მართავენ ლენინის სულიერი მემკვიდრეები, რომლებიც ლენინური სიშლეგით ებრძვიან მართლმადიდებლობას!**

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: **სტალინს ებრძვის ის ხელისუფლება, რომელსაც შაგრენის ტყავივით შემოადნა ხელში საქართველო. ებრძვიან იმ სტალინს, რომელიც, ყველასთვის ცნობილია, როგორ გეგმავდა საქართველოს დაკარგული ისტორიული მიწების შემოერთებას.**

**- სტალინს ბრალს სდებენ იმაშიც, რომ საქართველოს ოკუპანტ რუსეთის ხელისუფლებაში დღეს სტალინის მემკვიდრეები არიან...**

- **რუსეთს დღეს „კაბებეს" სკოლაში გამოწვრთნილი ლენინის მემკვიდრეები მართავენ. ისინი რომ სტალინის მემკვიდრეები ყოფილიყვნენ, იმას არ გააკეთებდნენ, რასაც აკეთებენ!**

**- ალბათ, ხშირად გსმენიათ, როგორ აიგივებენ სტალინსა და ჰიტლერს...**

- ესეც მორიგი სოროსული აბსურდია! **სტალინის გენიის შემწეობით, კაცობრიობა ჰიტლერის ავადმყოფურ გეგმებს გადაურჩა. მაგრამ ეს რომ აღიარონ, მაშინ სტალინი კი არ უნდა განაქიქონ და ათასგვარ სიბინძურეში დაადანაშაულონ, არამედ შესაბამისი პატივიც უნდა მიაგონ. ეს კი მათი სიკვდილის ტოლფასია.**

სტალინისა და ჰიტლერის გაიგივება ისეთივე სისულელეა, როგორც - ლენინისა და სტალინისა! **სტალინმა პირისაგან მიწისა აღგავა როგორც ჰიტლერული ფაშიზმი, ასევე ლენინური კაცთმოძულე, ანტიქრისტიანული ბოლშევიზმი!**

როგორ უნდა გავაიგივოთ სტალინი და ჰიტლერი, როდესაც არსებობს დასავლური სამყაროს ლიდერების გამონათქვამები სტალინზე. **გადაშალონ წიგნები და წაიკითხონ, რა ქება-დიდებას ასხამენ სტალინს რუზველტი, ჩერჩილი, დე გოლი...** ვიღაც იტყვის, ეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გამონათქვამია, მაშინ დასავლეთს სტალინი ჰიტლერთან ბრძოლაში სჭირდებოდაო!

არა, ბატონო, სტალინს მოკავშირეები ომის დასრულების შემდეგაც განადიდებდნენ..

**- თქვენი აზრით, არსებობს რაიმე არგუმენტი გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლის აღების სასარგებლოდ?**

- ეს ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. როდესაც სტალინის ანტიქართულ საქმიანობაზე ლაპარაკობენ, **ერთი შეეკითხონ აფხაზ სეპარატისტებს, რატომ არიან დღემდე უკმაყოფილონი აფხაზეთში ქართველების ჩასახლებით! თუ სტალინი საქართველოს მტერი იყო, მაშინ რატომ ჩაასახლეს მისი მმართველობისას აფხაზეთში ქართველები?**

*ესაუბრა*

**გიორგი გიგაური**

# ტარიელ ჭანტურია «მამულის» ობიექტივში



არ დაიჯეროთ, პოეზიაში იყოს საიდუმლო, რომელიც იცოდა აკაკიმ და არ იცოდა რუსთაველმა!

იცოდა ვაჟამ და არ იცოდა რუსთაველმა! იცოდა გალაკტიონმა და არ იცოდა რუსთაველმა! იცოდნენ პოეტებმა: იმავე ტიციანმა, იმავე გოგლამ, იმავე ანა კალანდაძემ, იმავე მურმან ლებანიძემ... და არ იცოდა რუსთაველმა! იმავე გალაკტიონს უწერია, რომ „უდარებლად მცოდნე ლექსის ხერხის", უწინარეს ყოვლისა, სწორედ რუსთაველია. ამიტომ გამოიყურება აბსურდად იმის გაუთავებლად მტკიცება, რომ გალაკტიონის მერე, გალაკტიონის გარდა, გალაკტიონის... და ასე შემდეგ! გალაკტიონი დიდია იმიტომ, რომ იგი სხვებზე უკეთესი იცოდნეა ლექსის ხერხის, დიდმა ქართულმა პოეზიამ რუსთაველისგან რომ მიიღო მემკვიდრეობით, იმ ხერხის, დიდმა მოძღვარმა რომ დაუტოვა საქართველოს ანდერძით!

„ქართული პოეზია დღესაც გალაკტიონის გზით მიდის, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით ისევ გალაკტიონის გზით მიდის..." (ვ. ჯავახაძე). ლოგიკური შეკითხვა გიჩნდება: რატომ მიდის გალაკტიონის გზით და რატომ არ მიდის რუსთაველის გზით! „ძველი ხერხი - გახდე ახალი!" - პირადად მე მომწონს ფროსტის ეს სწავლება! - რუსთაველის ძველი ხერხი ანუ, თუ გალაკტიონის ენით ვიტყვით, ლექსის ხერხის ეს უდარებელი ცოდნა მუდამ ახალი ფენომენია, და იგი საშუალებას იძლევა, ამ ძველი ხერხის წყალობით შენც იყო ახალი!

ვ. ჯავახაძე წერს: კონსტანტინე გამსახურდიას უბრძანებია, ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს შედევრებს ვერ დაწერდნენო! ახლა კითხვას შევაბრუნებ: გალაკტიონი კი დაწერდა „ვეფხისტყაოსანს"? მეტსაც ვიტყვი: რუსთაველი უფრო მოახერხებდა გალაკტიონის ლექსების დაწერას თუ გალაკტიონი - „ვეფხისტყაოსნის" შექმნას?! შეიძლება, კ. გამსახურდიას ეს აბსურდული ფრაზა დავიმოწმოთ? რისთვისაა ეს საჭირო! რით ვერ დავილალეთ ამ არამკითხე რეკლამის კეთებით, ან კიდევ, ბრწყინვალე პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს - რად სჭირდება ამდენი რეკლამა, მითუმეტეს, რომ თავად იგი დიდებულად უწევდა რეკლამას საკუთარ თავს - გალაკტიონოლოგიის შექმნის იდეაც მან შემოგვთავაზა, სამტრედიისთვის საგალაკტიონოს დარქმევასაც ის მოითხოვდა და, მის გარდა ახლომახლო პოეტი რომ არ დადიოდა, ამასაც ის არ ქადაგებდა გამუდმებით? იქნებ არ იციან პასკვილანტებმა, გიჟი რომ იყო ეზრა პაუნდი! დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, და სიკვდილს სწორედ სიგიჟის დიაგნოზის წყალობით გადაურჩა. მერამდენედ ჩამოვთვალო გენიალური გიჟები - იგივე ჰოლდერლინი, იგივე სელინი, პაუნდი, ვან გოგი, გოგოლი, იგივე გრანელი... მარტო გალაკტიონის სახელს ადევს რატომღაც ტაბუ! რატომ - არავინ იცის! მაინც რაში მდგომარეობს ჩემი მკრეხელობა, არ არის საინტერესო? მე ერთ ბრწყინვალე პოეტს - გალაკტიონ ტაბიძეს - ვამჯობინე ყველაფერი, რაც დანარჩენ საქართველოს პოეზიის დარგში შეუქმნია! აი, ეს ყოფილა დანაშაული! როცა რეიტინგ-ლისტზეა საუბარი, რუსთაველს პირველი ადგილი გარანტირებული ექნება, მაგრამ მთელ ქართულ პოეზიას იგი ვერასოდეს ჩაანაცვლებს!

ახლა გალაკტიონს იყენებენ „მასობრივი მოსპობის იარაღად" - მხოლოდ ის არის და სხვა არავინო, და აცხადებენ ამას ბატონი ფსევდოფუტუროლოგები იმ მომავლის სახელით, რომლისაც არაფერი იციან, და არც შეიძლება იცოდნენ, ოცდამეორე და მომდევნო საუკუნეების სახელით გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი, და არ იციან, რომ ეს ვერდიქტი - აბსურდი არათუ ექვემდებარება გასაჩივრებას, არამედ ახლავე ცხადდება აბსურდად იმათ მიერ, ვინც უფლებამოსილია, ეს გააკეთოს - ნამდვილი მკითხველების, ყველაზე კომპეტენტური მკითხველების სახელით...

ვახტანგ ჯავახაძემ დაწერა აპოლოგია გალაკტიონზე! უნდა დაწერონ თუ არა სხვებმა - უდარებლად მცოდნეთ ლექსის ხერხის - სულ სხვა წიგნი გალაკტიონზე! - არა აპოლოგია, არამედ ნამდვილი, მართალი, ობიექტური, მიუკერძოებელი წიგნი დიდ პოეტზე, რომელიც იყო შეპყრობილი განდიდების მანიით, და თავისი დიდი ნიჭის წყალობით იოლად ახერხებდა, დაერწმუნებინა საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომ ქართულ პოეზიაში იყო მხოლოდ გალაკტიონი და სხვა არავინ! გაუგებრობები, რასაც ხელმოცარული პოეტები წერენ, თითქოს მეოცე საუკუნეში მხოლოდ გალაკტიონია და სხვა არავინ, ფაქტობრივად, გალაკტიონის ვირტუალური ანდერძის გახმოვანებაა, და ეს გაუგებრობები მანამ არ ამოიძირკვება, სანამ ამ თემას ხელს არ მოკიდებენ ნაღდი პოეტები - უდარებლად მცოდნენი ლექსის ხერხის - გალაკტიონის ამ ფორმულა-სტრიქონის დავიწყების უფლება არც პოეტებსა აქვთ და არც არაპოეტებს! წაგვიკითხავს კი გალაკტიონის თვალით ყველაფერი, რაც გალაკტიონის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ შექმნილა ქართულ პოეზიაში? გვიფიქრია იმაზე, რა მოეწონებოდა, რისგან მოვიდოდა აღტაცებაში, რას ჩათვლიდა გამეორების და გაძლიერების, განვითარების ღირსად? ისევ მინდა გუმილიოვის ფრაზების დამოწმება - კარგი ლექსი ისაა, რომ წაიკითხავ და გულში რაღაც ჩამორეკავს - „რატომ მე ვერ... რატომ მე არ..." ნუთუ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არაფერი შექმნილა ქართულ პოეზიაში ისეთი, გალაკტიონს ამგვარ გრძნობას და ამგვარ ფიქრს რომ გაუჩენდა! გინდათ ჩამოგითვალოთ? დაგისახელოთ ის პოეტები და ის ლექსები, დიდ პოეტს კეთილი შურით რომ აღავსებდა, აღაგზნებდა, დააფიქრებდა, ახალი შედევრების შესაქმნელად შემართავდა...

„ლიტერატურული გაზეთი"



*თანამედროვე ქართული ნოველის კლასიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე ამ ახალი ნოველით ოპოზიციის მიერ მოტყუებული უბრალო ადამიანების განწყობილებას გადმოგვცემს.*

## რევაზ მიშველაძე

# ოსტატები

მე, გითხრა სიმართლე, ახალი ვარ ამ საქმეში.

თბილისში ჭიჭია კვარაკვახიძემ ჩამომიყვანა.

თბილისში ნამყოფი რავა არ ვიყავი, მარა ამ საქმეზე - არა.

ჭიჭიას, რომ იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი პრეზიდენტების გადმოგდებაში.

ორი პრეზიდენტი ნაღდად ჰყავს დამხობილი და ახლა მესამეზე მუშაობს.

ამ მესამეზე, ქე იცით, ცოტა არ იყოს, ხელი მოგვეცარა.

უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა ე ოჯახქორი, ვიდრე ჩანდაო, ამბობს ჭიჭია, მარა იმედს არ კარგავს.

მოკლედ რო გითხრა, ოცდასამ აპრილს, ხუთშაბათს, ჩამევედით და პირდაპირ რუსთაველზე, შტაბში გამოვცხადდით.

ცხრას აღარაფერი აკლდა. ღრუბლიან-სუსხიანი დღე იყო, რავარც თბილისმა იცის.

ამ დროს ჩვენთან ტყემლის ყვავილობა გათავებულია.

თბილისში კი, ეს რა ვნახე, გაზაფხული, თურმე, მაისის ბოლოს იწყება.

სამ მეხანძრისკურტკიან ბიჭს მაგიდაზე ფეხშეწყობილებს ეძინა. თავები უკან გადაეგდოთ და ერთმანეთში თითებშეყოფილი ხელები მუცლებზე ედოთ.

ქუთაისიდან გახლავართო, სამი გამღვიძებელი დახველების მერე აუწყა მასპინძლებს ჭიჭიამ.

გისმენთო, ერთმა.

თავები, რომ არ მოგატყუო, არ აუწევიათ. ჩანდა, დაღლილები იყვნენ.

ჩვენ თვითონ გისმენთო, ჭიჭიამ.

ამ საქმეზე ვართ ჩამოსული და რა გავაკეთოთ, რავა იქნება ჩვენი საქმე, საით ვქნათ პირი, რას დაგვავალებთო.

გამომდგარი რო იქნება კაცი. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება. მარტო რო ვყოფილიყავი, ჯერ ერთი, ვერ გავბედავდი ამგენის გაღვიძებას და მეორეც... დევიწყებდი ლუღლუღს და მიდებ-მოდებას, რავარც ვიცი საერთოდ.

მე ჭიჭია ვარ კვარაკვახიძეო, მეტი დამაჯერებელობლისთვის დასძინა ჭიჭიამ.

სამეულმა ერთმანეთს შეხედა. ცნობით, რასაკვირველია, ვერ იცნეს (რევოლუციის საქმეში ან ეგენი იყვნენ ძალიან ახლები, ან ჭიჭია იყო ძალიან ძველი), მაგრამ სამივემ მოიბოდიშა, გვაპატიეთ, გამოცვლილხართ და ვერ გიცანითო.

ეს კაცი იუზა სანდუხაძეა, ჩემი მეზობელი, ჩვენნაირად მომართული კაციაო, გააცნო ჩემი თავი ჭიჭიამ მთავარბანაკის მორიგეებს, რომლებიც, როგორც შევატყვე, არც ჭიჭიას იცნობდნენ და მე - მითუმეტეს.

„მომართულს" ფიქრით გავეკიდე. რა ჩემი საქმე იყო ჯანყობია და მიტინგობია. როის იყო, პრეზიდენტებს ჭიჭიასავით ქვით რო დავსდევდი, მარა გაცხარებული ცხვარივით მომივიდა.

მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი.

საპნის ფაბრიკაში ვმუშაობდი, მაქანა, გოჭოურაზე. ორ საპონს და ას ლარს მაძლევდნენ თვეში.

ერთ უბედურ დღეს გამოგვიცხადეს: დეიხურა ფაბრიკა, წაით სახლებშიო.

ვინ დახურა, ასე რანაირათ, სა წევიდეთ, რა ვაჭამო სამ ბაღანას-მეთქი.

შენ ჭურში ხვარ გძინავსო, მიპასუხეს, საპნის ფაბრიკა კი არა, „ავტოზავოდი", აბრეშუმკომბინატი და „სტეკლოტარა" დახურეს ამგენმაო.

კი მარა, ე სამი ბოვში რო შიმშილით მომიკვდეს, ვის მოვთხოვო პასუხი-მეთქი.

ვის და, სააკაშვილსო.

ა, ეს იყო სულ ჩემი გადარევის მიზეზი.

წელიწადი ვითმინე, მივდექ-მოვდექი, მარა რამდენი ჩემნაირი დაბორიალობს და დეისაწყლება ქუთაისში.

სადაა საქმე, სადაა სამუშაო... ამევიდა ყელში ამდენი ტყუილი... ტელევიზორში ტყუილი, პარლამენტში ტყუილი, საკრებულოში ტყუილი, მერიაში ტყუილი...

ვეღარ გავუძელი და გამოვყევი ჭიჭიას პრეზიდენტის გადმოსაგდებად.

●

რუსთაველზე ცელოფანშემოკრული, ახალთახალი, მშვენიერი საკანი დაგვიდგეს მე და ჭიჭიას.

ორფა ლეიბები ზედ ასფალტზე დაგვიწყვეს და კარავს „დომსვიაზის" მხარეს დიდი, წითელი ასოებით დააწერეს „19".

მთელი ღამის ნამგზავრები მივეყარეთ და ქე მიგვძინებოდა.

შუადღისას დინამიკების ღრიალმა წამოგვყარა.

ზედ ჩვენი კარვის გვერდზე დაეღო პირი „გამაძლიერებელს" და რუსთაველს აყრუებდა.

ჭიჭია რადიო-მანქანასთან მივიდა.

რადიოს თხაწვერა ბიჭმა ყური პირთან მიუტანა.

- დოუწიე ცოტა, - სთხოვა ჭიჭიამ.

- ვერ გავიგე? - ყურის მიკროფონი მოიხსნა თხაწვერამ.

- დოუწიე ცოტა, ღმერთი არ გწამს? - შეევედრა ჭიჭია.

- ბატონო, თქვენ ხომ თქვენს საქმეს აკეთებთ, ასე ვაკეთებ მე ჩემს საქმეს, - აუხსნა დინამიკების „სპეციალისტმა".

- ცოტა რო დოუწიო, რა იქნება, ხალხი ვართ ჩვენ აქანა, დაგვისკდა ყურები, -შერბილებული კატეგორიულობით უთხრა ჭიჭიამ.

თხაწვერამ თავი დაუქნია და ზურგი შეაქცია.

დინამიკებს კი, ხმა თუ მოუმატა, თორემ მოკლებით ნამდვილად არ მოუკლია.

ყოველდღე ორიდან გვიან საღამომდე გრიალებდა მიტინგი.

ზღვა ხალხი იდგა რუსთაველზე.

ჩვენი მომარაგების საქმე ასთე იყო: თავიდან დღეში ორჯერ მოჰქონდათ „სუხოი პაიოკი" (პური, იაფიანი ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი ვაშლი... და ათი ლარი ფულად ფული თითო კაცზე). მერე და მერე დღეში ერთხელ დეიწყეს „სუხოი პაიოკის" მოტანა და ბოლოს მთლად შეგვიწყვიტეს. ათ ლარს გვირიგებდნენ და უნდა გვყოფნოდა.

გაგვქონდა თავი, რავარცხა იყო.

ჯერ ერთი, საკნებში ხალხი რო შეთხელდა (ჩვენს გასწვრივ ექვსი საკანი ცარიელი იყო), ფულის დამრიგებლებს არ ვუმხელდით; „ახლა აქ იყო, ალბათ პერერივზე გევიდა, დაგვიტოვეთ და ჩვენ გადავცემთ", - ვეუბნებოდით ფულის დამრიგებელს. ტყუვდებოდნენ თუ თავის იტყუებდნენ, ქე გვიტოვებდნენ ხანდახან სამიოთხი საკნის ფულს და მეტი არც გვინდოდა. საჭმელი თავს არ გადაგვდიოდა, მარა არც საწუწუნოდ გვქონდა საქმე.

ო, რა ცეცხლს ანთებდნენ ჩვენი „ლიდერები".

ტყუილია, ჩვენ რომ მიტინგის საქმე ვიცით, ვერავინ დედამიწაზე ვერ შეგვედრება.

ისე ომახიანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, რომ მინდოდა, მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალე. ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უეჭველად გადადგება, მეშინია, თავი არ მოიკლას-მეთქი.

რვაზე მიტინგი რო შეწყდებოდა და ყურები დაისვენებდა, სულს მოვითქვამდით.

მიტინგის მერე იწყებოდა დიდი სახალხო სეირნობა.

„გამარჯვებული ხალხი" სეირნობდა რუსთაველზე.

იყო ერთი სემიჩკ-ნაყინობია და ჩურჩხელა-კამფეტობია.

ვინ იცის, რა ხნის უნახავები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდი: „ეს ერთი კაი მაინც გააკეთა გადარეულმა სააკაშვილმა, შენს თავს შემახვედრაო".

მისალმება-მოკითხვის მერე ჩასაკნებულებს ჩამოგვივლიდნენ.

ისე გვათვალიერებდნენ, როგორც გალიის ლომებს - შიშით და აღტაცებით.

ხალხის თვალში ჭეშმარიტ გმირებად ვჩანდით.

გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, მარა ჩვენს გვერდით ცარიელ საკნებში ღამის გათევაზე თავს იკავებდნენ.

„ცნობადი სახეები" (ეს ტერმინი აქანა ვისწავლე) გამოჩნდებოდნენ ხანდახან. უკან ტელეგოგოები და აპარატიანი ბიჭები მოჰყვებოდნენ. ჩვენ ბოდიშის მოხდით საკნიდან გამოგვიყვანდნენ. თვითონ შევიდოდნენ, სააკაშვილის მიმართ გუშინ ნათქვამ წყევლა-კრულვას ერთ-ორ წყევლა-კრულვას მიუმატებდნენ და წავიდოდნენ.

●

ერთი თვის მერე მიტინგები შეთხელდა, მარა შეთხელებული ადგილები საკნებით შეავსეს.

თბილისის ცენტრი საკნებით გეივსო.

ან საკანს სად ამზადებდნენ ასე თათარიახნად, ან ამდენ ცელოფანს სად შოულობდნენ.

ღამის თორმეტი საათის მერე საკნების ახლომახლო ლოთები და ბოზები გაჩნდებოდნენ. დაბარებულებივით მიადგებოდნენ იმ საკნებს, ვისაც სად ელოდებოდნენ.

მე და ჭიჭია თავს მევიმძინარებდით და პირველ ხანებში ვიგერიებდით „დაუპატიჟებელ სტუმრებს", მარა მერე და მერე კაცები ვართ და ქე გევიარეთ ღამის გოგოებში (რომელი ცარიელი საკნები არ იყო ირგვლივ ან ხელს შეგიშლიდა ვინმე). ერთი მაინც იმნაირი ლამაზი იყო და ისე საყვარლად სუნთქავდა (რავარც ახალნამშობიარევი უშობელი), რო მევიძვრე ი დასაწვავი რეზინა და მევისროლე - რად მინდა, გოგო, შენთან პრეზერვატივი, ღორის გრიპიც რო დემემართოს შენგან, არ ვინაღვლებ, იმნაირი კაი ხარ-მეთქი. მე შენი მეშინია, თვარა ჩემი იმედი გქონდესო, ერთი თვე არ იქნება, რაც ეს საქმე დევიწყეო... რა მოსაყოლი ეს იყო, მარა კაცები ვართ და ყველაფერი ხდება-თქვა, ზეით გითხარი. მართლაც, აშენდა მისი ოჯახი, სუფთა გოგო აღმოჩნდა.

ორი თვე რო გევიდა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით მეც და ჭიჭიაც.

„რაცხა არ გამოდის ისთე, რავარც გვქონდა ჩაფიქრებულიო", ამოიხვნეშებდა ხანდახან, „ბოლო პრეზიდენტის ჩამოგდებაზე სად იყო კარვობია და საკნობია, ორ დღეში გათავდა ყველაფერიო".

„კი მარა, ჩვენ აქანა საკნებში გვძინავს და ის რაფერ გადადგება იქანა-მეთქი", ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

„გადადგება, გადადგება. შენ ასწავლი ხაინდრავას? მეტი კი არაფერი უკეთებია. ჩვენდენი ცოდნა ერთ ნეკ თითში აქვსო", მეტყოდა ჭიჭია და „დამამშვიდებდა", თუმცა, ბოლო დღეებში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ხაინდრავას (ან სხვა, ნებისმიერ ლიდერს) ჩვენზე მეტი ჭკუა ცალ ნეკა თითში ეტეოდა.

ჭიჭიას მობილური ჰქონდა და ათ დღეში ერთხელ მარეკიებდა ცოლთან.

ჩამოვწერე ნათესავ-ნაცნობების სახელები და ვგზავნიდი ფულის სასესხებლად. რამეფრად გეიტანეთ თავი ნასესხები ფულით, ბევრი აღარ დარჩა, მალე გავათავებთ ამ საქმეს და ჩამოვალ გამარჯვებული-მეთქი, ვაიმედებდი თანამეცხედრეს.

ბოლო დარეკვები სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ყურმილში გააფთრებული ცოლის ღრიალი კი არა, ხრიალი მესმოდა: „არ ჩამოგიყვანა გამჩენმა მაქიდან! შე უსაქმურო, შე სალახანა! ე ბოვშები ჩემია მარტო?! პოლიციაში უნდა მივიდე ხვალ და პატრულს უნდა ჩამოვათრევიო შენი თავი! გაკოჭვის ღირსი ხართ ორივე - შენ და მაგ ლოთი ჭიჭია!"

„ქალო, მე საქმე მაქ აქანა, კი არ ვგლახაობ, მიხარია ორი თვე საკანში ჯდომა?!" - ვიყვირებდი ჩემდათავად, მაგრამ ცოლი ყურმილს გაცილებით უფრო ადრე დააახეთქებდა და ჩემი საბუთიანი მიზეზი, როგორც ჩანს, არ ესმოდა.

ჩემი გამობრძმედილი თანამებრძოლი - ჭიჭიაც ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან.

რაც ოპოზიციის ბელადებზე გული გაუტყდა, ჭიჭია გულჩათხრობილი გახდა და, ვიღას დავუმალო, სმას მიეძალა.

წავიდოდა, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, რაკი მე „საბუტილნიკად" ვერ გამოვადგებოდი (არაყს არ ვსვამ), ამოიღლიავებდა და სხვა საკანს მიადგებოდა.

ნაშუაღამევს ბრუნდებოდა მთვრალი. მიეგდებოდა და დილამდე თავდაღმა ეძინა.

ლოთები, საერთოდ, დილით ადრე დგებიან და სერიოზული სახეებით გარბიან თავიანთ ლოთურ საქმეებზე.

18 ივლისს რყევამ „გამომაღვიძა". წამოვხტი. ჭიჭია წასულია „პახმელიაზე" გამოსასვლელად.

გამოვვარდი გარეთ.

ჩვენს საკანს ოთხი გადაუცმელი პატრული დატაკებია და ეჯაჯგურება.

გულმა რეჩხი მიყო.

აქამდე სულ გადაცმული პატრული ჩანდა ჩვენს სიახლოვეს და ახლა რაკი ასე ღიად მოგვვარდნენ, რაღაცაშია საქმე-მეთქი.

ამასობაში ამოაძვრეს ასფალტზე პოლის ლურსმნებით ჩამაგრებული ჩემი საკანი და პირველი გიმნაზიის ჩასახვევისკენ მიახრიგინებენ.

მივიხედ-მევიხედე. ასეთ დღეშია სხვა საკნებიც.

რა წყალს ვეცე.

ჭიჭია მაინც ეგდოს აქანა. მე მევერევი პატრულს?

რას შობით! სა მიგაქვთ ე საკანი! ვინ მოგცათ ნება! ჩვენ მშვიდობიანი მესაკნეები ვართ-მეთქი, ვიყვირე მეც, რავარც სხვები ყვიროდნენ.

უნდა გადავწიოთო, მიპასუხეს.

რატო უნდა გადაწიოთ, გლახათ იდგა აქანა-მეთქი?

სტუმარი ჩამოდის და თვალში მოხვდებაო.

მეიცათ, მეიცათ! ეს საკანი ჩემი კი არაა, რა პასუხი გავცე, ვინც ჩაგვაბარა, ვინც დაგვიდგა-მეთქი.

ჩვენთან გამოუშვიო.

კი მარა, ასე გესმით, ბიჭო, თქვენ დემოკრატია? არ გრცხვენიათ-მეთქი? ვეცადე, ნამუსში ჩამეგდო პატრული.

ჩვენ ასე გვიბრძანეს, თვარა კი არ გვეხალისება ამ სიცხეში თქვენი ჭუჭყიანი ლეიბების თრევაო.

რო წავა სტუმარი, ისევ დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილზე-მეთქი? წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

წადი, წადი, ბიძია, საქმე ნახეო.

რას ჰქვია საქმე ვნახო, აპა, რას ვაკეთებ აქანა სამი თვეა-მეთქი, - თავი მევისაწყლე.

შენ, ლოთიანად, კრუხის თავი ხომ არ გიჭამია. ჩაგსვამ ახლა მანქანაში და გაწრუწუნებ თაგვივით განყოფილებაში. ერთ-ორ გემოიან ჟაჟს გამოგიწერ და გახეხიებ 30 დღეს პარაშასო, დამემუქრა მხარბეჭიანი პატრული და თვალებში ეტყობოდა, რაც თქვა, იმის გამკეთებელი იყო.

მოვშორდი. რა მექნა?

თავს ზეით ძალა არ იყო.

... იმ საღამოსვე მე და ჭიჭია ქუთაისში დავბრუნდით.

ჰო, დამავიწყდა; წამოსვლის დროს შტაბში შევიარეთ. იღბლად, იმ სამიდან ერთი, ბობრი მორიგე დაგვხვდა.

**ახლა ასთეა საჭიროვო. ასეთი ტაქტიკა და სტრატეგია შევიმუშავეთო. სექტემბერში ისევ დაგიძახებთო.**

ჭიჭიასი არ ვიცი და მე, ჩემდათავად, აქეთ ამ საქმეზე პირს აღარ ვიზამ.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, არც ეგენი არიან დამძახებლები, ისე შევატყვე ლაპარაკში.

**2009 წლის აგვისტო**



# ახლა უკვე ილიას ძეგლს გვიცვლიან შადრევნით!

**რამდენიმე დღის წინ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა შემაძრწუნებელი ინფორმაცია მოგვაწოდეს - ბათუმის ცენტრიდან ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღებას აპირებენ! საქართველოში უკვე არავის არაფერი უკვირს, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, თავიდან ჩვენც სკეპტიკურად მოვეკიდეთ ამ ცნობას. თუმცა, ფაქტი ჯიუტია!**

როგორც გაზეთ „ბათუმელების" (№34, 9-16 სექტემბერი, 2009 წელი) პუბლიკაციიდან ირკვევა,

**„ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები დრამატული თეატრის წინ არსებული სკვერიდან ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანას მოითხოვენ".** ძეგლის გადატანის ინიციატივა, როგორც დრამატული თეატრის მმართველი, კინორეჟისორი - **ზაზა ხალვაში** ამბობს, **„ქალაქის ინტელიგენციის ნაწილიდან წამოვიდა".** ინტელიგენციის ნაწილში, როგორც რეჟისორი ამბობს, მსახიობები - **იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, მწერალი დავით თედორაძე, პოეტები: ვახტანგ ღლონტი და ფრიდონ ხალვაში** იგულისხმებიან".

**„ჩვენს აზრს არქიტექტორები: ჯიმი გურგენიძე, გია ბაღიაშვილი და დათო ზოიძეც ეთანხმებიან",** - ამბობს ზაზა ხალვაში. მისი აზრით, **ძეგლი უხერხულობას იმ მხრივაც ქმნის, რომ თეატრთან მიმართებაში ზედაღულად დგას."**

რას ერჩიან ილიას ძეგლს?

როგორც „ბათუმელებისთვის" მიცემულ ინტერვიუში ხელოვნებათმცოდნე **რატი ჩიბურდანიძე** აცხადებს,

**„ამ დიდი მოქანდაკის (ელგუჯა ამაშუკელის) მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეჭვს არ იწვევს, რომ ილიას ძეგლის მხატვრული ღირებულება დაბალია".**

და რაც მთავარია: ბათუმის დრამატული თეატრის მმართველს - ზაზა ხალვაშს იმიტომ უნდა ილიას ძეგლის გადატანა, რომ მის ადგილას, არც მეტი - არც ნაკლები, **შადრევანი დადგან!**

**„ჩვენი იდეაა, ილიას ძეგლი თეატრის უკან, სკვერში დაიდგას. აქვეა ქართველ იუნკერთა საფლავებიც. ეს ადგილი ძეგლის აღქმისთვის უკეთესი იქნება და ქალაქიც კიდევ ერთ ლამაზ სკვერს შეიძენს, რომელიც ალლუმების გასამართავადაც გამოდგება".**

ზაზა ხალვაშის აზრით, **ახლა ქვეყანაში შადრევნების კულტურაა** და ის მიესალმება, თუკი ილიას ძეგლის ადგილას ლამაზი შადრევანი გაკეთდება: **„ამით თეატრიც დაისვენებს შენობის წინ გამართული მიტინგებისგან".**

მოკლედ, „საინიციატივო ჯგუფმა" ქალაქის მერის სახელზე შეადგინა წერილი, რომელიც ზაზა ხალვაშმა, **ჯერჯერობით,** კაბინეტში უდევს. როგორც ჩანს, **ჯერჯერობით,** საზოგადოების რეაქციას ელის...

**რეაქციაც არ დააყოვნებს!**

**თუ ელგუჯა ამაშუკელის მიერ შესრულებული ილიას ქანდაკება „დაბალი მხატვრული ღირებულებისაა", რა შეუქმნიათ ამ საცოდავ ზაზა ხალვაშსა და 30 ვერცხლზე გაყიდულ ვითომ-ხელოვანებს ისეთი, რომ თავიანთი არსებობა გაამართლონ?**

**ილია „ქვათა ღაღადში" „სომეხ ინტელიგენტთა ერთ გუნდს" ამხელდა და ამათრახებდა, დღეს კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბათუმელ ინტელიგენტთა ერთ გუნდს" მოუწევს დანტესეული „ჯოჯოხეთის მეიდევე წრის" გავლა!**

●

როდესაც სააკაშვილის რეჟიმის ანტიქართულობასა და ქართველთმოძულეობაზე ვლაპარაკობთ, არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც გამოიძებნებიან ისეთები, ვინც რადიკალურობასა და ორთოდოქსულობაში გვადანაშაულებს.

ახლა, იქნებ, მითხრას ვინმემ:

**მტერი თუ არა, აბა, რა უნდა დაარქვა იმ სულგაყიდულ არსებებს, რომლებიც ჩვენი აჭარის დედაქალაქის - ბათუმის ცენტრიდან ქართველთა სათაყვანებელი ილიას ძეგლის აღებას აპირებენ?**

**ვინ არის ისეთი გულუბრყვილო, დაიჯეროს, რომ ვინმე ზაზა ხალვაში და მისი ამფსონები დამოუკიდებლად, სააკაშვილისა და ვარშალომიძის თანხმობის გარეშე ბედავენ, სიტყვა წამოსცდეთ ბათუმის ცენტრიდან ილიას ძეგლის გადატანაზე?**

შეიძლება, მავანი დაეჭვდეს, სააკაშვილი, რომელსაც კაბინეტში ილიას უზარმაზარი სურათი უკიდია, როგორ დაეთანხმება

*ამ ბოლო დროს ისტორიულ პირთა ძეგლების ადგილმონაცვლეობის საკითხი ერთობ აქტუალური გახდა.* [illegible]

*მერაბ მეგრელიშვილი, ისტორიის დოქტორი;* [illegible]

სასტუმროებიდან დევნილები, [illegible]

ბოლოს და ბოლოს, რა დასამალია, რატომ გააძევეს თბილისის ცენტრიდან [illegible]

[illegible]



ბათუმის ცენტრიდან ილიას ძეგლის აღებას?

**დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცმიცემულმა სააკაშვილმა როგორღა გაიტანა თბილისის ცენტრიდან საქართველოს უპირველესი მეფისა და წმინდანის ქანდაკება?**

კარგად დავუკვირდეთ, რა განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ამ რამდენიმე დღის წინათ „რედისონად" გადაქცეული „ივერიის" საზეიმო გახსნის ცერემონიაზე:

**„შევარდნაძის მთავრობამ იმის მაგივრად, რომ ამ ხალხისთვის უკეთესი პირობები შეექმნა, 16 მილიონ ლარად, გალატაკებულ ქვეყანაში, რომლის ბიუჯეტი იყო, თუ არ ვცდები 160 მილიონი, 10 პროცენტი ბიუჯეტისა დახარჯა იმაში, რომ ამ უბედურების წინ დაედგა დავით აღმაშენებლის 16-მილიონლარიანი ძეგლი.** [illegible]

**ჯერ ერთი,** მერაბ ბერძენიშვილის ეს შესანიშნავი ქანდაკება 16 მილიონი ლარი კი არა, ათჯერ ნაკლებიც არ დაჯდებოდა.

**მეორეც,** „ივერიის" წინ დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა დევნილებისთვის **„საბოლოო მიფურთხებად"!**

**მესამეც, როდის აქეთ შესტკივა გული დევნილებზე იმ სააკაშვილს, რომელმაც ნიღბიანი „სპეცნაზებით" გამოყარა** [illegible]

[illegible]

**თუ ბათუმში ილიას ძეგლს შეეხებიან და ეს ქართველმა ხალხმა გადაყლაპა, მაშინ მართლა ახი იქნება ჩვენზე, სააკაშვილმა ჯერ „პირველი ღამის უფლება" დაიკანონოს, შემდეგ კი კონა-კონად და ცალ-ცალობით გაგვყიდოს სტამბოლის ბაზარზე!**

**გიორგი გიგაური**




# აკი ქართულიაო, ბატონო პრეზიდენტო?

კიდევ ერთი ახალი სასტუმრო გაიხსნა და შეემატა თბილისს.

„რედისონი" ნამდვილად ქართული საწარმოა, - თქვა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმროს გახსნისას (თურმე „რედისონი" იმიტომ ყოფილა საწარმო, თანაც, როგორც, პრეზიდენტმა თქვა, საექსპორტო საწარმო, რომ აქ ჩამოსულ-დაბინავებული უცხოელები ამისთვის ფულს გადაიხდიან. საექსპორტო ყოფილა ჩვენი გზებიც, რომლებზე გადაადგილებისთვისაც უცხოელები ფულს გადაიხდიან. რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, ნათქვამია. ჰოდა, რაკი უცხოეთში გასატანი (სამრეწველო პროდუქციას ვგულისხმობ) სხვა ბევრი არაფერი გვაქვს და ექსპორტ-იმპორტის სალდო ჩვენთვის კატასტროფულად უარყოფითია, ასეთი „ექსპორტითღა" თუ მოვიწონმოვიტყუებთ თავს!).

თუმცა ახლა ამაზე მსჯელობა სულაც არ არის ჩემი მიზანი და მინდა ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვკითხო: უფალო პრეზიდენტო, როგორღაა „რედისონი" ქართული საწარმო, თუ მის ფასადზე ერთი ქართული სიტყვაც არ ჭაჭანებს, თუნდაც ინგლისური შრიფტით აწყობილი.

რატომ გაუბედეს ამის გაკეთება ქართველებს „რედისონის" შინაურგარეულმა ინვესტორებმა თუ მეპატრონეებმა.

მოგეხსენებათ, გავერანებული სასტუმრო „თბილისიც" შეიძინეს და მშვენივრად აღადგინეს უცხოელებმა, მაგრამ მისთვის არც გარეგნული იერი დაუკარგავთ და, რაც მთავარია, არც სახელი - აღდგენილ სასტუმროს „თბილისი მერიოტი" ჰქვია.

არც „მეტეხი" მოუსვრია ახალ უცხოელ მეპატრონეს მეტეხის ხიდიდან მტკვარში - სასტუმროს „შერატონ მეტეხი პალასი" დაერქვა.

აქ კი რა ხდება. რატომ გაბედეს ვიღაც-ვიღაცეებმა „ივერიის" „გადაყლაპვა". იმიტომ ხომ არა, რომ არავინაა მათთვის პასუხის მომთხოვნი.

რა გამოდის. ვარდების რევოლუციამდელი „უვარგისი" მთავრობახელისუფლება ამჟამინდელზე ბევრად პროქართული და ქართულჯიგრიანი ყოფილა.

თუ იმის ბრალია ყველაფერი, რომ, რაკი ყოველივე კარგი, თანაც პირველად საქართველოში, როგორც ამის ხაზგასმით აღნიშვნა უყვართ „ვარდოსნებს" ჩვენს ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო, რა საჭიროა, ადამისდროინდელი „ივერია".

ერთი რამეც მინდა ვთქვა ჩემი კოლეგების, „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტთა საყურადღებოდ: გამუდმებით ხაზგასმით რომ აღნიშნავდნენ, ლაპარაკითაც და ტიტრებითაც, სასტუმრო „რედისონ სას ივერია" გაიხსნაო, რატომ არ დაინტერესდნენ, რად არ აწერია ასე ამ შენობასო.

თუმცა ეს რომ გაეკეთებინათ, მაშინ ისინი ხომ, ერთი კარგი ქართული კომედიისა არ იყოს, რევოლუციამდელი „გონებაჩლუნგი" ბავშვები იქნებოდნენ და არა ისეთი ფხიზელცქვიტები, რომლებსაც, ვთქვათ, პრეზიდენტისკენ გასროლილი ფეხსაცმლის დანახვისას მყისიერად შეუძლიათ კამერის გამორთვა ან, მინიმუმ, ეთერში გაშვებამდე არასასურველი კადრის ამოჭრა.

ამიტომაც შევარჩიე ამ რეპლიკის რუბრიკად ერთი ფრთიანი ფრაზა, რომლის მიხედვითაც ჩვენ, დღევანდელი ქართველების უმეტესობას, ხელისუფლების თუ მათი მხარდამჭერი სამივე „რუსთავი-2"-ის არც ფიცი გვწამს და არც ბოლო გვაკვირვებს.

ჩვენ, დღევანდელი ქართველობის უმეტესობა, აი, რით ვგავართ მოსაჭრელად გამიზნულ-განწირულ ხეს: ხომ გახსოვთ, როგორ ამოიკვნესა იმ საწყალმა, - ჩემს მოსაჭრელად გამზადებული ცული რას დამაკლებდა, ჩემივე მერქნიდან გამოთლილი ტარი რომ არ ჰქონდესო...

ასე ვართ ჩვენც: ყოველივე ქართულის ფეხებზეკიდია შინაური თუ გარეული რას დაგვაკლებდა, ჩვენივე ჯილაგის უჯიგრო უფროსობა რომ არ გვყავდეს!

თუმცა, ჯერ ერთი, ასე იოლად ვერც ვერავინ „მოგვჭრის", და, მეორეც, ხისგან განსხვავებით ადამიანს თავადაც შეუძლია გადაადგილება და სხვათა გა-და-ადგილებაც!

მთავარი სათქმელი კი აი, რა არის: ივერია გაბრწყინდებაო, ხშირად რომ გვიყვარს თქმა, სწორედ ის „ივერია" გააბრწყინეთ, ბატონებო, გადაკეთებული ყოფილი სასტუმრო „ივერიის" შენობაზე, თანაც „რედისონის" თავზე, რადგან კანონით, თუ სახელწოდების აღმნიშვნელი სიტყვები შენობაზე ვერტიკალურადაა ალბეჭდილი, ზევით ქართული წარწერა უნდა იყოს, ქვევით კი უცხოური, ხოლო თუ ჰორიზონტალურად, მაშინ მარცხნივ ქართული, ხოლო მარჯვნივ - უცხოური.

ასეა ეს, ბატონებო! უფრო სწორად, ასე უნდა იყოს ამ ახალგახსნილ „საექსპორტო საწარმოშიც"!

**რუსლან რუსია**

p.s. ყველაზე მეტად რამ გამამწარა, იცით. მავან არამზადებს თურმე კი სცოდნიათ, რომ აუცილებელია სიტყვა „ივერიის" ხსენება და იგი წააუწერიათ კიდეც (ოღონდ ინგლისურად)... „რედისონის" კაზინოს სკამების საზურგეზე.

**8 სექტემბერს, ღამის 2 საათსა და 41 წუთზე, ონის რაიონში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ყველას 1991 წლის კატასტროფა გაახსენა. მითუმეტეს, რომ 18 წლის ინტერვალით დაშორებული ეს ორი მიწისძვრა პრაქტიკულად, ერთსა და იმავე ადგილას მოხდა. როგორც 18 წლის წინათ, ზვიად გამსახურდიას დროს, დღესაც ბევრი ეჭვობს, სტიქიას რუსეთმა ხომ არ შეუწყო ხელიო! მითუმეტეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთში) დღესაც არსებობს ეშერის საიდუმლო ლაბორატორია, რომლის დახმარებითაც, მავანთა მტკიცებით, თავისუფლად შეიძლება მიწისძვრების გამოწვევა ნებისმიერ წერტილში. მოკლედ, საქმე იქამდე მიდის, გავარკვიოთ, არსებობს თუ არა ტექტონიკური იარაღი.**

# მიწისძვრა შეკვეთით?

**1964 წლის 22 მარტს,** 17 საათსა და 30 წუთზე, ალიასკის სანაპიროსთან მოხდა მიწისძვრა, **რომლის სიმძლავრე ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბისაზე 1200-ჯერ ძლიერი იყო!** მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი ასობით კილომეტრით იყო დაშორებული დასახლებული რაიონებისგან, მიწისძვრით გამოწვეულმა ტალღამ პირისაგან მიწისა აღგავა სამი სოფელი, დაიღუპა 107 ადამიანი.

**1964 წლის 30 ივნისს** საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ-პოლკოვნიკ **სემიჩასტნის** სახელზე გაიგზავნა დეპეშა:

**„გვაქვს მონაცემები, რომ ალიასკის რაიონში მომხდარი უმძლავრესი მიწისძვრის მიზეზი შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული საიდუმლო ექსპერიმენტია, სახელწოდებით „Prime Argus" („მთავარი მცველი").**

**ეს პროგრამა დაიწყო 1951 წელს. მისი ამოცანა იყო სამხედრო მიზნებისთვის მიწისძვრების გამოწვევის საშუალებათა შესწავლა".**

ამ დეპეშის ავტორი „კაგებეს" მაღალჩინოსანი **გენერალ-ლეიტენანტი სახაროვსკია.**

ამის შემხედვარე, საბჭოთა კავშირმაც დაიწყო კონტრზომების მიღება და **„საბჭოთა ტექტონიკური იარაღის"** შექმნა.

**XX საუკუნის 50-იან წლებში ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ მიწისძვრების გამოწვევა თავისუფლად შეიძლება ატომური აფეთქებებით.**

**70-იან წლებში კი დაადგინეს, რომ სეისმოპროვოკაციების გამოწვევა სხვა მეთოდითაც შეიძლება. მაგალითად, ელექტრონული გამოსხივებით!**

**სულ სამი წამის განმავლობაში გაშვებულ ელექტრონულ იმპულსს შეუძლია, მოახდინოს მიწისძვრა 500 კილომეტრის რადიუსში. სათანადო მოწყობილობის გადატანა ჩვეულებრივი სატვირთო მანქანითაც შეიძლება. ასეთ იარაღს შეუძლია დაანგრიოს ქალაქები, გაანადგუროს კომუნიკაციები, გამოიწვიოს პანიკა მოსახლეობაში...**

●

**ტექტონიკურ იარაღს** ექსპერტები **„მესამე ათასწლეულის იარაღს"** უწოდებენ. **საკმარისია, კარგად იცოდე, როგორ და სად „შეუჩიჩინო" დედამიწის ქერქს და ისიც მიწისძვრით გიპასუხებთ!**

**ამიტომაც, გამორიცხული არ არის, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი მიწისძვრები ხელოვნურად იყოს გამოწვეული.**

XX საუკუნის ბოლოს სენსაციურად გაიჟღერა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, **ალექსეი ნიკოლაევის** განცხადებამ, რომელშიც **მეცნიერი ამტკიცებდა კავშირს ატომური იარაღის გამოცდებსა და მიწისძვრებს შორის.** ამდენად, მეცნიერულად დადასტურდა მექსიკის, პერუს, ჩილესა და ირანის პრეტენზიები შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთისა და საფრანგეთისადმი, რომელთა მიხედვითაც ბირთვულ სახელმწიფოებს მიწისძვრების პროვოცირებაში ადანაშაულებდნენ.

**ნიკიტა ხრუშჩოვს „კაგებემ" წარუდგინა მოხსენება, რომლითაც ირკვეოდა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ კუნძულ ახალ მიწაზე გამოცდილმა ატომურმა ბომბმა დამანგრეველი გავლენა იქონია ასობით მილის მოშორებით, ატლანტის ოკეანეში მცურავ ამერიკულ წყალქვეშა ნავზე.**

**მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ოკეანის ფსკერზე აფეთქებულმა ბომბმა შეიძლება უზარმაზარი ცუნამი გამოიწვიოს.**

დამტკიცებულია, რომ სეისმურად მშვიდ სან-ფრანცისკოში 1970 წელს მომხდარი დამანგრეველი 8-ბალიანი მიწისძვრა 150 კილომეტრის მოშორებით, ამერიკულ პოლიგონზე ჩატარებულმა ბირთვულმა გამოცდამ გამოიწვია.

**უზბეკურ გაზლში 1976 და 1984 წლების დამანგრეველი მიწისძვრები კი ყაზახეთში, სემიპალატინსკის ცნობილ პოლიგონზე ჩატარებული ბირთვული აფეთქებების შედეგია.**

XX საუკუნის ბოლოს, ჩეჩნეთის მეორე ომის მიმდინარეობისას, ტელევიზიით გამოსულმა ჩეჩნეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა **ლეჩი ხულტიგოვმა** იმ დროისთვის წარმოუდგენელი რამ განაცხადა. **ხულტიგოვის თქმით, ჩეჩნურ სპეცსამსახურებს თანამდებობიდან გადამდგარმა ერთ-ერთმა რუსმა გენერალმა გადასცა საიდუმლო გეგმა, რომლის მიხედვითაც, 1998 წლის 23 თებერვალს კრემლს უნდა აემოქმედებინა სპეცოპერაცია „ვეზუვი" — რუს სამხედროებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მდებარე შახტებში უნდა მოეხდინათ აფეთქება, რომელიც, თავის მხრივ, მიწისძვრას გამოიწვევდა!**

**ცენტრზე დისტანციური ზემოქმედების მეთოდიკის"** შემქმნელ მამამთავრად აზერბაიჯანელი მეცნიერი **იქრამ კარიმოვი** ითვლებოდა. 1979 წლის მაისში, კარიმოვის ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფმა ფუნდამენტური აღმოჩენა გააკეთა, რომლითაც შეიძლებოდა **არა მხოლოდ მიწისძვრების პროვოცირება, არამედ მიწისძვრების ერთგვარი პროგნოზირებაც.**

**ზუსტად არავინ იცის, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ 1988 წელს 7 დეკემბერს სპიტაკში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრაში კარიმოვის ხელიც ურევია.**

**1987 წელს** შეერთებულმა შტატებმა ალიასკაზე „ტექტონიკური ბომბის" რამდენიმე სახის გამოცდა მოაწყო. შედეგი არცთუ სახარბიელო გამოდგა, რადგან ალიასკა „ტექტონიკურად უინტერესო" რეგიონია - ქანების მოძრაობის პროვოცირება კი ძნელია სეისმურად მშვიდ რაიონში.

**1988 წელს** საბჭოთა კავშირიც გეგმავდა ანალოგიურ გამოცდებს ასევე სეისმურად მშვიდ იმიერპოლარეთში კუნძულ ახალ მიწაზე. **თუმცა, არსებობს ვერსია, რომ ამერიკული გამოცდების ანალიზმა საბჭოთა სპეცსამსახურებს გადააწყვეტინა, „ტექტონიკური იარაღი" სეისმურად აქტიურ კავკასიაში გამოეცადათ!**

დანამდვილებით არავინ იცის, რამ გამოიწვია სპიტაკის დამანგრეველი მიწისძვრა, მაგრამ ფაქტია: **1988 წლის 7 დეკემბერს, 11 საათსა და 41 წუთზე ორმა უძლიერესმა რყევამ 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა: ლენინაკანის ორი მესამედი დაინგრა, სპიტაკი კი პირისაგან მიწისა აღიგავა.** იმასაც ამბობენ, რომ სოფელ **ნალბანდის** ადგილას წარმოქმნილი უფსკრული მიწისძვრისთანავე ალყაში მოაქციეს საბჭოთა არმიის სპეცქვედანაყოფებმა.

●

რა თქმა უნდა, ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული ეშერის საიდუმლო ლაბორატორია.

**საქართველოში 1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ რაჭასა და იმერეთში კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი, რომ რუსებს შეუძლიათ ეშერის ლაბორატორიიდან გეგმაზომიერი, მიზანმიმართული მიწისქვეშა რყევების გამოწვევა და ჩვენი დასახლებული პუნქტების განადგურება.**

ფაქტია, რომ ეშერის ლაბორატორიის მსგავსი ობიექტები საბჭოთა კავშირში სულ რამდენიმე იყო. **ეშერის საიდუმლო ობიექტს საბჭოთა „კაგებეს" განსაკუთრებული დანიშნულების „გეოფიზიკური ბატალიონი"** იცავდა. **ეშერაში რუსები ადგილობრივი სუკ-ის მაღალჩინოსნებსაც კი არ უშვებდნენ.**

აფხაზეთის ომის დროს კი, ეშერა კვლავაც რუსების კონტროლის ქვეშ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორია ქართული ჯარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიით იყო გარშემორტყმული.

**ცნობილია ისიც, რომ ეშერის უსაფრთხოებას საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვის მახლობლად განთავსებულ საიდუმლო ბაზაზე („ზაგორსკი-7") მომზადებული სპეცრაზმელები და ოფიცრები უზრუნველყოფდნენ. ეშერაში 120-150 ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა, რომლებიც ას მეტრამდე სიღრმის მიწისქვეშა მაღაროებში ჩაშენებულ საიდუმლო აპარატურას იცავდნენ.**

**არსებობს ინფორმაცია, რომ ეშერის მაღაროებიდან რაჭის მიმართულებით გადის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი „გეოლოგიური ძარღვი", რომლის შემადგენელი ქანებიც, საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნურადაც შეიძლება შეტოკდეს.**

**2005 წლის ოქტომბრის** ბოლოს რუსეთის ფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების, პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების სამსახურის ტომსკის განყოფილებამ ირკუტსკელ მეცნიერებს გადასცა პატენტი **ტექტონიკურ იარაღზე.** როგორც ირკუტსკის რეგიონულმა საინფორმაციო ცენტრმა განაცხადა, ორწლიანი მუშაობის შედეგად **ირკუტსკის დედამიწის ქერქის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მიიღეს დასტური, რომ მათ შექმნეს „სეისმოაქტიური ტექტონიკური ტეხილების ფრაგმენტთა გადაადგილების მართვის მეთოდოლოგია".**

**გიორგი გიგაური**





ონის რაიონში მომხდარ მიწისძვრამდე **ოთხი დღით ადრე, 4 სექტემბერს,** თბილისის ცენტრში თვითმხილველები ერთობ საინტერესო სანახაობის მომსწრენი გახდნენ.

**ვაკე-საბურთალოს გზაზე უშველებელი ლოდი ჩამოვარდა!**

**ქვა კი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ყოფილი შენობის მიმდებარე მთიდან „გვესტუმრა"!**

**არსებობს ინფორმაცია, რომ ამ მიდამოებში „ЗАКВО"-ს მესვეურებს არაერთი რადარული და ფსიქოტრონული ზემოქმედების საიდუმლო სისტემები ჰქონდათ განლაგებული!**

ამდენად, ერთობ დამაფიქრებელია, რომ ონის რაიონში მომხდარ მიწისძვრამდე ოთხი დღით ადრე, 4 სექტემბერს, ამ იდუმალებით მოსილ ტერიტორიაზე **უცებ** უზარმაზარი ქვა ჩამოვარდა.

**თითქოს, ქვამ მიწისძვრა იწინასწარმეტყველაო!**

მაგრამ უცნაური დამთხვევები ამით არ დასრულებულა: **ზუსტად მიწისძვრის დღეს,** 8 სექტემბერს, **წყნეთის ტრასაზე გაჩნდა ხანძარი, რომელსაც, არც მეტი - არც ნაკლები, 20 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კერა ჰქონდა!**

**წყნეთის გზის ქვეშ კი, ერთ-ერთი ვერსიით, „Закво"-ს შენობიდან კოჯრის ბატალიონის ტერიტორიისკენ მიმავალი ზესაიდუმლო საბჭოთა გვირაბი გადის!**

ანუ, **მიწისძვრიდან ზუსტად 10 საათში - 12 საათსა და 45 წუთზე - საბჭოთა ზესაიდუმლო გვირაბის თავზე ერთობ უცნაური ხანძარი გაჩნდა!**

ნიშანდობლივია, რომ თვითმხილველები ამაოდ ცდილობდნენ პატრულთან დაკავშირებას.

# აქაც ვერ ვიქნები მშვიდად!

## მედეა ჩახავას უკანასკნელი მონოლოგი

- 2009 წლის 12 სექტემბერს ჩემს საყვარელ რუსთაველის თეატრში **ბოლო როლი** ვითამაშე. მეცვა ულამაზესი თეთრი კაბა - მერე რა, რომ 88 წლის ვიყავი, მიხდებოდა, სინაზეს მმატებდა, მომჩერებოდა ათასობით თვალი - ყველა მათგანს ვხედავდი! **ჩემი დეკორაცია იყო არაჩვეულებრივი სასახლე და უამრავი ყვავილი. მზეთუნახავივით ვგრძნობდი თავს ამ სასახლეში, ყველა თავს ხრიდა, მუხლს იდრეკდა, მაქებდა.** მარტომ ვითამაშე, ისე დავიხარჯე, თვალი დავხუჭე და დავდუმდი. **მესმოდა მხოლოდ ტაში და ჩემი საყვარელი მაყურებლის ოვაცია.** სხვა დროს როლში შესულს შეიძლება პარტერში ყველა მაყურებელი ვერ შემენიშნა, მაგრამ ახლა არცერთის თვალი არ გამომპარვია, არცერთი მზერა. ყოველი მათგანი ვიცი, რას ფიქრობდა, ვიცოდი და ამას განვიცდიდი. **რუსთაველის თეატრის სცენა ყველაზე დიდხანს დღეს მე დამეთმო - უფლება მომცეს, ერთი მსახიობის თეატრად გადამექცია.** მახსოვს, იყო კიდევ ერთი ასეთი საღამო, როცა ჩემი ვარსკვლავი გაიხსნა, მაშინ „ივერიონთან" ერთად რა კარგად ვიცეკვე! ახლა კი დადუმებული ვარ და ამ ჩემმა დუმილმა მოიყვანა ამდენი ხალხი აქ, ჩემი საყვარელი ხალხი, რომლის სიყვარულმაც აქამდე მომიყვანა. **ისინი კი არ მემშვიდობებიან, მე ვემშვიდობები, ისინი კი არ მცემენ თაყვანს, მე ვეთაყვანები მათ, ყველას ვეფერები და მადლობას ვეუბნები გულწრფელი სიყვარულისთვის. გოგი ქავთარაძემ მითხრა, ქალბატონო მედიკო, ეს როლი არ გიხდებათო, მაგრამ, ჩემო გოგი, განა მაყურებლის მართალ ცრემლს რაიმე სჯობს?!**

ხალხის ტალღამ დიდუბის პანთეონამდე მიმიყვანა. გზად გრიშაშვილის ლექსი გამახსენდა: **„მიყვარს თბილისი... და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს".** მახსოვს, **ვერიკო ანჯაფარიძე** ისე კითხუ-

[illegible]

ყველაზე მეტად ჩემი მშობლების ნახვა გამიხარდა. ჩემი მოხუცი დედა და მამა. მამას - ცნობილ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, წარმოშობით მარტვილელ **ვასილ ჩახავას** მთელი თბილისი იცნობდა, სამედიცინო ინსტიტუტი კიევში ჰქონდა დამთავრებული. დედაჩემიც - **მარიამ გაწერელია** მეტად განათლებული ქალი გახლდათ. ცნობილ მწერალსა და ლიტერატორს აკაკი გაწერელიას სწორედ მან ასწავლა წერა-კითხვა. მეც სამეგრელოში დავიბადე, **მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთში.** სულ პატარა ვიყავი, როდესაც თბილისში გადმოვედით. ვცხოვრობდით კავშირის ქუჩაზე (ახლანდელი თაყაიშვილი) სამსართულიან სახლში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლიდან დიდი ხნის გადასული ვიყავი, მაინც მენატრებოდა იქაურობა, ურთიერთობა არ გამიწყვეტია მეზობლებთან. აქ ჩემს მშობლებს უდიდეს პატივს სცემდნენ. რეპრესიის წლებში სახლის მეპატრონე **შუმა ბაბაევი** საქართველოდან გადაასახლეს. პირველად, როდესაც შუაღამისას შუმას წასაყვანად მოვიდნენ, მამამ შიშს სძლია და გადამალა. ბოლოს მაინც ვერ გადაარჩინა. შუმა გადაასახლეს. მამა იმდენად პატიოსანი კაცი იყო, რომ ბინის გადასახადს თბილისიდან უგზავნიდა. **თბილისში ვასილ ჩახავა ყველას უყვარდა, მეამაყებოდა, ასეთი მამა რომ მყავდა. ერთხელ სამშობიაროდან დაღლილი დაბრუნდა, ღამენათევი. ის იყო, ხელი გადაიბანა და უცებ გაახსენდა, რომ იზო აბესაძის ახალნამშობიარევი და (ჩვენი მეზობლები იყვნენ) დილით არ მოუნახულებია. ჩაიცვა და ისევ სამშობიაროში დაბრუნდა.** აი, ასეთი წინაპრები ჰყავდათ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს და მათ ეს არ უნდა დაივიწყონ, ვიცი, ისინი ცუდს არასოდეს ჩაიდენენ, ისეთები დავტოვე, იციან, ვისი გორისანი არიან... **ვემშვიდობები ჩემს ძვირფას მეზობლებს თაყაიშვილის ქუჩიდან: ლომიძეებს, ბუჩუკურებს, ბაბაევებს, გელბახიანებს,** სხვებს. მაპატიეთ, თუ ყველა ვერ ჩამოვთვალე. შემდეგ გადავედით **ბარნოვის ქუჩაზე.** ჩემი მეზობლები იყვნენ **დალი მაცაბერიძე, სესილია თაყაიშვილი, ლიანა ასათიანი, ვახტანგ ფალიაშვილი.** ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით. მეზობლებს უყვარდათ ჩემი მომზადებული აჩმა, მეც ხშირად ვეპატიჟებოდი. რა დამავიწყებს ქალბატონ **სესილია თაყაიშვილთან** გატარებულ ახალი წლის დღესასწაულებს. პეკინის ქუჩაზეც დიდხანს ვცხოვრობდი, შემდეგ ჩემს შვილთან - **ივიკოსთან,** ბახტრიონზე. **აქ გარდავიცვალე.** ავადმყოფს ჩემი ქალიშვილი მაკა მივლიდა, გარს მეხვია შვილები და შვილიშვილები. ვსაყვედურობდი, ჩემზე ექსპერიმენტებს აკეთებმეთქი?! თავს ვაჩვენებდი, თითქოს მხნედ ვიყავი, სინამდვილეში მივდიოდი იმქვეყნად. **ბოლო სამი დღე თითქმის დავდუმდი, 7 სექტემბერს უკვე აქ აღმოვჩნდი, სულთა საუფლოში.**

**88 წლის კი შევსრულდი, მაგრამ გული არ დამიბერდა. აკი 90 წლის ნინო რამიშვილმაც იგივე თქვა: „ოკაზივაეტსია, სერდცე ნე სტარეეტ".** არ დაბერდა ეს დალოცვილი. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. დედ-მამა მანებივრებდა. ორნი ვიზრდებოდით ოჯახში, მე და ჩემი ძმა, ორივენი საოცრად ვუყვარდით მშობლებს. გვასწავლეს, დაგვაპურეს იმ მძიმე დროს. **თბილისის №4 საშუალო სკოლა დავამთავრე 1938 წელს,** ცელქი ბავშვი არ ვყოფილვარ, მიყვარდა თანაკლასელები, სკოლის შემდეგ ხშირად ვიკრიბებოდით ჩვენს სახლში. ერთი ეზოამული გვქონდა. ბალეტზეც დავდიოდი, ახლაც თვალწინ მიდგას მზის სხივებით განათებული დარბაზი. ჩემი თანაკლასელების უმრავლესობა გარდაცვლილია. ახლა მათ რიცხვს მეც შევემატე. **გაივლის ჩემი სული უფლის საზვერეებს და ჩემს მეგობრებს ისევ ვნახავ. რომ იცოდეთ, როგორ მიხარია, დავბრუნდებით ძველ დროში, გოგონები გავიკეთებთ თეთრ ბაფთებს.**

ბავშვობას ვერ ვიხსენებ ჩემი ძმის გარეშე. უნიჭიერესი იყო, მშობლების იმედი. შესანიშნავი მეცნიერი გახლდათ, ჩემი სიამაყე. მას **ოთარი** ერქვა. ტრაგიკულად გარდაიცვალა - მდინარეში დაიხრჩო. ჩემთვის თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი. მის გა-

[illegible]

**რი ყვავილებისგან შეკრული გვირგვინი რომ დევს, მისი მორთმეულია, ამ დღისთვის საგანგებოდ გააკეთებინა.** ვიცი, რატომაც შეარჩია ეს ფერები. მე ხომ 1942 წლის 19 იანვარს სადიპლომო სპექტაკლში - **„ცისფერი და ვარდისფერი"** ვითამაშე. ესეც ჩემი ცისფერი და ვარდისფერი ყვავილები. **სწორედ მაშინ დავთქვით თანაკურსელებმა, ყოველ 19 იანვარს თეატრში შევხვედროდით ერთმანეთს.** ასეც იყო, მოვაწყვეთ 68 შეხვედრა. ბოლოს, ნელი ქუთათელაძის გარდაცვალების შემდეგ, სამნი როცა დავრჩით, რაღაც გული გაგვიტყდა, მივხვდით, რომ ჩვენი დროც დამდგარიყო. ვფიქრობდი, კარგად გავხდები და აგარაკზე დავპატიჟებ ჩემს მეგობრებს-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი. ერთ დეტალსაც გავიხსენებ - იმ დღეს, როდესაც „ცისფერი და ვარდისფერი" ვითამაშეთ დიდ სცენაზე, მამაჩემი ფრონტიდან დაბრუნდა, პირდაპირ თეატრში მოვიდა, არადა, გარდაცვლილი გვეგონა. ამიტომ ეს პირველი სპექტაკლი ჩემთვის მნიშვნელოვანია.

თეატრალურ ინსტიტუტს **ბატონი აკაკი ხორავას** გარეშე ვერ გავიხსენებ. მის ხელში გავიზარდე, სანამ მსახიობი გახდებოდა, მამაჩემთან ერთად სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში. **რამდენჯერ აუუყვანივარ ხელში სულ პატარა. მახსოვს მისი ბოლო დღეებიც. 1972 წლის 28 აპრილს მის დაბადების დღეზე მივედით.** როგორ გველოდებოდა. როდესაც კარი გაიხსნა, ოთახიდან მეუღლეს - **ნინა სარდიონის ასულს** ხმამაღლა გამოსძახა: **ნინა, მოვიდნენ?** ჩვენთან ერთად იმღერა. ამხელა ბუმბერაზი კაცი ერთბაშად დამდნარიყო, მაგრამ ისევ ისეთი საოცარი ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. **ბატონო აკაკი, ახლა მეც თქვენთან ვარ, შეგიძლიათ, თქვენს დასში ჩამრიცხოთ!!**

რუსთაველის თეატრში ბევრი რამის მომსწრე გახლდით, გავიზიარე ჩემი თეატრის ყველა ტკივილი და სიხარული. ეგრეთ წოდებული „შვიდკაცას" წევრადაც მიმიჩნევდნენ, ჩემს თვალწინ რა აღარ მოხდა, მაგრამ არავის მიმართ ავი და ბოროტი არ ვყოფილვარ - საერთოდ არ ვიყავი ასეთი. **ახლა გამახსენდა ერთი დეტალი მიხეილ თუმანიშვილის მოგონებიდან, სადაც ამბობს:** თეატრიდან წასვლის წინ და მსახიობებთან დამშვიდობებისას მხოლოდ ჩახავას სევდიანი თვალები დავინახეო. **როდესაც ბატონი მიშას შესახებ მეკითხებოდნენ, ყოველთვის ვამბობდი: ვამაყობ იმით, რომ მიშა თუმანიშვილი ხშირად ახსენებდა ჩემს სახელსა და გვარს სასიამოვნო კონტექსტში-მეთქი. ახლა მე და ბატონი მიშა მეზობლებიც ვართ.**

თეატრში ბევრი მეგობარი მყავდა. არ მავიწყდება ის საღამო, როდესაც ჩვენმა გოგოებმა: **ლეილა ღამბაშიძემ, დალი მაცაბერიძემ, ლამზირა ჩხეიძემ, ლიკა ქავჟარაძემ და გულნაზი ბაქრაძემ** ჩემი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით რესტორანში დამპატიჟეს. ამ ნიჭიერ გოგონებს ვუთხარი, ჩემზე ნიჭიერები ხართ, უბრალოდ, როცა მე ინსტიტუტი დავამთავრე, ქალი მსახიობები ჭირდა, ამიტომ გამომარჩიეს-მეთქი. მადლობა მათ გულწრფელი სიყვარულისთვის.

გამოგიტყდებით და, ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. ჩემი პირველი მეუღლე გახლდათ შესანიშნავი პიროვნება, უნიჭიერესი არტისტი, კარგი ოჯახიშვილი **ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე.** ჩვენ ინსტიტუტში გავიცანით ერთმანეთი. რუსთაველის თეატრშიც ერთად ვიყავით. ის იყო ცნობილი პოეტის **გიორგი ქუჩიშვილის** ვაჟი. ვცხოვრობდით მარჯანიშვილის ქუჩაზე, თეატრის გვერდით, მწერლების სახლში. ჩვენი მეზობლები იყვნენ **გალაკტიონ ტაბიძე, დემნა შენგელაია, პანტელეიმონ ჩხიკვაძე. დედამთილი, ქალბატონი ვასასი „მერცხალს" მეძახდა,** ძალიან ვუყვარდი. მამამთილის ძმა, პოეტი **დავით თურდოსპირელი** მაქებდა, მედიკო ცეცხლია, ცეცხლიო, ჩემზე ამბობდა. ამ ოჯახს უდიდეს პატივს ვცემდი, მაგრამ ჩემი და ბიჭიკოს გზები გაიყარა. ჩვენი შვილი **თემური** მაშინ 3 წლის იყო. მე მშობლებთან გადავედი. **მიუხედავად იმისა, რომ მე და ბიჭიკო ერთმანეთს დავშორდით, დედამთილს ჩემზე აზრი არ შეუცვლია და ბოლომდე მისთვის „მერცხალი" დავრჩი.** ვიცი, ახლა აქაც რა სიხარულით მიმიღებს. სამწუხაროდ, ბიჭიკო 64 წლის გარდაიცვალა, კიბეზე დავარდა და ნეკნმა ღვიძლი დაუზიანა, ვერ გადარჩა. **მახსოვს, როდესაც ეროსი მანჯგალაძე ბიჭიკოს გასვენებაში მოვიდა** (ეროსი პანაშვიდებზე არ დადიოდა, მაგრამ ბიჭიკოსთან მოვიდა), **თემურს მოეფერა და უთხრა, წლისთავს მამაშენს მე გადავუხდიო.** მაგრამ სამ თვეში ჩვენი საყვარელი ეროსიც გარდაიცვალა. ბიჭიკოს შვილმა მეორე მეუღლისგან დიდი პატივი მცა, ამ მძიმე დღეებში ჩემს ოჯახთან ერთად იყო. ვიღაცამ მითხრა, ბიჭიკოს ბოლომდე უყვარდი, შენზე ფიქრს არ იცილებდაო. შეიძლება ასეც იყო, ჩემო ბიჭიკო, ჩვენ ხომ საერთო შვილი გვყავდა, **ჩვენი თემური.**

ჩემი მეორე მეუღლე **კოტე მახარაძე** გახლდათ. მას თქვენს წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ის იყო ქალაქის კოლორიტი, ყოველმხრივ ნიჭიერი კაცი. სულ ერთი კვირაა, რაც მისი და - ბუბა გარდაიცვალა. **პატიებას ვთხოვ ჩემს შვილს მაკას, მეც და მისმა მამიდამაც დიდი განსაცდელის წინაშე დავაყენეთ - ორივენი თითქმის ერთდროულად გამოვემგზავრეთ, დავამწუხრეთ.**

**მე და კოტემ თითქმის 25 წელი ვიცხოვრეთ ერთად.** ბედნიერი ვიყავი მასთან. ორი შვილი შეგვეძინა, **მაკა და ივიკო.** ის ბავშვებს აღმერთებდა, საოცრად უყვარდა ჩემი შვილი **თემური**. მაგრამ გავშორდით. **ერთ მშვენიერ დღეს კოტემ ჩემოდანში ტანსაცმელი ჩაალაგა და წავიდა.** მივიდა დასთან, გუგასთან (ის მშობლების სახლში ცხოვრობდა). ყველას ეგონა, რომ ჩვენ ისევ ერთად ვიქნებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. **კოტე რუსთაველის თეატრიდანაც წავიდა. მარჯანიშვილში დოდო ალექსიძემ გაუხსნა მეორე სუნთქვა, ახლებურად წარმოაჩინა მისი ნიჭი. მე ყოველთვის მიხაროდა მისი წარმატება. მერე იყო სოფიკოსა და კოტეს სიყვარულის ისტორია. მე გულწრფელად თანავუგრძნობდი მათ. თავიდან სოფიკოს ერიდებოდა კოტესთან ერთად გამოჩენა, მაგრამ მე შევაგულიანე, მეუღლეები ხართ, რისი გერიდებათ-მეთქი.** მე ბედნიერი ვიყავი იმითაც, რომ ჩემს სახლში მისი მოსახელე შვილიშვილი მეზრდებოდა, ჩემი პატარა **კოტე მახარაძე. მახსოვს, უფროსი კოტეს 60 წლის იუბილეზე რესტორან „არაგვში" მე და სოფიკომ პაექრობა გავმართეთ, ვინ უფრო გამოიჩენდა თავს, იყო ერთი ხალისი და იუმორი.** ახლა სამივე აქ ვართ - **სოფიკო და კოტე ჩემგან ცოტა მოშორებით.** არ მეშინია სიბნელის, არც სიცივის, ჩემი ძვირფასი ადამიანები ხომ აქ არიან, ისინი, ვისთანაც მთელი ცხოვრება მაკავშირებდა!

დიახ, ბედნიერი ქალი ვარ, დიდი ოჯახი დავტოვე, ყველა ხელოვნებას ემსახურება. სპექტაკლებზე დასასწრებად როდესაც მივდიოდი, მღელვარება მეუფლებოდა, ჩემი შვილი იყო რეჟისორი, სცენაზე იდგნენ ჩემი შვილი, რძალი, შვილიშვილები. იმდენად განვიცდიდი, საკუთარი თავი მავიწყდებოდა. **ჩემს შვილს თემურს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, პეტერბურგში თეატრს ხელმძღვანელობს, ბეწვის ხიდზე გადის. თავის დროზე გიორგი ტოვსტონოგოვმა მიიწვია თავის თეატრში, როგორც დამხმარედ, მაგრამ მაშინ სპექტაკლის დადგმა არ მოხერხდა, წლების მერე კი იმავე თეატრში ხელმძღვანელად მიიწვიეს.** უდიდეს პატივს სცემენ კაპელდინერიდან დაწყებული, ყველა. მეც შესანიშნავად მიმიღეს, როცა ჩავედი. **თემურმა ცოცხალს ვერ ჩამომისწრო.** არ მიდიოდა, არ მტოვებდა, მაგრამ ძალით გავუშვი. აქ ხომ ჩემი დიდი ოჯახი მეხვია თავს, ერთ წუთს არავის მივუტოვებივარ. **„ქალბატონი დედა"** - ასე შემარქვა თემურმა, ისეთი შვილები მყავს, მართლაც ქალბატონივით მივლიდნენ. როგორც ქალბატონს, **თემური ხელზე მეამბორა გამომშვიდობებისას, როგორ მინდოდა, მოვფერებოდი.**

ჩემს **„მოხუც ჯამბაზებზე"** ვღელავ, ნეტავ როგორ გააგრძელებენ. **კარლო (საკანდელიძე), იმის გამო არ ითამაშე, ასაკში ვარ და თავს შეუძლოდ ვგრძნობო, აბა, მე გეგონე პატარა გოგო?** ნახე, რა ამბავი დავატრიალე?! რეპეტიციაზე სათვალესაც არ ვხმარობდი, მხოლოდ ხანდახან, პროფილაქტიკის გამო მიკეთია-მეთქი, ვკეკლუცობდი. **თამარ (სხირტლაძე), რა ეშველება ჩვენს სპექტაკლს („აქ, ამ სავანეში")?!** ვნახოთ, თემური რას მოიფიქრებს. არადა, შვილის **(თაზო თოლორაია)** სიკვდილის შემდეგ ამ სპექტაკლმა გიხსნა და გადაგარჩინა. გავიგონე, „ჩემო მერცხალო" რომ დამიძახე, მინდოდა, ხმა გამეცა, მაგრამ ვერ შევძელი. ეს სპექტაკლი რაღაც განსაკუთრებული იყო ჩემთვის. სეზონის ბოლოს რაღაც გუმანმა მითხრა, ვეღარ ვითამაშებდი, ჩვენს **ჯემალს (ღლონიძეს)** კიდეც ვუთხარი, **ეს სეზონიც მორჩა და მეც მოვრჩი-მეთქი.** ჯემალი ცრემლის გარეშე ვერ იგონებს ამ ამბავს. **რა საოცარია, გარდაცვალების წინა დღეს კახი მომელანდა: კახი, კახი-მეთქი, ხმამაღლა დავუძახე, მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მირაჟი იყო.** მაკამ დაურეკა, უთხრა, შენ გკითხულობსო. ის მოვიდა, მომეფერა. **რა ვქნათ, კახი, უჩემოდ მოგიწევთ თამაში. ის კი არა, გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე ახალ სპექტაკლშიც მიმიწვიეს.** რა ხალხია ეს რეჟისორები, მომაკვდავსაც არ გაჩერებენ! გეხუმრე, ჩემო **გოჩა (კაპანაძე),** ნეტავ, კიდევ შემძლებოდა სცენაზე დგომა!

**ჩემი სამშობლოს ბედი მაღელვებს. აქაც ვერ ვიქნები მშვიდად. ნეტავ, თვალი გამახელინა და კიდევ ერთხელ თვალი მომევლო მისთვის. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, რომ კვლავ გიყვარვართ, ასე რომ მომეფერეთ. არ გემშვიდობებით, ჩემო ძვირფასებო, უბრალოდ გეტყვით:** ნახვამდის, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

მოამზადა
**ქეთევან ხამიცაშვილმა**



---

**ნოდარ დუმბაძის მეუღლეს, ქალბატონ ნანულის და მის შვილებს, — ქალბატონ ქეთის და ქალბატონ მანანას ოჯახში ვესტუმრე... კარს კვლავ „ნ. ვ. დუმბაძე" აწერია... დიახ, ორი დღის წინ მე ნოდარ დუმბაძესთან ვიყავი ოჯახში...**




**ნანული დუმბაძე:** - ჩემთვის, სხვათაშორის, ძალიან მძიმეა, მაგრამ გახარებული ვარ იმით, რომ ნოდარმა თავისი ადგილი მონახა. მას პატრიარქმა მოუნახა თავისი ადგილი... მთაწმინდა უძვირფასესია, შვილო...

**- თუმცა, დღემდე საუბრობენ, თითქოს „მზიურში" დაკრძალვა საკუთარ ანდერძშივე უთხოვია ბატონ ნოდარს.**

- ტყუილია! არავითარი ანდერძი ნოდარს არ დაუტოვებია... ისე, ძალიან ბევრჯერ უხუმრია - „მე რომ მთაწმინდაზე ვიყოო", მაგრამ ამის იმედი და მოლოდინი არ ჰქონია მას... „მზიური" ნოდარის ჩანაფიქრი იყო და **„ოცნებას კაცი არ მოუკლავს"** - ასეთი სათაურით პატარა მოთხრობაც კი აქვს დაწერილი. სხვათაშორის, თავის დროზე „მზიურის" არაჩვეულებრივი პროექტი გაკეთდა, რომელიც დღესაც სახლში მაქვს შენახული. პატარ-პატარა კოტეჯები უნდა აშენებულიყო, რომლებშიც მიუსაფარი და ღარიბი ოჯახის ბავშვებს უნდა ეცხოვრათ... ერთი სურვილი თან გაიყოლა, რომ ასეთი ბავშვებისთვის მიწის სიყვარული და ბარით მუშაობა ესწავლებინა. პატარა სკოლაც უნდა გახსნილიყო „მზიურში"... „ალბათ, „მზიურში" უნდა დავიკრძალო, რადგან მე თუ აქ ვიქნები, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ აქაურობას..." - ეს იყო მისი ნათქვამი და მოგეხსენებათ, როგორც მოუარეს „მზიურს"... რაც ნოდარის სიცოცხლეში გაკეთდა, ისიც კი დაინგრა, ახლის შექმნას ვინღა ჩივის...

**- ქალბატონო ნანული, ერთ-ერთი ტელეინტერვიუს დროს თითქოს გულისტკენაც გამოხატეთ... „ჩემგან შორს მიდისო ნოდარი", - ბრძანეთ...**

- რა თქმა უნდა... გული იმაზეც მტკივა, რომ მთაწმინდაზე მეუღლეებს არ კრძალავენ და მე სამუდამოდ ვრჩები ნოდარის გარეშე... შვილის საფლავიც მაქვს და, ალბათ, ჩემი შვილის გვერდით დამკრძალავენ, თუმცა... ყოველთვის ნოდარის გვერდით ვიყავი და ახლაც მასთან მინდა ვიყო... ბევრს საუბრობენ და ხმამაღლა განვაცხადებ: „მზიური" არ მოკვდება! „მზიური" მუდმივად იქნება „მზიური"!

**ღმერთმა ქნას, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მაინც შეიძინოს „მზიურის" ტერიტორია... დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი ისე მოუვლის და გააკეთებს საბავშვო ქალაქს, როგორც ნოდარს უნდოდა! ის მართლა გააკეთებს!**

**- თითქოს, ვაკე-საბურთალოს ახალი გზის გაყვანის შემთხვევაში „მზიურს" პრობლემები ექმნებაო...**

- როგორც ვიცი, პროექტით, გზა მდინარის იქითა ნაპირზე კეთდება, „მზიური" კი აქეთა ნაპირზეა... მე ასე ამიხსნეს... არა მგონია, „მზიურს" ხელი ახლოს ვინმემ... დიახ, მჯერა, „მზიური" მუდმივად იქნება საბავშვო ქალაქი! იცით, რა... ნოდარი არ მომკვდარა! მწერალი მაშინ კვდება, როცა მას არ ბეჭდავენ და მის ნაწარმოებებს არ დგამენ თეატრებში... ნოდარის სახელი მსოფლიოშია გატანილი და ბავშვები დღესაც გიჟდებიან მის ლექსებზე... მე და ნოდარი ფიზიკურად არ ვართ ერთად, თორემ ის ყოველთვის არის ჩემთან... სხვათაშორის, პატრიარქმა ადრეც არაერთხელ განაცხადა ნოდარის ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენების თაობაზე და უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა მის უწმინდესობას... იცით, რა მახსოვს? როდესაც ნოდარი გამოასვენეს, ზღვა ხალხი ესწრებოდა მის დაკრძალვას... ლენინის ძეგლზე იყვნენ ახალგაზრდები ასულები და ასე, ზემოდან უერთდებოდნენ პროცესიას... ფეხით იარა მთელმა ერმა „მზიურამდე" და ეს იყო სწორედ ნოდარის სიყვარული... უნივერსიტეტიდან ოპერის შენობამდე იყო გადაჭიმული მაშინ ხალხის ზღვა...

**ქეთი დუმბაძე:** - გულრიფშში ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს, მამა ცუდადაა და თქვენს ჩამოსვლას ითხოვსო... ჩამოსვლისას „ლეჩკომბინატთან" უამრავი ადამიანი იყო მისული და მხოლოდ ერთი კაცი იდგა განცალკევებით... სრულიად უცნობი გარეგნობის ადამიანი იყო, ადვილად შესამჩნევი ყავისფერი ფეხსაცმელებითა და ყავისფერი შარვლით... მოდიოდა მთელი იმ დღეების განმავლობაში და, უბრალოდ, იდგა... როცა მამა გარდაიცვალა, იმ მანქანაში, რომელშიც მამა ესვენა, ის კაცი იჯდა... მან მოასვენა მამა სახლში... ეს კაცი ნამდვილი ჭიჭიკო გოგოლი იყო!

წეღან დედას რომ ესაუბრებოდით, გისმენდით და ერთს მეც გეტყვით: მამას იდეები არ კვდება! ეს დრომ დაამტკიცა და გპირდებით: „მზიური" არ მოკვდება! ეს სრულიად გამორიცხულია!

**მანანა დუმბაძე:** მამა ადის მთაწმინდაზე. ეს ჩემი გენეტიკური კოდის გამარჯვებაა და ჩემი გვარისთვის უდიდესი მადლია!

მჯერა, მამა მთაწმინდიდან გადმოხედავს სრულიად საქართველოს, დალოცავს, გააძლიერებს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მან თქვა - „მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით!" სხვათაშორის, თემურლენგის საფლავს რომ ხსნიდნენ, უხუცესებმა პროტესტი გამოთქვეს. ისეთი მეომარი სული ბობოქრობს თემურლენგის საფლავში, კატაკლიზმები მოხდებაო და მართლაც, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო! როგორც კი დახურეს თემურლენგის საფლავი, მაშინვე დამთავრდა ომი... შედარებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ შეიძლება ბავშვურად მგონია მაინც... როცა მამაჩემის საფლავს გახსნიან, ისეთივე კეთილი და სამართლიანი, ჰუმანური აურა მოედება სამყაროს, როგორიც მამა იყო! სხვათაშორის, ძალიან ცუდად ვართ... ასე გვგონია, სულ ახლახან გარდაიცვალა და დღეს ვკრძალავთ მამას... თუმცა, „მან დაიმსახურა სიმშვიდე!"...

**ქეთი დუმბაძე:** - „მზიური" მამას ქალაქია! „მზიური" ზურიკელების ქალაქია და მერწმუნეთ, „მზიურში" მუდმივად დარჩებიან მამაც, ბებიაც, ილიკოც და ილარიონიც...

**ნანული დუმბაძე:** - ნოდარი დღეს საკუთარ „მზიურშია"... თუმცა, დარწმუნებული ვარ, თავადაც უზომოდ გახარებულია მთაწმინდით... მაგრამ მისი სულის ნაწილი მუდმივად დარჩება „მზიურში"...



**ბოლოთქმა**

საუბრის შემდეგ „მზიურში" ჩავედით... გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ დიდი მწერალი **„მზიურს"** ეთხოვება... **„მზიური" არ მოკვდებაო",** - დამაიმედეს... **ალბათ, სოსოიაც გადმოგვხედავს მერე მთაწმინდიდან და მოგვაძახებს: „მე ვხედავ მზეს!"... ილიკო** და **ილარიონი** ისევ შემხვდებიან შუა ვაკეში, დუმბაძისეულად გაშენებულ საბავშვო ქალაქში და, ალბათ, **ოლღა ბებია** დამლოცავს ისევ ცხოვრებისეულ გამოცდაზე მიმავალს... ამიერიდან კი... **ნოდარ დუმბაძე ღირსეულად დაივანებს მთაწმინდაზე... ზურიკელა კი, მერისთან** და მურადასთან ერთად, მჯერა, ყოველთვის „მზიურის" გულში შემხვდება...

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი**

მამული
ქართველ ემიგრანტთა გაზეთი შეერთებულ შტატებში



# „დედაენა" ტირის!

ქვეყნად არის წიგნები, რომლებიც არათუ გამოცემისთანავე, არამედ ჩანასახშივე განწირულნი არიან დასალუპად. ასეთი წიგნებით ავსებულია ბიბლიოთეკებისა თუ წიგნის მაღაზიათა თაროები. შეიძლება ისე გაატარო ცხოვრება არხეინად, რომ მათი არსებობა-არარსებობა არც კი იცოდე. არის აგრეთვე ისეთი საინტერესო წიგნები, რომლებიც გიზიდავენ, გიპყრობენ თავისი შინაარსით, იდეით თუ კვლევებით. მაგრამ შესაძლებელია უმაგათოდაც ცხოვრება, უბრალოდ არ, ან ვერ წაიკითხავ იმ წიგნს, მაგრამ სადღაც ოდესღაც იქნებ მაინც მოგიწიოს მისი გაცნობა.

ასეთი წიგნები რაოდენობრივად არც თუ ისე ბევრია, მაგრამ თანაფარდობის ბალანსს კარგ და ცუდ წიგნებს შორის თავისი შედარებითი სიმცირის მიუხედავად მაინც არ არღვევს, რადგან კარგი წიგნი ყოველთვის ავსებს მკითხველში წიგნიერებისადმი მიდრეკილებასა და მათი მეშვეობით სულიერი საზრდოს მეტი რაოდენობით მიღების წყურვილსა და სურვილს, იმ ვაკუუმით გამოწვეულ წყურვილსა თუ სურვილს, რაც წარმოიშვება ზღვა სამაკულატურო ლიტერატურიდან, რომელიც ვერავის სძენს ღირებულს.

მაგრამ არის ისეთი წიგნებიც, რომელთა გარეშეც შეუძლებელია არსებობა. ისინი ორგანულად გადაჯაჭვულნი არიან საზოგადოების ყოფით და სულიერ ცხოვრებასთან, უხილავი ძაფებით რომ დაკავშირებულან ერის წარსულთან, აწმყოსთან და განსაზღვრავენ მომავალს – მომავალს მართალს, გულწრფელს, სპეტაკს. ასეთი წიგნები კაცობრიობაში ამა თუ იმ ერის სავიზიტო ბარათია. მათი თითოეული ფურცელი ისტორიული მაჯისცემაა. ასეთ წიგნებს კონკრეტული ავტორები რომც ჰყავდეს, მაინც მამულის ფესვეული საზრდოთია შექმნილი, მამული კი უფრო დიდი და ყოვლისმომცველი ავტორია, ვიდრე კონკრეტული სახელისა და გვარის მქონე ავტორი. ეს საამაყოცაა მათთვის, ვინც სამშობლოს სიცოცხლისუნარიანობის ესა თუ ის მომენტი დააფიქსირა და განივთებულ უკვდავებად შექმნა.

ქართველ ერსაც საბედნიეროდ მოეპოვება ასეთი წიგნები. მართალია, ისინი თითზე ჩამოსათვლელნი არიან, მაგრამ ყველა დანარჩენ წიგნთა რაოდენობას აღემატება ხარისხით. თითოეული ეს წიგნები ტოლია ქართულ ენაზე დაწერილ თუ დასაწერ ყველა დანარჩენ წიგნს, არათუ მხოლოდ უტოლდება, არამედ აღემატება კიდეც.

ასეთ წიგნებს განეკუთვნება უპირველეს ყოვლისა ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლია, ქართულ ბიბლიად წოდებული „ქართლის ცხოვრება", შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" და იაკობ გოგებაშვილის „დედაენა". ჩამოთვლილ წიგნებში სრულადაა დაფიქსირებული ქართველი ერის დასაბამითი მეტყველი ენა – მდიდარი სიმარტივიდან სირთულემდე, იქამდე ფილოსოფიურ და კოსმიურ ასპექტებამდე ამაღლებული.

„ბიბლია" მაინც ნათარგმნი ლიტერატურაა, მაგრამ დანარჩენები თამამად ითვლება ყველანაირ ქართულ ენაზე შექმნილ წიგნთა წიგნებად, წიგნების ანა-ბანად, ქართული ენის მარგალიტებად, მსოფლიოს რომ დავანახოთ, აი, ეს ხალხი ვართ ქართველებიო და სრულად და ამომწურავად მიიღოს ამ წიგნების მეშვეობით ნებისმიერმა უცხოელმა ჩვენი ერის შესახებ ინფორმაცია.

შეიძლება, რომელიღაც მწერლის შემოქმედებაზე იზრუნოს მისმა მემკვიდრეებმა, დაინტერესებულმა პირებმა, საზოგადოების გარკვეულმა დიდმა თუ მცირე ნაწილმა, მაგრამ „ქართლის ცხოვრებაზე", „ვეფხისტყაოსანზე" და დედაენაზე უნდა იზრუნოს სწორედ რომ სახელმწიფომ.

ეს წიგნები მე მესახება სახელმწიფო ჰიმნის, ღერბისა და დროშის ტოლფასად, ერის სიმბოლოდ წიგნიერ ასპექტში გამოხატული.

ჩვენ ყველანი დავალებულნი ვართ ამ უნიკალური ეროვნული სახელმძღვანელოების წინაშე, ქედი უნდა მოვიხაროთ მათი აღმატებულება ავტორთა წინაშე, რომელთა სახელები მრავლისმეტყველია, მაგრამ უფრორე მეტის მთქმელია საუკუნეების სიღრმეში თვალსმოფარებული უსახელო ავტორების სახელები, რომელთა სამირკველზე აღიზარდნენ თვით დიდი შოთა და დიდი იაკობი, მით უფრო თუ ქართლის ცხოვრების მემატიანეთა სახელების უმრავლესობა უცნობია.

დიდი ტრაგედია არ იქნება უსახსრობის გამო ამა თუ იმ მწერლის წიგნი, ან წიგნები არ დაიბეჭდება, დღეს თუ არა ხვალ გამოიძებნება ამისი სახსრები, ან არადა მეცენატები მოიძებნებიან უკეთეს დროს. დიდი საჩუქარი იქნება წიგნიერი მკითხველისთვის დიდი ქართველი მოაზროვნეების აკადემიური გამოცემები (მრავალტომეულები). არც ის იქნება დიდი ეროვნული უბედურება, თუ ასეთი გამოცემები სახსრების მომჭირნეობის გამო ნაკლები პოლიგრაფიული ხარისხით თუ დაიბეჭდება, ან თუ საერთოდ არ არ იქნება ილუსტრირებული. მკითხველს ამისთვის ბოდიშს არავინ მოუხდის.

აი, როდესაც ოდნავი მზრუნველობა დააკლდება „ვეფხისტყაოსანს", „დედაენას" (გამოცემის შემთხვევაში), „ქართლის ცხოვრებას", საღვთო ისტორიასა და საღვთო წერილს, ანუ ბიბლიას, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი მკითხველი მკაცრი მომთხოვნი უნდა გახდეს ნებისმიერი საგამომცემლო ჯგუფის მიმართ, უფრო მეტიც, ისე როგორც ბიბლიის გამოცემის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე ზრუნავს საქართველოს საპატრიარქო, ასევე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმ დანარჩენი წიგნების სათანადო დონეზე გამოცემისათვის. „ვეფხისტყაოსანი" მარტო პოეტებისა და რუსთველოლოგების საკითხავი არ არის, არც „ქართლის ცხოვრებაა" მარტო ისტორიკოსის სამაგიდო წიგნი, მითუმეტეს „დედაენა" მარტო საბავშვო სახელმძღვანელო არაა, ის ნებისმიერი ქართველის სულიერების საგანძურის ცხრაკლიტულის ერთადერთი ოქროს გასაღებია, რომელიც ყველა ასაკის ადამიანისთვის აღებს სიბრძნის ამ საგანძურს და შეჰყავს მასში ყველა მოწადინებული მამულიშვილი. ამიტომაა აქვს ამ წიგნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება ქართველი ერის შეგნებაში.

აი, რას წერს ნოდარ დუმბაძე: „ჩემს ოჯახში ერთი უძვირფასესი წიგნი-რელიკვია ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის „დედაენა" გახლდათ. „დედაენა", რომლითაც ჩემი დედა სწავლობდა და რომელსაც მე მიკითხავდა ბავშვობაში, ვიდრე სკოლაში წავიდოდი. იმიტომ კი არა, რომ „დედაენის" გაჭირვება იყო ჩვენს ოჯახში, არა, იგი შელოცვილი აკვანივით გადადიოდა თაობიდან თაობაში და ისე იყო გაცრეცილი, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და ათასჯერ დაკაბადონებული, რომ ძალაუნებურად მოითხოვდა უაღრესად სათუთ და სათნო მოპყრობას".

სწორედ „დედაენაა" ის ეროვნული რელიკვიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტი, რომელზედაც გადის ყველა ქართველის ბავშვობის ცნობიერება. ამიტომაა დიდი სულიერებით მოსაპყრობი ეს ძვირფასი წიგნი.

წლების განმავლობაში „დედაენა" იხვეწებოდა დროის ვითარებათა შეცვლის შესაბამისად. ლექსიკა, სინტაქსი, იდეა, აზრი იცვლებოდა ასევე ქართული ენის გრამატიკის დახვეწის შესაბამისად, მაგრამ უცვლელი იყო და დღესაც ასევე უცვლელია მისი მოდელი, მისი მთავარი პრინციპი – ქართული ენის, ქართული ასო-ბგერების იოლად ათვისება. ამისათვის თვით გოგებაშვილმა ქართული შრიფტის მოდერნიზება მოახდინა, რომლითაც დღემდე იბეჭდება დედაენის წიგნები. ამ შრიფტს „გოგებაშვილს" უწოდებენ და იგი უცვლელად მოვიდა ჩვენამდე იმისდა მიუხედავად, რომ პოლიგრაფიული ტექნიკა „დედაენის" შექმნის დღიდან მრავალჯერ შეიცვალა და დაიხვეწა. დღისდღეობით ე.წ. ციფრული ბეჭდვაა მიზანშეწონილი. ისტორიას ჩაბარდა გრავიურა და ცინკოგრაფია. ილუსტრაცია „დედაენიდან" ერთი-ერთზე გადადის და მას აღარ სჭირდება ფერების გასწორების უკვე მოძველებული მეთოდები. საბეჭდ მანქანაში თითოეული ფორმის ერთხელ გატარებაც კმარა, ფერადი ილუსტრაცია რომ მივიღოთ. ქაღალდის დამუშავებაც ახალ ხარისხზე ავიდა – თვით ქაღალდის სიმტკიცე და გამძლეობა (როგორც ეს ცარცის ქაღალდის დამუშავების შედეგად დაბეჭდილ ფერად ალბომ-წიგნებისას ხდებოდა) წიგნების მაღალღირებულებაზე მეტყველებს.

ამჟამად ჩემი მოკრძალებული შენიშვნები და სურვილები მსურს გამოვთქვა სწორედ „დედაენის" ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოცემაზე, რომელიც შეადგინა ვალერიან რამიშვილმა, შეავსეს და გადაამუშავეს თამარ ღონღაძემ, აწ განსვენებულმა ვახუშტი კოტეტიშვილმა და აკა მორჩილაძემ. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „აისმა" ქ. თბილისში 2006 წ. შმუცტიტულის მეორე გვერდზე საჩინოდ წერია: „რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. სახელმძღვანელომ წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში".

კეთილი და პატიოსანი!...

ყველაფერი ეს მისასალმებელია, მითუმეტეს მაშინ, როცა დღევანდელ ეპოქაში ნაკლები ყურადღება ეთმობა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა-განათლების საკითხს და საგანმანათლებლო სისტემა გადართულია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში. რა თქმა უნდა, ვინც საქმეს აკეთებს, ხარვეზები სწორედ მას ექნება. სრულყოფილი სახით ჯერ არცერთი სახელმძღვანელო არ შექმნილა, თვით „დედაენაც" კი. გავიხსენოთ ისიც, რომ იაკობ გოგებაშვილისეული სახელმძღვანელო განიცდიდა მუდმივ განახლებას და დიდი ქართველი პედაგოგის სიცოცხლეში განხორციელდა „დედაენის" 33 გამოცემა, ანუ პირველიდან ოცდაცამეტ გამოცემამდე მუდმივი დამუშავების პროცესში იყო და არცერთი ამ გამოცემათაგანი წინა გამოცემის სიტყვა-სიტყვით განმეორება არ ყოფილა. რაღაცით ივსებოდა, რაღაც აკლდებოდა, მაგრამ რჩებოდა ის, რაც საკვანძო და მარადიული იყო.

ასევეა ვალერიან რამიშვილისეული „დედაენის" სახელმძღვანელოც. არის მასში ის ხრტილი და ღერძი დაცული, რითაც დღემდე მოაღწია ამ წიგნმა და უაღრესად ფასობს ჩვენში, მაგრამ სამწუხაროდ არის ისეთი ხარვეზები და შეცდომები, რომლის გათვალისწინება და გასწორება საჭიროცაა და აუცილებელიც.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია პოლიგრაფიულ ხარისხზე, რაც ფერადი ბეჭდვის პირობებში საკმაოდ ნაკლები ხარისხითაა შესრულებული და ამ ფაქტორის გამო წიგნი ვიზუალურ ეფექტს ვერ ახდენს, არადა არსებობს გაცილებით მაღალხარისხოვანი სასტამბო ტექნიკური საშუალებები, რომელიც თავისი ხარისხითა და მრავალფეროვნებით გამოიწვევს პირველყოვლისა ბავშვების ინტერესს. როგორც ცნობილია, ბრჭყვიალა ფერები თვალს სტაცებს ადამიანს, მითუმეტეს პირველკლასელ მოწაფეს, რისთვისაც წიგნი სიახლეა, სათამაშოდან ახლა გადადის წიგნზე. წინამდებარე სახელმძღვანელო კი შესრულებულია ე. წ. ჩამქრალი ფერებით და ბავშვებში მიმზიდველობის ეფექტს უკანა პლანზე სწევს, თუ არ ახშობს სრულიად. ასეთი ტექნიკით შესრულებული ილუსტრაციები, რაგინდ კარგიც უნდა იყოს ისინი, მოწაფეებზე დიდაქტიკურ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ეს მკვეთრად ჩანს წიგნის იმ გვერდებზე, სადაც ფოტოილუსტრაციებია გამოყენებული. ფოტოები ბუნდოვნადაა გამოსული ბეჭდვის შედეგად. თუ ეს პოლიგრაფიის ხარისხის შემცირების გამო არაა, მაშინ თვით ფოტოგადაღების ბრალი იქნება, რადგან ამ ფოტოებზე არაა სწორი ფოკუსირება. ასეთ შემთხვევაში რედაქტორი ვალდებული იყო წუნიანი მასალა არ გაეშვა წიგნში.

კიდევ ერთი დეტალი, რაც წიგნის მხატვრულ გაფორმებას შეეხება –

მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ არის ისეთი წვრილმანი საკითხი, რომელიც აშკარად თვალში საცემია და მოწონება-არმოწონების პარამეტრებში არ ჯდება. ბევრი ილუსტრაციები შეუფერებელია, ამ ხასიათის წიგნისთვის მაინც. კონკრეტულად 45-ე გვერდზე მოთავსებულ ბოსტნეულში ძნელად თუ ამოიცნობ კომბოსტოს, რადგან ეს ბოსტნეული კულტურა უფრო სხვანაირი მოყვანილობითა და ფორმითაა ამოსაცნობი – ყველამ საუკეთესოდ იცის, რომ კომბოსტო არის მრგვალი ფორმისა და მოთეთრო ფერის, ასეთი ჯიშის კომბოსტო კი ძნელად მისახვედრია, და მით უფრო ბავშვებისთვის.

თუნდაც 50-ე გვერდზე დაბეჭდილ სურათში, სადაც ასოები გაბნეულია და უნდა ამოიცნონ მოსწავლეებმა „გოშია", ვერ მიხვდები გოშიაა ეს ცხოველი, მგელი, ტურა, თუ ვირთხა. ჩამოთვლილი ცხოველების ყველა ნიშან-თვისებით არის „შემკული" ეს ნახატი. მგლის დრუნჩი აქვს, ძაღლის თავი და ყურები, ტურის ფეხების სიმოკლე, ვირთხის აბურძგნული ბალანი, ფერი და ტანის მოყვანილობა. შეიძლებოდა კი გოშია ისე დახატულიყო, რომ საორჭოფო არ გამხდარიყო მისი ამოცნობა. ეს დეტალი აღარ ჯდება იმ პარამეტრებში, მხატვრის ნამუშევრები მომწონს თუ არ მომწონს. ასეთი ილუსტრირება მიუღებელი უნდა იყოს ყველანაირი გამოცემისათვის, როგორი პოლიგრაფიული ხარისხითაც არ უნდა დაიბეჭდოს წიგნი.

წინარესაანბანო განყოფილებაში ორ შემთხვევაში, სადაც კონკრეტული სიუჟეტები გადმოცემულია ილუსტრაციების სახით, თვით სიუჟეტის განვითარებიდან გამომდინარე ნახატების თანმიმდევრობა დარღვეულია და ვერ მიხვდები, თუ რა არის და რატომაა ესე ასე გადანაწილებული. მე-11 და მე-14 გვერდებზე ეს ილუსტრაციები დალაგებულია დიაგონალზე ჭადრაკის დაფის განლაგების პრინციპით.

მაგალითად, მე-11 გვერდზე ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულია ასეთი ნახატი: მერხთან ზიან მოსწავლეები (გოგო და ბიჭი) ზურგშექცევით ერთმანეთს ებუტებიან;

მეორე სურათი მოთავსებულია ამ სურათის ქვემოთ, ოღონდ მარჯვენა მხარეს, ანუ თანმიმდევრობა კიბისებური უნდა იყოს. აქ კი სულ სხვა ჩაცმულობის ამხანაგები (აქაც გოგო და ბიჭი) დგანან მერხთან. მერხზე დევს ქოთანში ჩადებული ყვავილები. გოგოს სახე კმაყოფილი აქვს, ბიჭი ოდნავ თავდახრილი გრძნობს ამხანაგის კეთილგანწყობას;

მესამე სურათზე პირველი სურათის პარალელურად (ქვემოთ) და მეორე სურათის ქვემოთ კიბისებური, ანუ დიაგონალური დაცილებით, ოღონდ მარცხნივ, მესამე სურათია დაბეჭდილი, სადაც პირველი სურათის პერსონაჟები არიან გამოსახულნი – მერხთან ზიან გოგო-ბიჭი. ბიჭს ჩაუვლია ხელი გოგოს ნაწნავებში და ჩეჩავს. გოგონა ბრაზობს, ბიჭი კი კმაყოფილია;

მეოთხე სურათი ასეთივე პრინციპით არის დაბეჭდილი ფურცლის მარჯვენა კუთხეში და მასზე დახატულია მეორე სურათის პერსონაჟი ბიჭი, რომელსაც მიაქვს ყვავილები ამხანაგისთვის, რომლის სიუჟეტური გაგრძელებაა მის ზემოთ მოთავსებულ სურათზე.

რომც ჩავთვალოთ ეს სურათები ორ სხვადასხვა სიუჟეტად (და ასეც არის), ნებისმიერ შემთხვევაში დარღვეულია თანმიმდევრობა. ერთი შეხედვით, თუ საფუძვლიანად არ დაუკვირდები, იფიქრებ, ეს ერთი მთლიანი სიუჟეტიაო. თუ ბავშვი ასე აღიქვამს ამ გვერდზე მოთავსებულ სურათებს, მისთვის გაუგებარი გახდება სად არის სიუჟეტის დასაწყისი, სად განვითარება და სად დასასრული. აქ კონკრეტულად არაა გამოკვეთილი ურთიერთსაპირისპირო ნიშანთვისება ბავშვების და ამ ხასიათებიდან გამომდინარე ურთიერთობები ამხანაგებს შორის.

ანალოგიური პრინციპით არის განლაგებული მე-14 გვერდზე მოთავსებული საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტი ძაღლის შესახებ, რომელსაც პირში ძვალი აქვს, ხიდზე გადასვლის დროს რომ წყალში საკუთარ ანარეკლს დაინახავს და გადახტება მდინარეში, იმ მეორე ძაღლს წავართმევ ძვალსო, დაბოლოს იმ ძვალსაც დაკარგავს, რაც ჰქონდა და გაწუწული ამოვა მდინარიდან.

ამ გვერდზეც დარღვეულია თანმიმდევრობა.

პირველადაა მოთავსებული ძაღლი რომ წყალში ხტება (რატომ?);

მეორედაა – ძაღლს პირით მიაქვს ძვალი;

მესამედაა – ძაღლი გორაკზე ამოდის გაწუწული და გაწბილებული (ძვალი დაეკარგა);

მეოთხედაა - ძაღლი დგას ხიდზე და მდინარეში უყურებს თავის ანარეკლს.

ამ განყოფილების სწავლებისას მოსწავლეს ვერ მოთხოვ, დაალაგე სურათები თანმიმდევრულად შინაარსის მიხედვითო, ამისთვის ისინი მზად არ არიან და, მიტომ. ხოლო თუ ვინმე ვუნდერკინდი აღმოჩნდა, ეს წიგნი 2-3 წლის ასაკში ექნება გადაბულბულებული.

ბულბული ვახსენე და რომ არ ვთქვა, არ შეიძლება:

90-ე გვერდზე მოთავსებულია გიორგი ლეონიძის ლექსი „დედაენა", გვერდით კი აკვანზე შემომჯდარი „მგალობელი ფრინველი" (ბულბული იქნება ეს, თუ ბეღურა, სხვა საკითხია).

შეუძლებელია ლექსის ილუსტრაცია სტრიქონის პირდაპირი მნიშვნელობით („ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი"). ამ შემთხვევაში აშკარად დარღვეულია ბავშვის მეტაფორული ცნობიერების ჩამოყალიბების პრინციპი. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, არ შეიძლება, რაც აშკარად თვალში საცემი დეტალია და მიკვირს, სახელმძღვანელოს შემდგენელსაც რატომ არ ეცა ეს თვალში. რაც აქამდე ჩემი შენიშვნები გამოვთქვი, ესენი არაფერია იმასთან, რაც ამ შემთხვევაში. ბავშვი ხომ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებს ამ ნახატის ილუსტრირების შედეგს, არადა, ლექსი თავიდან ბოლომდე ხატოვანი თქმით, მეტაფორებითა და ეპითეტებით არის გაწყობილი. მასწავლებელმა ხომ უნდა აუხსნას მოწაფეებს, რომ ეს ყველაფერი გადატანითი მნიშვნელობით უნდა ვიგულისხმოთ. ილუსტრაცია კი პირდაპირი მნიშვნელობით მიასწავლებს ბავშვებს აღიქვან ლექსი და ვერც ერთი პედაგოგი ველარ გადაათქმევინებს თავის მოწაფეებს იმას, რომ მგალობელ ფრინველში ჩიტი კი არა, თავად „დედაენა" უნდა ვიგულისხმოთ.

კიდევ რამდენიმე მცირეოდენი შენიშვნა წიგნის შედგენასთან დაკავშირებით: მაგალითად: 28-ე გვერდზე ასო-ბგერა „თ"-ს შესწავლის განაკვეთში ილუსტრირებულია, თუ როგორ ადის დათვი ხეზე. იმ დროს, როდესაც ტექსტუალური და ვიზუალური მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა – მოსწავლემ ჯერ კიდევ არ იცის შემდეგი ასოები, როგორიცაა „დ" და „ხ". ერთადერთი რამ, რაც შეიძლება იცოდეს ბავშვმა, ერთდროულად წაიკითხოს და წანაკითხი შეადაროს ნახატს, არის დათვის თათი. ეს შესაძლებელია თემატურად დასაშვებიც იყოს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა სხვა შესაფერისი ილუსტრაცია მოთავსებულიყო ამ გვერდზე, სადაც ვიზუალურადაც იოლად აღიქვამდა მოსწავლე ამ ასობგერას. ეს ნახატი კი შეიძლება გადატანილ იქნეს ასო-ბგერა „დ"-ს დასასწავლ განყოფილებაში 62-ე გვერდზე, რაც უთუოდ გაამდიდრებდა მოცემული ასო-ბგერის აღქმას. ასეთივე შეუსაბამობაა 33-ე გვერდზე მოცემული თიხის ჭურჭელთა მთელი წყების წარმოჩენისას. შეიძლებოდა თვალსაჩინოდ ერთი რომელიღაც თიხის ჭურჭელი განთავსებულიყო, ან თასების მრავალსახეობა, რითაც თასის აღქმა უკეთ იქნებოდა შესაძლებელი, თუნდაც თიხის ნაკეთობა ყოფილიყო. ესენი და სხვა მასალისგან გაკეთებული ჭურჭელი ასო-ბგერა „ჭ"-ს დასწავლისას უფრო იქნებოდა მიზანშეწონილი, კონკრეტულად 85-ე გვერდზე მოცემული დავალების ნაცვლად, ან მის პარალელურად.



ახლა რამდენიმე შენიშვნა თვით ტექსტობრივ მასალაზეც, სადაც გაპარულია თითო-ოროლა უზუსტობა, რომელთა გასწორება იოლად არის შესაძლებელი: 104-ე გვერდზე მოთავსებულია მცირე მონაცემები დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნე შოთა რუსთველზე. ერთგან ასეთი დეტალია გაპარული: - მან დაწერა დიდი პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ძნელი წარმოსადგენია ბავშვისთვის რა სიდიდეზეა აქ საუბარი. ან რომც წარმოიდგინოს, როგორ შეიძლება ნაწარმოები დიდ-პატარობით დაიყოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ საქმე პატარა ბავშვებთან გვაქვს და დამახინჯებული წარმოდგენა არ უნდა შევუქმნათ ნაწარმოებებზე, მათ მოცულობა-სიდიდეზე და ავ-კარგიანობაზე. საკმარისია, ამოვიღოთ სიტყვა „დიდი" და წინადადება გამართული იქნება როგორც აზრობრივად, ასევე შინაარსობრივადაც.

120-ე გვერდზე მოთავსებულია ტექსტი ფარნავაზ მეფის შესახებ, სადაც ერთგან დასახელებულია „საქართველო". როგორც ცნობილია ეს ტოპონიმი არ არსებობდა ფარნავაზის დროს. ეს უზუსტობაც გასასწორებელია, თუნდაც ეს ტექსტი გოგებაშვილისეული იყოს და ეს მაშინ, როცა მომდევნო გვერდზე, სადაც მოთხრობილია წმიდა ნინოს შესახებ თვალნათლივაა დასახელებული ივერია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახელება. თუ წმინდა ნინოს მოთხრობაშია შესაძლებელი ასეთი რამ გაკეთდეს, მით უფრო უნდა გასწორდეს ეს უზუსტობა ფარნავაზთან მიმართებაში და მითუმეტეს მაშინ, როცა ფარნავაზი სახელდობრ ივერიის (იბერიის) მეფე იყო.

125-ე გვერდზე, სადაც მოთხრობილია დავით აღმაშენებლის შესახებ, ერთგან წერია -

„იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს".

უნდა ითქვას, რომ დავითის დროს ოსმალეთი, როგორც სახელმწიფო და როგორც ეთნოსი, არ არსებობდა და შესაბამისად საქართველოს ვერ დაიპყრობდა. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ე.წ. „დიდი თურქობა" იყო, ანუ თურქმენული ტომები სახლდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ოსმალეთსა და თურქმენებს შორის დიდი სხვაობაა (თურქისა და ოსმალეთის იდენტიფიკაცია მხოლოდ დღევანდელი რეალობიდანაა შესაძლებელი. როდესაც ოსმალეთის იმპერია დაიშალა I მსოფლიო ომის შემდეგ, მის ნაცვლად შეიქმნა თურქეთის რესპუბლიკა).

ასეთ შეცდომას თვით იაკობ გოგებაშვილიც ვერ დაუშვებდა. ამიტომ ტექსტი გასასწორებელია. აკი იოლად ერევიან დიდი პედაგოგის ტექსტებში წინამდებარე სახელმძღვანელოს შემდგენლები, როცა თამარ მეფის შესახებ წერენ: „აი, თურმე პაწაწინა ყვავილებიც მის სახელზე ყვავიანო..." და მოცემულია ანა კალანდაძის ლექსი. ბუნებრივია, ეს ტექსტი რედაქტირებულია, თორემ იაკობ გოგებაშვილს საიდან ეცოდინებოდა ანა კალანდაძის ლექსი. ე. ი. თუ შესაძლებელია გოგებაშვილისეული ტექსტის რომელიმე ნაწილმა განიცადოს ცვლილება, სადაც ეს აუცილებელია, ასევე უნდა მოხდეს მათი მართებული ფორმებით შესწორება.

და ბოლოს, ეს ტექსტები ზოგადად კონკრეტული საგნის, მოვლენის, რაღაც კონკრეტული საკითხის შემეცნებით სურათს ნაკლებად გვაძლევს, ისტორიული მოთხრობების გამოკლებით. რომ შევადაროთ „დედაენის" პირველ გამოცემებს, მასში მრავლადაა მოცემული ასეთი შემეცნებითი ტექსტებიც, მაგალითად ფრინველებზე, ცხოველებზე, ქალაქებზე, სოფლებზე, საქართველოს სხვადასხვა მხარეებზე. ამ შემთხვევაში კი სახელმძღვანელო მაქსიმალურად გამარტივებულია. საჭიროა მეტი შემეცნებითი ტექსტები, რომლებიც შექმნის ცოდნის ბაზისს მომდევნო ჯგუფებში სხვადასხვა საგნების სწავლებისათვის. 1912 წლის „დედაენის" მეორე ნაწილში მრავლადაა განყოფილებები, სადაც კონკრეტული თემატიკის მიხედვით არის დაწყვილებული სასწავლო ტექსტები. ასე მაგალითად: მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე; სამოსწავლო ნივთები; შინაური ცხოველები; გარეული ცხოველები; მცენარეულობა; სხვადასხვა მოვლენანი; საქართველო (აღმოსავლეთი და დასავლეთი - ცალ-ცალკე განყოფილებით); ქვეყნისთვის თავდადებული ქართველები. კარგი იქნება, გოგებაშვილისეული თემატიკის დაწყვილების პრინციპი გათვალისწინებული იქნება „დედაენის" მომდევნო გამოცემებში.

**მანუჩარ კაჭახიძე,**
**2009 წლის საზაფხულო არდადეგები**



## მერვე სათქმელი: ცეცხლკარის მისტიური ხილვები

მედეამ დაასვენა შვილები მარხილზე. ისევ დაიტირა ისინი და ნელი სვლით გაუყვა გზას. იგი მარხილზე არ შემჯდარა, ცხენს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ მგლოვიარედ. გზაში შემოაღამდა. მაგრამ გზას მაინც განაგრძობდა. ეს იყო, რომ ჯერ ვერ გაერკვია საით წასულიყო და რა უნდა მოემოქმედნა. ერთი რამ ცხადი იყო მისთვის - შურისძიება ულმობელი იქნებოდა არათუ ერთეულებისთვის, არამედ ყველასათვის. ესეც არ იცოდა, ერთი დაშნით როგორ მოახერხებდა შეეძრა სულით ხორცამდე მთელი ელადა, საშვილიშვილო დამღად რომ დასმოდათ ბავშვების სისხლი. ცრემლები ნიაღვარივით მოსდიოდა თვალთაგან. გველის პერანგი ემოსა მედეას და ეს მრისხანებას უფრო მატებდა მის იერს, ვიდრე უსუსურობას. არადა, არც არასოდეს ყოფილა უსუსური, თვით ყველაზე უმწეო მდგომარეობაშიც კი. მიდიოდა და მისი ნაბიჯები მტკიცე იყო, ამ ნაბიჯებს თავგანწირვა ერქვა, რადგან მისთვის აღარ დატოვეს არაფერი, რისთვისაც თავს დაზოგავდა რალაცნაირი უკან დახევით. მედეა ისეთი შეუპოვარი იყო იმ წუთებში, რომ უდიდეს ლაშქარსაც კი შეებმებოდა მარტო, გამწარებული დედა იყო, და მიტომ. გზა კი მოსაწყენისი ერთფეროვნებით გადაიჭიმა და მითუმეტეს შებინდებულზე, როდესაც მგზავრი არემარის დათვალიერებით ვერ ერთობა და ვერც კლავს გზის უსასრულობის სირულეს. მედეაც თავიდან ბოლომდე მთელი გონებით მინდობილი იყო ამ გზას, საითაც წაიყვანდა, მოსაწყენად კი არ ეცალა. გზას მთვარე ანათებდა, ვარსკვლავთა მრავალფეროვნება საფიქრალთა წარმოშობის ნიშანს იძლეოდა და გარდასული ღამის განმეორებისაგან იცავდა ცისქვეშეთს. ყველაფერი დამშვიდებული იყო.

გრილი ნიავი საამოდ ასუნთქებდა დაღამებულ გაზაფხულს. იმისათვის, რომ ღამეული გზა მომქანცველი და რულის მომგვრელი არ ყოფილიყო, მგზავრმა ჩუმად ღიღინი დაიწყო. თითქოს საკუთარ სხეულს ამით ძილის საშუალებას არ აძლევდა. ღიღინებდა და ამ ღიღინში კოლხური სიტყვითა და კილოთი თავის უიღბლო ახალგაზრდობას დასტიროდა, რომლის ნაყოფები სიკვდილშემოსილი წყლულებით განისვენებდნენ მარხილზე. დედას თავისი ძაძები გადაეფარებინა, რათა არ შეეხედნა მკვდარი შვილებისათვის. ეს უფრო უადვილებდა ღიღინის სურვილს. იმდენად გულში ჩამწვდომად ღიღინებდა მედეა, რომ თავისთავად თავისი ნამღერის ტყვეობაში მოექცა და ისე მოექცა, რომ ხმას უმატა, უმატა და უმატა. ეს ხმა მალე ყვირილში გადაიზარდა, მაგრამ ბევრჯერ ყვირილი კვნესა უფროა და მით უფრო მომნუსხავია იგი, თუ მას სიმღერა ჰქვია და მას დედა მღერის. აღარ დაეძინა მედეას იმ ღამით. უკვე მეორე ღამე იყო ებრძოდა ძილს და ძილთან ბრძოლაში იმარჯვებდა, სიყმაწვილე ამარჯვებინებდა მას სხეულის არაადამიანურ მომქანცველობასთან ჭიდილში. ყველაზე კარგად ქალები საკუთარ თავსა და სხეულს უმკლავდებიან. მღეროდა მედეა და ამ სიმღერაში ტკივილი ისმოდა. სიმღერას ვამბობ, თორემ მთელი ხმით გაჰყვიროდა. ვისთვის როგორ აღიქმება - ყვირილად თუ მღერად, ეს ადამიანს გააჩნია, რადგან ბგერათა წყობა ვისთვის სევდაა, ვისთვის სიხარული, ვისთვის კი უბრალოდ ხმაური. მედეა შესტიროდა, -

*„ლილევდა, დიდება შენდაო,*
*დიდება შენდა ზეციერო!*
*ოქროსი ვიდგას სრა-სასახლე,*
*გარს აკრავს ოქროს გალავანი,*
*გალავნის ძირას ორბებია.*
*ქიმ-ქონგურებზე შევარდნები.*
*შენს საღმრთო ხარებს მეუფეო,*
*რქები ადგათ - რქები ოქროსი.*
*იალაღებზე ბუღრაობენ,*
*ირყევიან დიდი ქედები“.*

ხმის ჩაწყვეტამდე უხმობდა მედეა ლილეს. წრფელი ცრემლები ყმაწვილ-ქალის გრძნობებს აკეთილშობილებდა. მერე დაღლა იგრძნო ხორხმა, შეისვენა მედეამ, აღიდგინა სუნთქვა, რადგან აჩქარებულად სუნთქავდა. შიმშილიც იგრძნო და წყურვილიც. დაიხარა, ხელებით ბალახები მოძებნა, ხელებითვე ამოარჩია, რადგან თვალს უჭირდა სიბნელეში რაიმეს გარჩევა. ამორჩეული ბლუჯად ამოპუტა მიწიდან და შეჭამა. შეჭამა და ეამა. მეტი ძალა იგრძნო გრძნობებში გადავარდნილმა და ისევ დაიღიღინა, ისევ უმატა ხმას, ბარბოლ-დოლაშს მიმართა შეწევნად მახვშების ძარღვმაგარ და სასმენად კლდე-ჭიუხსავით უდრეკ ენაზე, იფიქრებ, ამ ენაზე სიტყვა არ იმღერისო, მაგრამ ყველაზე ჰარმონიული და ნაზი სიმღერა, თავის ჩვეებთან და გარემო-ბუნებასთან შერწყმული, მართლაცდა, ამ ენაზე იმღერის. მელოდიაცაა შესაფერისი. ჰოდა, ღმერთმა რომ ადამიანთა ენები გაყო, ყველა მათგანს თანაბრად მისცა მადლი, სიღრმე და კეთილხმოვანება. ჩვენზეა დამოკიდებული - ადამიანებზე, თუ როგორ გამოვიყენებთ მის ღვთაებრივ სიბრძნეს. ღიღინებდა მედეა და თანდათან ხმას სიმკვეთრე და შემართება ემატებოდა სიმტკიცით გაბრჯნილი,-

*„სამხვერპლოზე ძღვენი გვიდევს,*
*ხილვა გვინდა შენი სახის*
*შენი ტვირთის ზიდვა გვინდა.*
*წვეთავს ირმის სავსე ძუძუ,*
*თეთრად რჩება ირმის კვალი,*
*კლდეებიდან გადმოადენ*
*რძის და თაფლის უშრეტ მარაგს.*
*მზე შემოაქვს რქებით ხარებს,*
*მზე შენია ბარბოლ-დოლაშ“.*

მედეა ამ სიმღერებით აღარ უხმობდა ღვთაებებს, როგორც ეს წინა ღამით იყო. იგი მხოლოდ დროის გასაყვანად, გზის მომქანცველობის შესამსუბუქებლად მღეროდა. რომ დაამთავრებდა ერთს, მეორეს იწყებდა. თითქმის ყველა სიმღერა-ლოცვა-გალობა დაამღერა გზაში. გულიც გაიქარვა და გზაც ასე თუ ისე დაფარა, ღამე გადაილობა ოღონდ. ისევ თავის სევდიან სიმღერებს მისცა თავი, -

*„დიდია ჩვენი პირიმზე,*
*ხრმალს ირტყამს*
*ლერწამ ტანზედა.*
*არ მოიხდინა მოძალე*
*მისული თავის კარზედა“.*

აღარც უიმე ყმის მშველელი პირიმზე შეეწეოდა მგლოვიარე თვალცრემლიან დედას. ახლა მოგონებებმაც არივ-დარია მედეას გონება. ისევ ტკბილი კოლხეთი წამოელანდა თვალებს; ხელის გაწვდენამდე ახლო წარსული - ბავშვობის დღეები.

ამ მოგონებაში იგი ბავშვი იყო, ცოცხალი იყო აფსირტეც. ისინი მამიდის სამზარეულოში დამწვარის უქმეს აღნიშნავდნენ, მეორე დღეს რომ გერ-შურიშხასთვის ამზადებდნენ მგლის კვერს. მამიდამ, მისმა კეთილმა მამიდამ მოგრძო ცომი დაამზადა და ერთ ბოლოში ხელი წაუჭირა და ერთიანი ფორმის ცომიდან პატარა მონაკვეთი გამოყო.

„ეს მგლის თავიაო“,- უთხრა პატარებს.

ბავშვებს გაეცინათ. ო, როგორი გულწრფელი იყო ეს სიცილი, როგორი მართალი და სპეტაკი. სად წავიდა ეს სიცილი ნეტავ? მერე მამიდამ მგლის ცომს ქვა ჩაუდო პირში.

„ამას რას აკეთებო?“- იკითხეს გაკვირვებულებმა.

ამაზე მამიდასაც გაეცინა, ბავშვებს მოეფერა და უთხრა:

„ეს ქვა ჭამოს წრეულსო მგელმა, ვიდრე ჩვენი საქონლებიო. საგაისოდაც კლოვ ქვა ჭამოსო“. გადაიკისკისეს ბავშვებმა.

მერე მედეამ ჰკითხა მამიდას:

„მგელი ხომ ჩვენი მფარველიაო. რატომ უნდა ჭამოს ქვა და არა საქონელიო“.

მამიდამ შუბლზე აკოცა ბავშვს და უთხრა:

„გონიერი ყოფილხარ, შვილოო, მაგრამ ეს იცოდე და დაიხსომეო - მგელს ქვა ცეცხლკარში გადაატარებს მშვიდობით და დაგვიცავს თავისი ძლიერებითო, ხოლო საქონელზე გადაყოლილი მგელი მტაცებელია და მეტი არაფერიო“.

„ცეცხლ-კარის მიღმა რა არისო?“- ახლა აფსირტემ ჰკითხა მამიდას. იმანაც უპასუხა:

„ჯერ პატარები ხართ და როცა გაიზრდებით, თავადვე მიხვდებით რა არის ცეცხლ-კარი და რაა მის მიღმაო“, - და მასაც შუბლზე აკოცა.

მიხვდა, ახლა მიხვდა მედეა რა არის ცეცხლ-კარი და რა იმყოფება მის მიღმა. აფსირტემ უკვე გაიარა ცეცხლ-კარი და დაემკვიდრა ცეცხლ-კარს მიღმა.

მიხვდა, მხოლოდ ახლა მიხვდა მედეა, თუ რატომ იყო გამოსახული აიეტის საბრძოლო ალამზე მგელი ცეცხლოვანი ქვით პირში. ისიც გაახსენდა მედეას - თავისი ბოჩოლა, ანგელოზა ბოჩოლა, მის სახელზე რომ მამამ ფუძის ანგელოზს შესწირა, რა ლამაზი იყო მაინც, თვალთაგან არ ამოდიოდა, როგორი ჭკვიანი თვალებით უყურებდა ირგვლივ ყველას. ალბათ დააბერებდა ასე უცოდველად მამა შვილის ანგელოზას, ან გამწარებული გაუპობდა თავს, თუ გაახსენდა ის სიმწარე, მამის ტკივილი რომ ჰქვია, თუ ოდესმე გაიგონებდა ხარზე ატეხილ ანგელოზას ბღავილს.

ტკბილი მამიდა აღიდგინა თვალებმა - პატარა იყო მაშინ აფსირტე, მგლების ეშინოდა მეტისმეტად. მამიდამ ქვასანაყი და სავარცხელი სამზარეულო ოდის დედაბოძს მიაკრა და მტირალა ბავშვს უთხრა, -

„ნუ გეშინია შვილო, მგელი დაიხუთებაო“.

მერე ანთებული მუგუზალი შესტყორცნა ქვასანაყს.

„ნახე ჩემო ბიჭო, როგორ დაუთუთქოს პირი შენ შემშინებელ მგელსო...“

გაგულისებულ აფსირტესაც აცრემლებულ თვალებში სიხარულის სხივები აუჭრელდებოდა და უცებ გადაიკისკისებდა გულიანად.

„ასე, ჩემო კუდრაჭებო, ასე, არაფერმა შეგაშინოთ ცხოვრებაშიო“.

არც შეშინებია არაფრის, თვით ცივი სიკვდილისიც კი.

დაალონა მოგონებებმა მედეა, თავის დახსნა მოისურვა მოგონებათა მარწუხებიდან. ამიტომ ცხენს ფაფარში ჩაავლო ხელი და დაელაპარა. ისიც თითქოს საუბარში ერთვებაო, ფრუტუნით პასუხობდა რაღაცეებს. ასე გალეიეს გზის ნახევარი და შუა ღამემ მოქანცა მგზავრები. ცოტაოდენ სიცივეც იგრძნო ქალის შეუმოსავმა ფეხებმა. გველის პერანგი შემოიხვია ბარკლებზე, თბილი იყო გველის ახლადგამოცვლილი პერანგი, და მიტომ. ცოტა ხნით შეისვენეს ცხენმა და ქალმა.

- რა ვქნათ, საით გავჭენდეთო, - ჰკითხა მედეამ თავის ცხენს, მაგრამ ეს კითხვა პასუხის გასაცემად არ დაუსვამს მისთვის. პირიქით, პასუხი რომ არ გასცემოდა, იმიტომ იკითხა, რადგან იცოდა, პასუხს ვერავინ გასცემდა მას, არც იყო საჭირო რაიმეს თქმა საპასუხოდ,- არც რომ მამა მელის, არც რომ სატრფო. მაშ, რაღასთვის ვიჩქაროთ. შვილებს ვერ გავაცოცხლებ სიჩქარით. შურისძიება კი რაც უფრო დააყოვნებს, მით უფრო მწარედ მოხვდება მიზანს. ამიტომ თვალი მოვატყუოთ, ჩემო ცხენო, და ხვალ ისევ განვაგრძოთ გზა. სძლისპირებით გავიმაგროთ ეს ღამე და შეგვეწევა დამბადებელიო,- უთხრა მედეამ თავის ცხენს. მანაც ფრუტუნით დაუდასტურა პატრონს ნათქვამი და წინა მარჯვენა ფეხი ასწია და ფლოქვი მიწას ჩასცხო, მორჩილადაც დახარა თავი.

- რაო, ცხენო, რა გინდა, რომ მითხრაო,- ჩაეკითხა ისევ მედეა,- თუმცალა რა უნდა მითხრაო. დამშვიდდიო. დაისვენეო. ხვალ დიდი გზა გველისო.

ცხენი კი უფრო და უფრო მოუსვენრად ურტყამდა ფლოქვებს მიწაზე და ფრუტუნებდა.

- მგელი ხომ არ იგეშე. შიში ნუ გექნებაო. სანამ შენს გვერდით ვარ, ვერავინ შეგჭამსო. ჩემი ბიჭები ვერ დავიცავი, თორემ მე და შენ ამ ქვეყნის ზურგზე შეგვჭამენ, თუ შევჭამთ, ვივლით, თუ არა, რა სათქმელი ვართო.

ცხენი მოუსვენრობამ შეიპყრო და მარხილში რომ არ ყოფილიყო შებმული, გაიქცეოდა.

- რა დაგემართაო, ხომ გითხარი, ცოტა შევისვენოთ და მერე განვაგრძოთ გზაო. საჩქარო აღარაფერიაო, დაწყნარდიო,- იქვე ლოდზე ჩამომჯდარი მედეა წამოდგა, მიეფერა ცხენს და ისევ დააპირა დაჯდომა. ცხენი კი არ ისვენებდა, - ცხედრებმა ხომ არ შეგაშინეაო, მაგრამ აქამდე ხომ მოიტანე ისინიო? - ცოტა არ იყოს წყრომის კილო შეერია მედეას ხმას, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ სიბნელის მეტი ვერაფერი დაინახა.

„არა, რაღაც ნამდვილად დაინახა ცხენმა, ახალ ხიფათს ხომ არ გრძნობს ნეტავ? აშკარად მოუსვენრობამ შეიპყრო,თითქოს რაღაცნაირად განგაშის წინათგრძნობა აქვსო. რისი გეში აიღო ნეტავო“,- არ ასვენებდა ახლა ამღამინდელი საწუხარი.

ლაგამს დაუწყო კვნეტა და აჭიხვინდა, მთლად გადაირია. მედეაც მოემზადა, რადგან მიხვდა, რომ ახლოს იყო უკვე ის, რისთვისაც ასე დაფრთხა ცხენი. ყურადღება დაძაბა, ხელი წელზე გაჩრილი დაშნისკენ წაიღო. ამის მერე წარბები შეიჭმუხნა მედეამ, რაში კი სულ უფრო და უფრო მოუსვენარი ხდებოდა. საუცბათოდ ბავშვების ცხედრებს დახედა დედამ. ყველაფერი რიგზე იყო მარხილში და ისევ გადააფარა ბავშვებს ღამისფერი ძაძები და ისევ ცხენთან მიბრუნდა. საიდან იყო და საიდან არ იყო, სიბნელიდან გამოიკვეთა კვესივით ბრჭყვიალა თვალები, მერე თანდათან კონტურიც დაიხატა. მედეა სახტად დარჩა დანანახით, რომელიც თანდათანობით თვალნათლივი ხდებოდა და მოჩვენების ცთომილების სიშორიდან სიცხადის ხილვის გარდამავალ მანძილზე გამოჩნდა. ეს არ იყო მირაჟი, ამაში დარწმუნდა მედეა მაშინ, როცა ღამეს გამოეყო ის ჩვენება და მედეას მიუახლოვდა. ცხენმა შეწყვიტა ფრუტუნი, ის დამშვიდდა. მედეამაც დაშნა ისევ წელზე გაიკეთა და თქვა, -

- თვალები მატყუებს, თუ მართლა გხედავ?! საირხე!!!.

## მეცხრე სათქმელი: საირხე

საირხე მდუმარედ უახლოვდებოდა მარხილს. ცხენიც სრულიად დამშვიდდა. მედეას თვალებში ჯერ გაკვირვება, შემდეგ კი სიხარული გამოიკვეთა. ხელი შეუშვა ცხენის ფაფარს და ნელა წავიდა საირხეს შესაგებებლად. საირხეც მკაფიოდ გამოჩნდა, სიბნელის მიუხედავად. იგი მშვიდად და აუღელვებლად მიდიოდა მედეასკენ და რძის კვალსა და სურნელს ტოვებდა. არაფერს ამბობდა საირხე, მხოლოდ მედეას უყურებდა, - და უყურებდა სათნოებით, არა-სიბრალულით. მის თვალებში არ იყო წყენა, არც თუ შურისძიება, ნიშნისმოგება. არც ალერსი იკითხებოდა, თუმცალა თვალთა სიღრმეში, სადაც სულის შეხება ხდება ხორცთან, სწორედ იქედან მოდიოდა წყენა, შეზავებული პატიებასთან. მშვიდობა მოუტანა მედეას საირხემ, ისეთი მშვიდობა ძალადობას რომ აქარწყლებს სრულიად. თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს, არ მიიღო მედეამ მშვიდობა, თუმცალა შერბილდა მისი ბოღმის გაქანება. ღვარძლით ამღვრეული თვალები საირხემ დაუმშვიდა და უფრო ლამაზი გამოჩნდა მედეა. ცდილობდა საირხე შურისძიების წინსწრაფვას გადალობებოდა, ვერ შესძლო, მიუხედავად მედეასადმი თაყვანისცემისა. მის თვალებში ანკარა წყაროს უბრალოებით შევსილი სისპეტაკის მზიური სხივარეკვლა და ნაფიქრის ცოცხლად ამეტყველებული წრფელი და დაუფარავი პატიოსნება იმზირებოდა. ამან შეაჩერა მედეა ცოტა ხნით.




- საიდან მოსულხარო, - თვალებმა ჰკითხა თვალებს,- ან როგორ მიპოვეო?

- ბევრი ვიარე, თუ ცოტა ვიარე, ვგრძნობდი, ამიტომ გადმოვლახე ცხრა მთა და ცხრა ზღვა. შენამდე უნდა მომეტანა მთელი კოლხეთიო, - უპასუხა თვალებმა თვალებს.

- ჩემი კოლხეთი მკვდარიაო,- სინანულით გადახედა თვალებმა თვალებს. საყვედურის მთქმელი თვალები შეაგება საირხემ მედეას, -

- შენ კოლხი ხარო და ამას, რომც გინდოდეს, ვერასგზით ვერ შეცვლიო.

- მაშ, სადაა მამა ჩემი, ან დედა ჩემი, ან და-ძმა ჩემი? მე ხომ ყველანი ერთდროულად დავკარგე, ჩემი ნებით, თუ გარემოების გამო, ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. შვილებიც კი, - ცრემლმა დაფარა თვალთა სიმეტყველე.

საირხეს თვალებმა ანუგეშა - წარბები ასწია სიმღერის ნიშნად და ჩაიმღერა კოლხური ჰანგი:

*- მზე დედაა ჩემი,*
*მთვარე მამა ჩემი,*
*მოციმციმე ვარსკვლავები*
*და და ძმაა ჩემი.*

მერე მედეამ ხმამაღლა უთხრა საირხეს, -

- ეჰ, ჩემო კეთილო საირხე, კარგია, ყველაფერი რომ გამახსენე, მაგრამ რაღასთვის? რას მარგებს მე კოლხეთი და კოლხეთს რას ვარგებ მე. ჩვენ ერთმანეთი უკვე გავწირეთ - მე ჩემი თავისუფლებისათვის, მან - საკუთარი თავმოყვარეობისათვის. ასე რომ, დაგვიანდა შენი სტუმრობა ჩემთან, ვეღარაფერს შეცვლი, და მიტომ.

თვალებში ჩახედა საირხემ მედეას, სცადა გადაერწმუნებინა იგი, მედეამ კი უთხრა, -

- აქ მარხილში მკვდარ შვილებს მივასვენებ იქ, სადაც ამ ცხედრებით დავამარცხებ ელადელებს არათუ ბრძოლით, მხოლოდ ჩემი გლოვით. ვერ გაუძლებენ ელადელები ამ სამზერალს, თვალები დაეწვებათ და თავიანთ შვილებს დაწყევლიან.

- ნუ იზამ ამას, - თვალებით თხოვა საირხემ, - ამაღლდი საკუთარ გრძნობებზე.

ვერ გაიგო მედეამ, რა თხოვა საირხემ, რადგან სულით ხორცამდე გაბრჯნილი იყო შურისძიების ცხოველი წყურვებით. არც ამაღლებულა საკუთარ გრძნობებზე მაღლა, მაგრამ შერცხვა კი რაღაც და ისიც საირხეს წინაშე და საირხესავე გამო და თავი დაუხარა სინანულით. ისევ თვალებით უთხრა მედეამ, –

- შენ ძლიერი დედა იყავი, შენგან ვისწავლე შვილებისთვის ბრძოლა. შენ ძლიერი იყავი, მე კი ლამაზი. არადა შენ ლამაზი ხარ, მე კი ძლიერი.

თვალებით უამბო საირხემ იგავი, -

- ერთი კაცი ცხოვრობდა სოფელში. მგელთან მეგობრობდა ეს კაციო. ღამ-ღამობით შეჯდებოდა იგი ამ მგელზე და დათარეშობდა სოფელ-სოფელო. მერე ვიღაც გულღვანმა კაცმა ეს მგელი მოკლა, კოჭები დააჭრა და სახლში წაიღო, ვინმემ არ გააცოცხლოსო მგელი. დაღონებულა ეს კაცი, შავი ნაბადი მოუხურავს და მესეფობის დროს ასე გამოუდენია საქონელი მდინარის გაღმიდან. დაუსწრია მას თეთრად გამოწყობილი ქალებისთვის საქონლის გამოდენა. იმ წელიწადს ისეთი ძლიერი თოვლიანი ზამთარი ყოფილა, რომ გაუწყვეტია სოფელი. იმ თეთრად გამოწყობილ ქალებს რომ გამოედენათ, ყველა გადარჩებოდა და ზამთარიც თბილი და უწყინარი იქნებოდა. იარა ამ კაცმა უკაცურ ქვეყანაში და ერთგან ეზო უნახავს, ირმის რქებით რომ იყო შემოღობილი, ჯიხვის რქებით დაწნული ჭიშკარი ეკიდა. შევიდა ამ ეზოში და იქ დაუხვდა ხორცშესხმულ ორეულად გარდასახული გამგელებული ზიზილი. აღარ შერჩა ამ ზიზილს აღარავინ და თვით საკუთარი თავი ჩაამწყვდია საკუთარსავე ნამოქმედარში. მერმე ამ გამგელებულმა ზიზილმა ეს კაცი შეჭამა. ასეა, საკუთარი დარდი შეგჭამს საბოლოოდ, ჯერ ხომ სხვებს იმსხვერპლებ, მერე როცა აღარაფერი დარჩება, მაშინ იმაზე მეტად დაგამწუხრებს იგი, ვიდრე დღეს ხარო.

მწარედ გაეღიმა მედეას, ყური არ დაუგდო საირხეს, მხოლოდ მოისმინა მისი თვალების ნათქვამი. ხმამაღლა უთხრა მედეამ საირხეს, -

- იმ წელიწადსაც ნაბდიანი კაცი გამოვიდა ზღვიდან მესეფობისას. ჩოხა–დამპალა იმ თვეში, ისეთი წვიმები წამოსულა. ლაშამ მიამბო ეს ამბავი ბავშვობისას, მე კარგად დავიხსომე, მას კი დაავიწყდა. რომ წამოვიზარდეთ, მსხვერპლად შეწირვია ვაშას. შემებრალა ლაშა, ჩემი კეთილი მეგობარი, რომელმაც ეს სევდიანი ამბავი მიამბო იმიტომ, რომ თვითონ დავიწყებოდა, მე კი მხსომებოდა, როგორც მისი სახსოვარი.

- რა იყოო ეს ამბავი? - უკითხავს საირხეს თვალებს.

- ბედგაუტეხელი ციხის რაინდი იყო ლაშა. იმ წელიწადს, ნაბდიანი კაცი რომ გამოვიდა ზღვიდან, მტერი შემოესია ციხეს, ბედის გატეხვა ნდომიათ თურმე. მარტო ყოფილა რაინდი ციხეში. დამხმარე არავინ ჰყოლია თურმე. ციხის ქონგურებზე არწივები ისხდნენ, თვითონ ლაშა კი ძვალმაგარას კოშკში გამაგრებულა, მტერი კი უტევდა, ალყა შემოარტყა ციხეს. ბედი სასწორზე შეუდვიათ და ის-ის იყო, უნდა გაეტეხათ და მთელი ცხოვრებაც ამით დამთავრებულიყო, რომ თავშესაფარი დაუტოვებია ლაშას. ვაჟკაცი იყო ლაშა!!! ციხიდან გასულა და მტრის ბანაკში მისულა. მხედართმთავრისთვის მოუხსენებიათ ბედგაუტეხელი ციხის მცველი გვნებდებაო, შემოიხმეთ, სიტყვა აქვს თქვენთვის სათქმელიო. შეუხმია თავისთან ლაშა. ღამე ყოფილა თურმე და ჩირაღდნების შუქზე ელავდა ლაშას მგელივით ანთებული თვალები. შეუხედავს მისთვის მხედართმთავარს და უფიქრია - ეს ის კაცი არაა, ციხეს რომ უბრძოლველად დათმობსო. მერე უკითხავს - რისთვის მეწვიეო. ეს იცოდეო, - უთხრობია ლაშას, - ბედგაუტეხელი ციხე ისევე არ გატყდება ცეცხლსა და წყალში, ჰაერსა და მიწაში, როგორც მე არ გავტყდები და წარბიც არ შემითამაშდებაო. ესა თქვა და ანთებულ ჩირაღდანს შეუშვირა მუშტად შეკრული მარჯი. ლაშა იდგა მტკიცედ და შეურყევლად, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე ეწვოდა ხელი. სანთელივით დაიღვენთა ჯერ კანი, მერე აშიშინდა სისხლიანი ხორცი, ზეზეულად შეიწვა იგი, შეიწვა და დაიწვა, დანახშირა ბოლოს, ძვალზე გადავიდა ცეცხლი, მუშტი კი მოღერილი ჰქონდა და წარბიც არ შეტოკებია ლაშას. თვალებში უყურებდა მტერს და თვალები დაუწვა მტერს, ისე დაუწვა, რომ ვეღარ გაუძლო ლაშას მომზირალმა ურიცხვი ლაშქრის მხედართმთავარმა ამ სანახაობას, ერთიანად დაიკრუნჩხა, იფიქრებდი, რომ ცეცხლი ლაშას კი არა, მას წვავსო, დათრგუნულმა მხედართმთავარმა ბედგაუტეხელ ციხეს მოხსნა ალყა და შორს გადაიკარგა. ლაშამ თავისი ხელის სიმაგრით ბედი არ გაატეხვინა მტერს. თავის ხელში იყო გამაგრებული ბედგაუტეხელობა. მტერმა არათუ შეიცნო ლაშას ვაჟკაცობა, მან საკუთარ სხეულში შეიგრძნო ლაშათი ბედგაუტეხელი ციხის სიმაგრე. მისი ხელი წრფელი იყო და გულიც სპეტაკი. მერე იყო და მიამბო მან ეს ამბავი და შემასწავლა თვალებით მტრის განგმირვა, თვითონ კი დავიწყებია თავისი თავგადასავალიც და თავისი ძლევამოსილებაც. ძვალმაგარას კოშკი ლაშას მსგავსი რაინდების მაგარი ძვლებით ყოფილა ნაგები - ღერძი ბედგაუტეხელობის. მე მენანება ლაშა, ვაშას სამსხვერპლოზე შემდგარი. ბნელ ღამით ანგელოზებმა აიტაცეს მსხვერპლად შეწირული ყმაწვილი. მერე ხშირად ვნახულობდი ლაშას სიზმრებში თავისი დანახშირებული და ძვალმაგრად ნაქცევი დანახშირებული მუშტით, ხანაც ამ მარჯზე ცეცხლწაკიდებული გამარჯვებით მესაუბრებოდა ათას რამეზე. არგოზე რომ ვიყავი, კოლხეთის სანაპიროების ხსოვნა ისევ ბედგაუტეხელმა ციხემ განასახიერა, რადგან ყველაზე ბოლოს მას შევხედე. ნისლით არ იყო შემოსილი, მაგრამ დაღვრემილი და სევდიანი მეჩვენა ის. ნეტავ როგორაა ახლა?- იკითხა მედეამ.

- ლაშა იყო იმ მოთვინიერებული მგლის პატრონი, საკუთარმა სისასტიკემ რომ დაღუპა. სადაც მოვიცვლი რქებს, იქ ხე ამოდის, რომელსაც სახელი არა აქვს, არც რაიმე ფოთოლი და ნაყოფი ხარობს მასზე, მაგრამ ჩემი რქის ხე ნატვრის მომტანია, იგი ყოველთვის შეფოთლილია ადამიანთა ნატვრის ფოთლებით. ერთი რქა მაქვს ცხოველსმყოფელი, რომელიც არასოდეს არ იცვლება. იგი ლაშას ბედივით ჩემი თანამდევია, რადგან იგი ბედგაუტეხელი ციხის მცველი და ძვალმაგარას კოშკის საძირკველი იყო. თავით ვატარებ მესამე რქად ცხოველმყოფელ ჯვარს და იგი შენამდე უნდა მომეტანა, რადგან ბედგაუტეხელობა მე ვზიდე საკუთარ თავში დამახვილებული ძვალმაგარას კოშკის მახვილით. მგლის ძალამაც, ბედის სიმრთელემაც, ძვლის სიმაგრემაც, ლაშას რაინდობამაც ჩემში მოიყარა თავი, რადგან ჩემი რქებიდან ირგვება ნატვრის ხეები და მესამე რქის უკვდავება შენ უნდა გადმოგცეო, - თვალებით უთხრა საირხემ.

- შენ რატომ ზიდავ ბედგაუტეხელობას, განა რა იქნა ბედგაუტეხელი ციხეო? - თვალებით ჰკითხა მედეამ საირხეს.

დანანებით დახარა თვალები საირხემ, მერე კი ისევ ჩახედა თვალებში მედეას და უპასუხა, -

- შენმა წყევლამ უწია ბედგაუტეხელ ციხესო. ის დაიქცაო, შენ რომ გაშორდი კოლხეთის ნაპირებსო. ნანგრევებში მე მოვყევი და არ დავამსხვრიე ბოლომდე ბედგაუტეხელობა და მე ვიტვირთე ამიტომ მისი ზიდვაო. დაილეწა ძვალმაგარას კოშკის ძვალთა სიმაგრე. მხოლოდღა ხომლის მთა გადარჩა, მაგრამ გადატეხილი ხერხემალივით, და იგი ოთხთა ქართა სამბრძანებლოა ახლა. იქ დალი ნადირობს კლდე-დედა მზეჭაბუკისა. მონადირეები ლოცულობენ დარში დალზე და მთათა გამოძახილი ექოდ პასუხობს მონადირეებს თავიანთ ნალოცვარებს - „ოოო, დიდება მოგვსვლოდეს, მადლი მოგვსვლოდეს, დალ იეშხვამისას დიდება, დალო იეშხვამისაო, შენი ტრაბლას აღების დრო გვაქვს, კარგ გულზე გვამყოფე ჩვენი საძმო, ლიჟუალ საღამოს კარგ გულზე შეგვყარე ერთმანეთს, ადამიანის სულის სამშვიდობოდ გიძღვნით ადამიანის ლოცვას“. დალიც შეყრის ოთხთა ქართა და შეისმენს ლოცვებს. დალის თავშესაფარიც ბედგაუტეხელი ციხის შემდეგ ხომლის მღვიმეებია. ექოს მიაქვს ადამიანთა ნალოცვარები ღვთაებამდე, ესაა რომ ხანდისხან და უფრო მეტად ექო არ აღწევს დალამდე, დილამდე კი ლოცულობენ მონადირენი. ვიდრემდის ბედგაუტეხელი ციხე ძვალმაგარას გოდოლით მტკიცედ იდგა, ადამიანთა ბედიც არ გატეხილა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალაო.

დაღონდა მედეა საირხეს მოტანილი ამბების შეგრძნების შემდეგ. სრულად გაისიგრძეგანა თავისი წინდაუხედაობით გამოწვეული შედეგის სიმძიმე. ერთიანად ააფორიაქა ბედგაუტეხელი ციხის დაღუპვამ. ერთხანს იფიქრა - ყველაფერს დავთმობ და შინ დავბრუნდებიო, სულმა წასძლია, და მიტომ. მერე ისევ თავისი სატირალი გაახსენდა და ისევ პირქუშ მედეად გადაიქცა. აღარ შებრალებია კოლხეთი, რადგან გულჩვილობის სისუსტის გამოვლენისას წაუხდებოდა განზრახვა შურისძიების. მაინც იკითხა ყასიდად მედეას თვალებმა, -

- ჩემთან რატომ მოდიო, მე რას მთხოვო, ბედგაუტეხელ ციხეს მე ხომ ვერ აღვადგენო, ან როგორ, ან თუ რატომაო?

საირხე აღარ ხედავდა მედეას, მხოლოდ უყურებდა მას და ეუბნებოდა, -

- შენმა წყევლამ უწია კოლხურ ბედგაუტეხელობასო და შენ უნდა ზიდო მისი მართალი ტვირთიო. მე შენამდე მოვიტანე იგი, რათა ერთმანეთს სჭირდებით თქვენ. აქ ეული ხარ და ყოველთვის ეული იქნებიო. შინ დაბრუნება, ბედგაუტეხელობის ტვირთი და საზიდარიაო. დამბადებელი შეგიფარებს და შეგიწყნარებს. შენს ყველა ტკივილს გიკურნებს და აღარ იგრძნობ თავს გაუცხოებულად. სისხლის ყივილი გიხმობს, მედეა!.

- მართალი ხარო, საირხევ, - უპასუხა მედეას თვალებმა,- სისხლის ყივილი მიხმობს პირველყოვლისა შურისძიებისათვის. მარხილში მკვდარი შვილებიაო.

## მეათე სათქმელი: საღვთო ჯოგი

მკვდარი შვილების ხსენებაზე საირხემ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მედეას და მედეამ ბევრი რამ ამოიკითხა საირხეს თვალებში ისეთი, რისი თქმაც ენას არ შეუძლია და უძლურიცაა აღწეროს. ერთ შემოხედვაში ჩაატია საირხემ ყველაფერი ის, რისი სრული გააზრება და გახსენება მედეას კარგა ხანი დასჭირდა. და ამოიკითხა აი, ეს:

საირხე თავდაპირველად ირემი ყოფილა თურმე ლამაზი თვალებითა და ცას აწვდენილი რქებით. იგი ფური იყო და მიტომ იყო ასეოდენ მიმზიდველი. ამბობენ, იგი თეთრი გიორგის ტაძარბელლების ჯოგში შედიოდა. ისიც თქმულა, რომ თვით თეთრი გიორგი მოდენიდა ამ ჯოგიდან რომელიმე მათგანს თავის ერთ-ერთ ბელელში შესაწირად და გაუშვებდა მას სალოცავის გალავანში და დაიწყებდა ცოხნას. ნაცოხრაობასეწირებოდა დამბადებელს: ხალხი თვალს ადევნებდა სამსხვერპლოდ სანამდის დაინაცოხრებდა, მერე კი დაკლავდნენ თეთრი გიორგის სახელობაზე. ასე გრძელდებოდა ჟამით ჟამამდის. მონადირეებიც ერიდებოდნენ ამ ჯოგიდან ირმის მოკვლას, თეთრი გიორგისა და დალის რისხვა არ აგვცდებაო. მსხვერპლად შეწირულთა რქები იქვე ტაძარ-ბელლის გალავნის ეზოში ესვენებოდა დიდის პატივითა და რიდით. ჩვეულებრივი ირმებისგან ეს ირმები იმით განსხვავდებოდნენ, რომ დედალ-მამლის განურჩევლად ყველას ამოდიოდა რქები და განსხვავდებოდნენ იმითაც, რომ ეს რქები ცად იზიდებოდნენ როგორც ალვა. დედალ-მამლის გარჩევა რქათა მოყვანილობითაც შეიძლებოდა - ფურის რქები განში იტოტებოდნენ და ხრმალივით ორლესული იყო, ხარების რქები კი ვაზის რქებსავით დაგრეხილიყო და ცამდის ადიოდა თავისი განტოტვებითაც. ისინი ბლაგვი იყო და ბოლო წვეროები წაწვეტილი. ამბობდნენ ცარგვალად მეგზური ქუდ-ბედიანის ხე ამოვა და ყველანი ღმერთამდის წავალთო.

ამ ჯოგიდან ნებისმიერი ირმის ნახტომი რძის ნაკვალევს ტოვებდა და შეურქმევიათ რძის გზა, ხარს რომ გაუვლია ამ გზაზე ხარის ნაჭლიკარად გადარქმეულა ირმის ნახტომი. ცის კიდიდან ცის კიდემდის გადამხტარა გიორგისეული ირემი და მთიების უსაზღვროება შემოურკალავს და განუსაზღვრია ხომლთა თვალსაწიერსა და თვალსაწიერის მიღმა უსასრულობის ფარგლები. მთვარემ ნათელმოსილი გახადა მისი რქები, მზემ ოქროს ნაპერწკლებად აქცია ნახტომით შემოფარგლული მისი ნაჩლიქარის ასხლეტილი მოსმა და მისი ჰაეროვნება ბრჭყვიალებით გაასპეტაკა. ირმის ნახტომში ამბობდნენ - „ლამარიას თვეს ამომასწარი და ჯგირაგის თვეს ჩამომასწარიო“. როცა ღრუბელი დაფარავდა ცარგვალს და ბინდი გაწვიმებამდე გადაეკვრებოდა ცისქვეშეთის დღისწულს, გასაოცარი დასანახი იყო ირმების გუნდი სერზე მოხტუნავე, წყალმოწყურებულნი. წვიმაში კი თავებს მაღლა ასწევდნენ და ციურ ნამს სვამდნენ, მერე გამოდარებულზე ქორფა ბალახით იგემრიელებდნენ პირს. ყველა ირემს ჰკიდებდა პირს მგელი, გარდა ამ საღვთო ირმების ჯოგისა. ღამითაც საღვთო სიმშვიდით ეძინათ და გაფანტულიყო მათგან დაძაბულობა თვითგადარჩენის. ამიტომ მათი სხეულები ერთი ერთმანეთზე მშვენიერი იყო. ისინი ნებივრობდნენ ბუნებაში ისეთი წარმტაცებით, როგორადაც არ ნებივრობდა სხვა არც ერთი ცხოველი დედამიწაზე გაჩენილი, რამეთუ თეთრი გიორგის სახელზე კურთხეულიყვნენ. ისინი მადლს სწირავდნენ გამჩენს და რიგრიგობით თვითონვე ეწირებოდნენ ღვთაებას ისე, რომ ჯგრაგს აღარ სჭირდებოდა მათი სალოცავში მოდენა. რომელი ირმის ჯერიც იყო, ის განტოტვილ რქებზე სანთლებდანთილი, თავაღერილი, თავისუფალი ნებით მიდიოდა დათქმულ დროს ტაძარ-ბელელში. ეს სანთლები ციდან დაფიფქულ კვეს-ნაპერწკლებს ჰგავდა, ღამეში კი მთელი თავისი მისტიური დიდებულებით წარსდგებოდა მლოცველების წინაშე. ხელი უთრთოდა ყასაბს და ამიტომ მხოლოდ თეთრი გიორგის მახვილი ლახვრავდა მსხვერპლად შეწირულს. მსხვერპლ-შეწირვის შემდეგ სანთლები უჩინარდებოდა, მაგრამ არ ქრებოდა თვით რქების ზღაპრული მომხიბლაობა. ამიტომ იყო, რომ სანატრიონი ამ რქების ხეებზე აღმოცენდა.

არავინ იცოდა, ვინ ამაგრებდა სანთლებს ირმების რქებზე, ან ვინ ანთებდა მათ და ეს იმ დროიდან, როცა კაცმა და კაცის შვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა იყო ცეცხლი. ერთნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სანთლებს თვით თეთრი გიორგი ანთებდა, მეორეთ სჯეროდათ, რომ ისინი თავისით ინთებოდა, მესამეთ მიაჩნდათ, რომ ყველაფერ ამას თავისი დიდებულებით თვითშეწირული ირემი აკეთებდა და როგორ, ეს კი ვერ აეხსნათ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48,49,50, 51,52,53



**ისევე, როგორც ჩვენი სიწმინდეები, ტრადიციები, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიაც არ ასვენებს მავანს და ცდილობს ათასი უნიჭო აბდაუბდა მოახვიოს თავს ჩვენს საზოგადოებას.**

**წინა ნომრებში პასუხი გავეცით „ქართლის დედის", „ვეფხისტყაოსნის" შეურაცხმყოფლებს. დღევანდელ ნომერში კი გვსურს ნათელი მოვფინოთ მეფე ერეკლე მეორის ირგვლივ ქართულ პუბლიცისტიკაში შექმნილ წიგნთაგან ერთს, ისტორიის დამახინჯების სამარცხვინო მცდელობას.**

**ამ საკითხში კი ჩვენი გაზეთის მეგობარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ელანიძე დაგვეხმარა, რომლის საინტერესო პუბლიკაციასაც ქვემოთ გთავაზობთ.**

# დიახ, ერეკლე მეორე ძლიერი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი იყო!

თავიდანვე გარკვევით ვთქვათ, რომ დღეს ჩვენ მკითხველთან ერთად 1999 წელს საქართველოში რ. ბურჭულაძის ავტორობით გამოცემულ „ისტორიულ კალენდარს" ვკითხულობთ, და მკითხველთან ერთად ვარკვევთ თუ სად მოხდა ავტორის მიერ ისტორიის უხეში დამახინჯება, და საერთოდ, რამდენ კითხვის ნიშანს ვუტოვებთ ასეთი გამოცემებით შთამომავლობას.

დავიწყებ ნაბიჯ-ნაბიჯ, ანალიზით, რათა მკითხველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას ხსენებული გამოცემის ირგვლივ.

კალენდარს თავფურცელზე აწერია „ეს ყველამ უნდა იცოდეს" და იქვე მკითხველს სთავაზობს ი. ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებულიდან" მოტანილ ამონაწერს: „მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით, გეტყვით გულის გასათბობსა, — ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა..."

შემდგომში კალენდარის ავტორ-შემდგენელი იწყებს საქართველოს ისტორიის თხრობას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ქართველი ერის ამ უზარმაზარი ისტორიიდან ავტორი ეხება უმთავრესს და ძირითადს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელი და მოსაწონია, თუ კილა ყოველივე რიგზე იქნებოდა გაკეთებული და თანაც ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. ავტორის მიზანი და სურვილი სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას ისახავს. მაგრამ მას ამ საშვილიშვილო და დიდად ეროვნული საქმისათვის სათანადოდ ვერ გაურთმევია თავი, ბევრი რამ შეცდომით და დამახინჯებულადაა წარმოდგენილი, და ეს მომეტებულად ვლინდება კახეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების მიმართ შემოთავაზებულ მსჯელობებსა და დასკვნებში.

დღეს ჩვენ უადგილოდ, ღია კარის მტვრევად და ყოვლად ზედმეტად მიგვაჩნია ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ვიპაექროთ დიდი ერეკლე მეფე — სარდლის საყოველთაოდ გახმაურებულ და მრავალგზის აღიარებულ ბრძნულ და შორსმჭვრეტელ საგარეო პოლიტიკაზე,მოქნილ დიპლომატიაზე და სახელოვან ერისკაცობაზე, გმირობა — ვაჟკაცობაზე და მის ლეგენდარულ ომებსა და ბრძოლებზე. მაგრამ რა ვუყოთ და როგორ დავტოვოთ უპასუხოდ საამაყო წინაპრის შესახებ გამოთქმული ის შემზარავი მსჯელობა-შეფასებანი, რაც რ. ბურჭულაძის კალენდარში გვხვდება?!

რ. ბურჭულაძეს ერეკლე II-ის მიერ წარმოებული სამხედრო მოღვაწეობისა და საგარეო პოლიტიკის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული დადებითი შეფასება გადაჭარბებულად მიაჩნია და გადაუწყვეტია მოახდინოს მათი „გადაფასება" და მკითხველს დაანახოს „რეალური", „ჭეშმარიტი" და „გაუზვიადებელი" მეფე-სარდლის ნამდვილი სახე. აღნიშნულ პოზიციაზე მდგარი მკვლევარი არაფერს ერიდება და „მართლის თქმის" პლატფორმიდან შემდეგს აცხადებს: „ერეკლე II-ის მეფობის მიმართ არსებული თვალსაზრისი შემუშავებულია იმ ძალის იდეოლოგიური ზემოქმედებით, რომელ ძალასაც ერეკლე II-ის პოლიტიკამ შესაძლებლობა მისცა, რომ პლაცდარმი გაეჩინა ამიერკავკასიაში. ამიტომ დღეს შეცვლილ პირობებში, საჭირო ხდება ობიექტურად შევხედოთ XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას".

ქართველი ხალხის უსაყვარლესი მეფე-სარდლისადმი წაყენებულ „ბრალდებებიდან" კალენდარის შემდგენელ-გამომცემელი „XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან" დიდ ადგილს უთმობს ქართლ-კახეთის სამეფოების ერთ სამეფოდ გაერთიანების ერეკლესეული ნაღვაწ-ნაფიქრალ-ნაამაგარის „შეფასებას". მკვლევარის მიერ ხსენებული მოვლენის „ობიექტურად შეხედვის" შედეგი ის გახლავთ, რომ იგი ერეკლე მეფეს შეცდომად უთვლის მისი მამის თეიმურაზ II-ის გარდაცვალებისთანავე ქართლის სამეფოს დაკავებას და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებას. ჭეშმარიტი ისტორიის „თავდადებული" მაძიებელი პატარა კახს აღიარებს საქართველოს ბაგრატიონთა ტახტის მიმტაცებლად და ქართლის ტახტის არაკანონიერ მპყრობელად.

ღვაწლმოსილი და ამაგდარი მეფისადმი წაყენებული „ბრალდება" ძირშივე მცდარია, რადგან ქართლ-კახეთის გაერთიანებას ჯერ კიდევ საფუძველი 1744 წელს ჩაეყარა, როცა კახეთში გამეფდა ერეკლე II, ხოლო ქართლში ერეკლე ბატონიშვილის მამა თეიმურაზ II. ქართლში თეიმურაზის გამეფებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი და მათგან ერთ-ერთი ის იყო, რომ თეიმურაზ მეორე ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სიძე იყო. თეიმურაზის მეუღლე თამარ დედოფალი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და თავდადებული მებრძოლი იყო იმისათვის, რომ ქართლი და კახეთი გაერთიანებულიყო და აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილიყო ერთი ძლიერი სახელმწიფო. „ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ანტონ I-მა ქართლ-კახეთის გაერთიანების საქმეში და საერთოდ, ერეკლეს პოლიტიკასა და ქვეყნის მართვაში, ნათლად გამოჩნდება, თუ რა შორსმჭვრეტელური და ბრძნული იყო ეს ნაბიჯი" (მ. სამსონაძე).

ქართლ-კახეთის გაერთიანებისათვის თავდადებულად მებრძოლნი და დაუოკებლად მზრუნველნი — ქართლის ბაგრატიონთა დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენლები: თამარ დედოფალი, ვახტანგ VI-ის ქალიშვილი და თეიმურაზ იესეს ძე (ანტონ I), „ძე მეფისა იესესი" არიან ჩვენი ერის საამაყო მამულიშვილები, რომლებიც მაშინაც და ახლაც განასახიერებენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველობას, რომლებიც შორსმჭვრეტელ და უნიჭიერეს პოლიტიკოსს დიდ ერეკლეს 1762 წელს ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებას, აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ქართველობის ერთ მუშტად შეკვრას შეცდომად კი არ უთვლიან, არამედ ერთ-ერთ გონივრულ და ბრძნულ ნაბიჯად. ეს საკითხი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ, ნათლად, ღრმად და საფუძვლიანად არის გაშუქებული და ყველა სახელოვანი მეცნიერი ბრძენ ერეკლე მეფეს უწონებს ამ დიდად საჭირო ისტორიულ გადაწყვეტილებას.

კალენდარის ავტორი ერეკლე მეფეს რასაც უწუნებს და დანაშაულადაც კი უთვლის, მსგავსი და უფრო ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართლის მეფემ ვახტანგ V. საქართველოს გაერთიანების მიზნით ვახტანგ მეფემ 14 წლის არჩილ ბატონიშვილი ჯერ იმერეთში გაამეფა, ხოლო შემდგომ კახეთში, მაგრამ ქვეყნის შიგნით რეაქციონელ თავადაზნაურთა ალვირახსნილობამ და ირან-ოსმალეთის აულაგმავმა წინააღმდეგობებმა ჩაშალა ეს უდიდესი ეროვნული მიზანდასახულობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ V-სა და არჩილ II-ის მოხსენიებული თავდაუზოგავი ბრძოლა შეფასებულია პროგრესულ და დიდ მამულიშვილურ მოღვაწეობად, რის შესახებაც კალენდარში ავტორი არაფერს ამბობს, სათანადო პოპულარიზაციას არ უკეთებს ქართლის ბაგრატიონთა აღნიშნულ ბრწყინვალე შრომასაქმიანობას და ერეკლე II-ს ანალოგიური მოღვაწეობისათვის უზომო შეურაცხყოფას აყენებს.

სახელოვანმა მეფე-სარდალმა ქართლ-კახეთის გაერთიანებით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კვლავ გაერთიანებას და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რაც ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება იყო დღიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებულობისა. თითქოს დადგა კიდეც ჟამი ქართველთა დიდი ხნის მოლოდინის აღსრულებისა, როცა 1789 წელს ერეკლე მეფეს დასავლეთ საქართველოდან საერო და სასულიერო პირთა მაღალი დონის დელეგაცია ესტუმრა და იმერეთ-ამერეთის გაერთიანების გეგმა შესთავაზა. მეფემ დარბაზი მოიწვია და სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა აზრთა ჭიდილი. ბოლოს ერეკლე მეფემ სხვადასხვა მიზეზთა გამო უარი თქვა იმერეთ-ამირეთის გაერთიანებაზე და დარბაზმაც შეწყვიტა მუშაობა.

ერეკლე მეფემ საგანგებოდ დასაჯა XVIII ს-ის 60-იან წლებში რუსეთიდან დაბრუნებული ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლები და მათთან გვერდში მდგომი ქართლის ფეოდალური არისტოკრატიის ზოგიერთი რეაქციონელი თავადთაგანი, რომლებიც ცდილობდნენ ერეკლე II-ის ხელისუფლების დამხობას, მეფისა და მთელი მისი ოჯახის დიდიან-პატარიანად გაწყვეტას და ქართლის სამეფოს კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფას. ისტორიული კალენდარის ავტორი ერეკლე მეფეს შეთქმულთა დასჯას დიდ ცოდვად უთვლის და თავგამოდებული მომხრეა ქართლ-კახეთის კვლავ დაშლისა და ქართლის სამეფოს დამოუკიდებლად არსებობისა.

მკვლევარის ამდაგვარი დამოკიდებულება საქართველოს გამაერთიანებელი ერეკლესეული ბრწყინვალე გადაწყვეტილებების მიმართ იმით არის გამოწვეული, რომ მისი ღრმა რწმენით კახეთის მმართველი დინასტიის „ბაგრატიონთა განაყოფად მიჩნევა საკმაოდ გვიანდელი გამონაგონია" და აქედან გამომდინარე, რადგან კახეთის სამეფო დინასტია არავითარ კავშირშია ბაგრატიონთა საგვარეულოსთან, ერეკლე მეფეს ვალდებულად თვლის ქართლის ტახტი დაუბრუნოს ბაგრატიონთა ქართლის შტოს კანონიერ წარმომადგენლებს.

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რაც მკვლევარის ხსენებულ პოზიციას ძირშივე აბათილებს არის ის, რომ კახეთის სამეფო დინასტია ბაგრატიონთა განთქმული საგვარეულოს ყველაზე თავანკარა და წმინდათა-წმინდა წარმომადგენლობაა, ვიდრე ქართლისა და იმერეთის ბაგრატიონთა რომელიმე შტო. კახეთის ბაგრატიონები მოდიან ჯერ კიდევ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მეფე გიორგი VIII-დან, რომელიც კახეთის სამეფო დინასტიას აფუძნებს, როგორც გიორგი I. აბა, სხვას ვის უნდა ჰქონოდა ყველაზე დიდი უფლება და პრეტენზია საქართველოს კვლავ გაერთიანებისათვის ზრუნვისა, თუ არა კახეთის ბაგრატიონებს. სად არის აქ უკანონობა და ვისიმეს ტახტის მიმტაცებლობა?

კალენდარის ავტორი რუსეთისა და ქართ-კახეთის სახელმწიფოებს შორის 1783 წელს დადებულ, ე.წ. „მფარველობით ტრაქტატსაც" ეხება და აღნიშნავს, რომ ერეკლე მეფემ ეს ხელშეკრულება საქართველოს კეთილდღეობისათვის კი არ გააფორმა რუსეთთან, არამედ იმისათვის, რომ მას და მის მემკვიდრეებს ქართლის ტახტის მფლობელობის სრული გარანტია და საიმედო ჯავშანი ჰქონოდათ. ტრაქტატის გაფორმების წინა პერიოდი მართლაც ქმნის ასეთი განცხადების უფლებას, რადგან, როგორც რ. ბურჭულაძე შენიშნავს: „ბაგრატიონთა იმ ნაწილმა, რომელმაც თავიდან აიცილა გარუსება, საქართველოში ჩამოაღწია და ტახტზე თავისი კანონიერი უფლებები განაცხადა. ასეთ პირობებში, ერეკლე II-ეს ესაჭიროებოდა კავშირი რუსეთთან არა ოსმალებისა და ირანის წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს საფრთხეს სულაც არ უქმნიდნენ, არამედ ესაჭიროებოდა მხარდაჭერა ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრეების წინააღმდეგ, რომელთაც მიატოვეს უპერსპექტივო ყოფნა რუსეთში და საქართველოში დაბრუნებას შეეცადნენ." ტრაქტატის დედააზრის თაობაზე მკვლევარი კვლავ აგრძელებს მსჯელობას და ზემოთქმულს უფრო აკონკრეტებს: „როგორც ჩანს, ამ ტრაქტატის პირობების შემუშავების დროს მისთვის მთავარი იყო რუსეთს ეცნო მისი ოჯახის უფლებები სამეფო ტახტზე, მეტი არაფერი".

მკვლევარს ჩვენც ვეთანხმებით, რომ „ტრაქტატის" მეექვსე მუხლში გამოკვეთილად არის აღნიშნული ქართლში და კახეთში ერეკლე მეფისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხელშეუხებლობის შესახებ - „უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა, და სახლისა მისისა მემკვიდრეთა, და მენაცუელეთა, და ტომთა, დაიცავს უცუალებლად სამეფოთა ზედა ქართლისა, და კახეთისათა", მაგრამ რა უფლება გვაქვს „მეგობრობითი პირობის" ეს განაცხადი უმთავრეს ამოცანად ვაღიაროთ, როცა „ტრაქტატის" 13 მუხლი (არტიკული) და 4 საიდუმლო მუხლი (არტიკული) ითვალისწინებს რუსეთისა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოების ორმხრივ ვალდებულებებს, თითოეულ მუხლს თავისი დატვირთვა და შინაარსი აქვთ და ყველა მათგან გამომდინარე უმთავრესი მაინც ის არის, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფო შედის რუსეთის იმპერიის მფარველობაში, ხოლო რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას გარეშე მტრების თავდასხმებისაგან და სხვა მრავალი. თვითონ მე-6 მუხლშიც კი აღნიშნულთან ერთად, რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას სპარსეთისა, ოსმალეთისა და „სხუათა მპყრობელთა" შემოსევებისაგან.

თუ რისთვის გაფორმდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის „მფარველობითი ტრაქტატი" მრავალგზის არის აღნიშნული ჩვენი სახელოვანი მეცნიერების მიერ. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ: „ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწა-წყლისა, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვას კისრულობდა. მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდვია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსმჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველობის გაერთიანებისა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა"

კალენდარის შემდგენელ-გამომცემელი ერეკლე მეფეს იმაშიც სდებს ბრალს, რომ თურმე სწორად ვერ შეაფასა ერეკლემ ტოტლებენის ავანტიურისტული მიზანდასახულობის არსი საქართველოს მიმართ, რამაც მეფეს მისცა იმის საფუძველი, რომ რუსეთს ნდობოდა, მისი მფარველობის იმედი ჰქონოდა და ტრაქტატიც იმიტომ გააფორმა მეფის რუსეთთანო. „ერეკლე II-ის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შეცდომა იქიდან მომდინარეობს, რომ მან ვერ დაინახა კანონზომიერი კავშირი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსა და ტოტლებენის მოქმედებას შორის და მაინც ეცადა დაედო ცნობილი 1783 წლის ტრაქტატიო".

გმირმა მეფე-სარდალმა იმ მშფოთვარე და ცხელ დღეებშივე ზუსტად და სრულყოფილად შეაფასა გენერალი ტოტლებენის საქმიანობის, მისი ავანტიურიზმის რუსეთის სახელმწიფოდან მომდინარეობის შესახებ, რის გამოც იგი მაშინვე საგანგებოდ ალაგმა, საკადრისად შებოჭა და აიძულა ქართლ-კახეთის სამეფოდან სასწრაფოდ წასულიყო. იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო იქიდან მალევე რუსეთის ხელისუფლებამ უკან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი ხუხოტინი გამოაგზავნა.

დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის მეფეებმა, მამა-შვილმა, თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ, XVIII საუკუნის 40-50-იან წლებშივე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ყველა სფეროში და ამიერკავკასიაში თითქმის უცილობლად ითვლებოდნენ უპირველეს მეფე-სარდლებად. განჯის, ერევნის და ნახჭევანის სახანოები ქართლ-კახეთის სამეფოების მოხარკენი შეიქმნენ და თანდათან უფრო ძლიერდებოდა ორივე სამეფო და აღმოსავლეთი საქართველო ამიერკავკასიაში პირველობდა სამხედრო-პოლიტიკური თუ ქვეყნის აღმშენებლობის თვალსაზრისით. მიუხედავად ხსენებული წარმატებებისა, თეიმურაზ II და ერეკლე II შესანიშნავად ერკვეოდნენ სამშობლოს შესაძლებლობებში და დაუღალავად ზრუნავდნენ ქართლ-კახეთის დაკავშირებას ერთმორწმუნე რუსეთთან და ევროპის ქვეყნებთან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1752 წელს ქართ-კახეთის მეფეებმა ელჩები გააგზავნეს რუსეთში და ჯარით ან ფულით დახმარება ითხოვეს. იმხანად რუსეთმა ქართლ-კახეთს ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა. 1760 წელს თეიმურაზ მეფე თვითონ წავიდა რუსეთში, მაგრამ ამჯერადაც ქართ-კახეთმა ვერანაირი დახმარება ვერ მიიღო რუსეთისაგან. ერეკლე მეფემ, ახლა უკვე ქართლ-კახეთის მეფემ, 1772-1773 წლებში რუსეთში გააგზავნა საკმაოდ ავტორიტეტული ელჩობა, რომელსაც თან ახლდა თავისი ამალა. ხსენებულმა ელჩობამ რუსეთის სამეფო კარს წარუდგინა ე.წ. „სათხოვრის პუნქტები", რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას და რუსეთისაგან ისეთ დახმარებას, რაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მუდმივად არსებობისა, შემდგომი განვითარებისა და დაუბრკოლებლად წინსვლის მყარ გარანტიას შეუქმნიდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის სამეფო მრავალ ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფოს თხოვნა კვლავ უყურადღებოდ დატოვა და ქვეყნის ელჩობა ხელმოცარული დაბრუნდა სამშობლოში. დრო კი არ ითმენდა და დაუყოვნებლივ მოითხოვდა საქართველოს დაკავშირებას რომელიმე ძლიერ სახელმწიფოსთან. ეს ყოველივე მაშინ ხდება, როცა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გარეგნულად ითვლებოდა ერთ-ერთ ძლიერ და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ. მაგრამ ბრძენმა ერეკლე მეფემ, ყველასაგან განსხვავებით, კარგად იცოდა, რომ თუ თავის ქვეყანას საიმედო და თანაც ძლიერ მოკავშირეს არ მოუძებნიდა, ის ველარ გაუძლებდა დაღესტანიდან დამშეულ და გამძვინვარებულ ლეკთა ურდოების განუწყვეტელ თარეშს და სპარს-ოსმალთა მიერ რამდენჯერმე წილხვედრი „საქართველოების" სრული დაუფლება-დაპატრონებისათვის დაუოკებელ ლტოლვას.

ასეთ ურთულეს ვითარებაში მყოფმა ერეკლე მეფემ 1781 და 1782 წლებში გადაწყვიტა კავშირი დაემყარებინა ევროპის სახელწიფოებთან და მათგან მიეღო საჭირო დახმარება. ერეკლე მეფე ევროპელი ხელმწიფეებისაგან სესხად თხოულობდა ფულად დახმარებას, რომლითაც იგი რამდენიმე პოლკს ევროპულად გაწვრთნიდა და მათი საშუალებით შინაურ და გარეშე მტრებს ალაგმავდა, ქვეყანას საზღვრებს გაუმაგრებდა და სახელმწიფოს შემდგომი წინსვლისათვის სათანადო პირობებს შეუქმნიდა. ერეკლე მეფის ასეთი დამოკიდებულება ევროპისადმი იმ დაუოკებელი სურვილის განხორციელებისათვის იყო განკუთვნილი, რაც თავის დროზე კარგად შენიშნა საქართველოში მყოფმა რუსმა პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა და თქვა კიდეც მეფის ამ განზრახვისა და სურვილის შესახებ: „ერეკლე მეფე ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენო".

ერეკლე მეფის ლტოლვა ევროპისაკენ მარცხით დამთავრდა. ვერა და ვერ მოხერხდა ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან დაკავშირება. მაშინ ევროპამ საქართველოსთვის ვერ მოიცალა. ასეთ ვითარებაში მყოფი ერეკლე მეფის კარზე სტუმრობას მოუხშირეს რუსმა მოხელეებმა, მოგზაურებმა, ვაჭრებმა, ელჩებმა და სხვადასხვა რანგის პიროვნებებმა, მაგალითად, დოქტორმა იაკობ რაინეგსმა და სხვა. ყველა ესენი რუსეთის ხელისუფლების მიერ იგზავნებოდნენ, მაგრამ ისე გასაიდუმლოებულად და კონსპირაციულად, რომ ეს ყოველივე ერეკლეს და მის გარემოცვას არ უნდა სცოდნოდათ. რუსეთიდან შემოგზავნილნი „ურჩევდნენ ერეკლეს ეთხოვნა რუსეთის ხელმწიფის მფარველობა. აიმედებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით საქართველო ყველა სიძნელეს ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა".

აი მკითხველო, როგორ ურთულეს ვითარებაში ხდება 1783 წლის ტრაქტატის გაფორმება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის. ისმება კითხვა, ჰქონდა კი სხვა გზა და საშუალება გმირ მეფეს რათა უარი ეთქვა რუსეთთან სამფარველო ხელშეკრულების დადებაზე და სხვა რომელიმე ქვეყანა გამოენახა ამ საქმისათვის? როგორც ითქვა, ევროპას მაშინ ჩვენი დახმარება არც შეეძლო და საქართველოს ღირსებას, მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას როგორც სინამდვილიდან ჩანს, ის ვერც აფასებდა, როგორც დღეს. რჩებოდა სპარსეთი და თურქეთი. მათ მიერ ჩვენი ქვეყნისადმი საუკუნეების მანძილზე თავს დატეხილი ურიცხვი უბედურება და საქართველოსათვის მრავალგზის მიყენებული განუკურნებელ-მოუშუშებელი ჭრილობები სამართლიანად ზარავდა ერეკლე მეფეს, მის თანაგუნდელთ, საღად მოაზროვნე მამულიშვილთა ათასეულებს და არც კი უფიქრიათ მათთან სამშობლოს თაობაზე რაიმე დამაიმედებელი ურთიერთობის დამყარების შესახებ. საკუთარ ძალებს დაყრდნობოდნენ და არავისთან მფარველობა-მოკავშირეობაზე არ ეფიქრათ. სწორედ ეს იქნებოდა ჩვენი იმდროინდელი წინაპრებისათვის პოლიტიკური სიბეცე და თავისი ქვეყნის ლიკვიდაცია-დამხობა-მოსპობისათვის ნოყიერი ნიადაგის შექმნა. მაშინდელი ქართლ-კახეთის მოსახლეობა სულ რაღაც 200-250 ათას სულს ძლივს ითვლიდა და მათგან



მეფეს განა რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა, რომ სათანადოდ გამკლავებოდა შინაურ და გარეშე მტერს და საიმედოდ დაეცვა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა და მისი დამოუკიდებლობა. რადგან საკუთარ ძალებზე დაყრდნობით გამორიცხული იყო ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რა თქმა უნდა, ერეკლე მეფეს, მის თანამებრძოლებს და ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს დაუგვიანებლად, გადაუდებლად და რადაც არ უნდა დაჯდომოდათ ქვეყნისათვის მფარველი და საიმედო მოკავშირე უნდა გამოეძებნათ. ასეთ სახელმწიფოდ, რომელიც სპარსეთთან და თურქეთთან შედარებით ნაკლები ბოროტების მომტანი იქნებოდა, საქართველოსათვის რჩებოდა მხოლოდ რუსეთის იმპერია, რადგან მას ქართველთა მსგავსად მართლმადიდებლური სარწმუნოება ჰქონდა, თურქეთ-ირანთან შედარებით ყველა სფეროში საკმაოდ განვითარებული იყო და გააჩნდა ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურასთან მიახლოვებული სწავლა-განათლების სანიმუშო წარმატებები. ერეკლე მეფის მიერ საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირების თაობაზე მსჯელობისას ჩვენი დროის გამოჩენილმა მწერალმა ლადო მრელაშვილმა დიდებულად გაანალიზა ვეებერთელა დატვირთვის მქონე ერეკლესეული გადაწყვეტილებების რაობის საკითხი: „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის ბოლოს, ის აღმოჩნდა გზაჯვარედინზე, სადაც ზღაპრულ ქვასავით იყო ჩასმული წარწერიანი ლოდი. ლოდი სამ გზაზე მიუთითებდა, აქედან ორი ჩვეულებრივ, უეჭველ სიკვდილს იუწყებოდა, მესამე კი ფრიად საჭოჭმანო გახლდათ - აქეთ წახვალ ინანებ, - არ წახვალ, - მაინც ინანებო! და ერეკლემ მესამე გზა აირჩია, რადგან იგი არა მარტო უბადლო მეომარი იყო, არამედ კარგი პოლიტიკოსიც. ეს არჩევანი უმტკივნეულოდ არ მომხდარა. თავისი ხალხის მომავალზე ფიქრმა ბევრი უძილო ღამე ათევინა და, რაკი იცოდა: ზღვაში დასახრჩობად განწირული კაცი გველსაც კი სტაცებს ხელს, ბრძნულად დაასკვნა: ბოროტი კაცი, - უბოროტეს კაცსა სჯობიაო". მწერალი ხსენებულ საკითხზე მსჯელობას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „მას შემდეგ, რაც თურქულმა იატაგანმა ევროპისკენ გასასვლელი ჩახერგა, ორი გზაღა დარჩა ქართველ ხალხს : ან ნამაზის შესასრულებლად, პირქვე დამხობილს, ალაჰისათვის დღეში ხუთჯერ ეჩვენებინა ცისკენ აშვერილი უკანალი, ან საკუთარი ღმერთის წინ მოეყარა მუხლი დროდადრო. ერეკლემ უკანასკნელი აირჩია".

როცა ერეკლე მეფის პიროვნებას ვეხებით და თვითეულ ჩვენთაგანში დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე მის მიერ რუსეთთან წარმოებული საგარეო პოლიტიკა, სამართლიანად გვიჩნდება კითხვა, მართალი იყო თუ არა მეფე ერეკლე ამ არჩევანში? ხსენებული კითხვა მისთვის დამახასიათებელი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ ალბათ, ვიდრე საქართველო იარსებებს, ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება. ამასთანავე, თუ რომელიმე მკვლევარი შეეცდება დამტკიცებას, რომ ერეკლე მეფემ დიდი შეცდომა დაუშვა რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატის დადებით, მანვე უნდა გასცეს პასუხი იმ კითხვასაც, თუ რუსეთის ნაცვლად ირანულ-თურქული ორიენტაცია რა „სიკეთეს" მოუტანდა საქართველოს.

კალენდარის ავტორ-შემდგენელი ზედაპირულ ინტერესს იჩენს ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროინდელი ურთულესი ეპოქის სრულყოფილი გაანალიზების თვალსაზრისით და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეფეტიტანის მოღვაწეობის ირგვლივ სხვადასხვა რანგის „სახელმძღვანელო" დასკვნებს გვთავაზობს. მას ვერ წარმოუდგენია სხვაგვარი შეფასება მოუძებნოს ერეკლე მეფის მიერ არჩეულ რუსულ ორიენტაციას, თუ არა ის „რომ სწორედ მისი პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა". ამავე პოზიციიდან მკვლევარი სხვა ბრალდებასაც უყენებს დიდ წინაპარს და შემდეგ განაცხადს აკეთებს: „მოვლენათა განვითარებამ ერეკლე II-ის მემკვიდრეები მიიყვანა 1801 წლამდე, როდესაც ისინი უკვე თანახმა იყვნენ საქართველოს სამეფო მთლიანად ჩაებარებინათ „რუსთ ხელმწიფისათვის" და სამაგიეროდ რუსეთის შიდა რაიონებში სოფლები მიეღოთ"

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება მეფის რუსეთმა როგორც სამეფო სახლის წევრთა, ისე ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ განახორციელა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შესახებ პავლე I-ისა და ალექსანდრე I-ის მანიფესტები ისე მომზადდა და გამოიცა კიდეც, რომ სანკ-პეტერბურგში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებისათვისაც კი არაფერი უკითხავთ და არც შეუთანხმებიათ. მსგავსად მოიქცა ცარიზმის ხელისუფლება მაშინაც, როცა მოულოდნელად და ელვის სისწრაფით დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა რუსეთში გადასახლება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს „თავისი ნებით რუსეთს წასვლა არცერთ სამეფო სახლის წევრს არ სურდა" და თითოეული მათგანი ყველა ღონეს მიმართავდა, რათა სამშობლოში დარჩენილიყო და როგორმე შეენარჩუნებინა ქართული სახელმწიფოებრიობა. კალენდარის ავტორ-შემდგენელი კი სრულიად საწინააღმდეგოდ მსჯელობს და შეცდომაში შეჰყავს მკითხველი საზოგადოება, რადგან ქართული ისტორიოგრაფია მსგავს არაფერს იცნობს. ჩვენ განცვიფრებულნი ვართ ასე უპასუხისმგებლო განცხადებისათვის, რადგან არ მოიძებნება არც ერთი უფლისწულთაგანი, რომელიც თანახმა ყოფილიყო სახელმწიფოებრიობის ნებაყოფლობით გაუქმებისა.

კალენდარის შემდგენელ-გამომცემელი შემდგომ იწყებს სახელოვანი წინაპრის მხედართმთავრული ნიჭისა და მისი ლეგენდარული ბრძოლების თაობაზე ცინიზმითა და ღვარძლით შეზავებულ მსჯელობას და გულისმოგებით, მტრის გასახარად შემდეგს კადრულობს: „რაც შეეხება ერეკლე II-ის გადახდილ „ას ომს", ეს ყველაფერი მხოლოდ პოეტური გამონაგონია. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ის დამარცხდა ჰაჯი-ჩელებთან, 1795 წელს კი აღა-მაჰმადხანთან. ხოლო შუაში თუ ასპინძის ბრძოლაში გაიმარჯვა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მისი სიძე, რუსეთის კავალერიის ყოფილი ოფიცერი დავით ორბელიანი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ამ ბრძოლაში ერეკლე II-მ ორთაბრძოლაში მოკლა ლეკთა რაზმის ბელადი, ეს განსაკუთრებულ ღირსებას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც XVIII საუკუნის აღმოსავლეთში კარგად იყო ცნობილი ქართველი მეომრის ღირსებანი".

საღად მოაზროვნე ყველა ქართველი და, ალბათ, ძალიან ბევრი, საქართველოში და ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრები არაქართველიც კი, ვინც საკმარისად იცნობს ერეკლე II-ის დროინდელ ეპოქას და იმ ურთულეს ვითარებაში სახელოვანი მხედართმთავრის მუხლჩაუხრელ და თავდადებულ მოღვაწეობას, აღშფოთდება და გაკვირვებით იკითხავს, თუ ვინ არის, ეს რეალური ჭეშმარიტების უსირცხვილოდ უარმყოფელი, რომელიც სამამულო და უცხოელ მეცნიერთა მიერ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ და საყოველთაოდ ცნობილ მხედართმთავრად აღიარებულ ერისკაცს, აუგად მოიხსენიებს და დაუმსახურებლად აყენებს შეურაცხოფას.

განა შეიძლება გმირთა-გმირ ერეკლე მეფეს ხმალი და მარჯვენა დაუწუნო, რითაც დიდი წინაპარი საყოველთაოდ იყო აღიარებული?

პროფესორი მამია დუმბაძე აღნიშნავს: „50-იანი წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა ერეკლე მეორის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. სწორედ ამ დროს დაისტამბა ფრანგ კომერსანტ პეისონელის წიგნი, ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს. გერმანელი მწერლის ლესინგის ერთი დრამიდან ჩანს, რომ გერმანელი მხედრები, რომელნიც სახელის მოხვეჭაზე ოცნებობენ, გერმანიიდან გამოპარვას აპირებდნენ, რომ „პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთხელ მაინც გაელაშქრათ თურქების წინააღმდეგ".

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მოჰყავთ შუშანიკი
ტანჯული, გვემული...
ფოთოლნი ტირიან
ოქროსფერისანი...
ნისლებს ეფარება
ცაი დიდებული,
ქარმა შეარხია
რტოი ძეწნისაი.
მთათა მოიხადეს
გვირგვინნი მეფურნი,
თვალთა სხივი მოწყდა
ელვარებისაი...
ტირიან, მოთქვამენ
„დედანი ზეპურნი".
ტირიან ყვავილნი
ცხარედ ველისანი...
მარტვილს მოაცილებს
ქარი მგლოვიარე,
კრძალვით კარს ულებენ
ძალნი ზეცისანი...
როს, „ვითარცა ცოფი,
ბდღუენდა პიტიახში",
ქარმა გადახარა
რტოი ძეწნისაი...
ილოცვიდეთ ჩემთვის! -
უთხრა მტირალ ხალხსა.
ხენი თავებს ხრიან
ძაძით შენამკობნი -
მოკვდა შუშანიკი
თთუესა სთულისასა
და ცხოვრებას მისას
წერდა იაკობი...

ანა კალანდაძე


„შუშანიკის წამების" წაკითხვის ერთი შესაძლო ცდა

# ჩვენ და ისინი
## ანუ სიყვარულიდან სიყვარულამდე

ადამიანი,
სიცოცხლე,
წუთისოფელი...

წუთისოფელი! უცნაურად უზუსტესი სახელი ადამიანის წილ-კერძი სიცოცხლისა!

„წუთისოფელი რა არი? - აგორებული ქვა არი,
რა წამსაც დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი..."

„ჩვენი მიწიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს და, ამიტომაც, ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და, დღეს თუ ხვალ, მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს" (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II).

„ყველაფერი შედეგით იზომებაო", - თქმულა, არც პროცესია უმნიშვნელო, მით უფრო, რომ იმ პროცესზე ჰკიდია შედეგის ავ-კარგი.

ამ ცოდვა-მადლით სავსე წუთისოფელში უჭირს ადამიანს იყოს ისეთი, როგორიც დამბადებელმა შექმნა. მახსენდება ერთი სასოწარკვეთილი სულის ამოძახილი:

„ღმერთო, ნუთუ, ასეთი ჩაიფიქრე ადამიანი, როდესაც ქმნიდი?!"

ვის არ გვსურს ვიყოთ კარგები, უკეთესები, საუკეთესოები?!

გვიჭირს კი, გვეძნელება კი!

„არა კაც ჰკლა!" - გვასწავლიან და... ჩვენ მაინც ვკლავთ; ვკლავთ ტყვია-წამლით, სიტყვით, უსიტყვოდ, საქმით, უსაქმურობით...

„გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი", - გვითხრეს და ჩვენ...

ჩვენ ვერ მოგვიხერხებია სიყვარული, ერთურთის გატანა, გულითადობა, გულისხმიერება, გულმოდგინება...

გამოსავალი?!

სად არის გამოსავალი?!..

„რე-ლი-გია" ღმერთთან ადამიანის დარღვეული კავშირის აღმდგენი „ბეწვის ხიდი" მგონია - ვის ჩაუტყდება და ვის მიზნამდე ბედნიერად მიიყვანს.

ჩვენი რელიგია სიყვარულია, რადგან სიყვარულია ღმერთი ქრისტიანობისა.

სიყვარული კი ერთგულებით ცხადდება, ზრუნვით ცხადდება, რწმენით ცხადდება; რწმენით იმისა, რომ უკეთურება აუცილებლად დაიძლევა საკუთარ სულში, პირველ-ყოვლისა, აქტიურსიკეთეობის მადლით.

ერთ-ერთი უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება, იაკობ ცურტაველის (ხუცესის) „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი" ის უკვდავი კლასიკაა, რომელიც ყოველთვის, ყოველდროს, ყოველგან „სულისპურად" გაუხდება მკითხველს.

ვახსენოთ ღმერთი და მკითხველის ძნელი სიამოვნება ვიგემოთ ამ უძველეს ძეგლთან შეხვედრით. მთავარი გმირი, შუშანიკი, ისტორიული პირია, სომეხთა მხედართმთავრის, ვარდან მამიკონიანის ასული და ქართლის პიტიახშის, ვარსქენ არშუშას ძის მეუღლე.

შუშანიკსა და ვარსქენს ოთხი შვილი ჰყავდათ, ცხოვრობდნენ დაბა ცურტავში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ქართლი), რომელიც მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ერთ-ერთი ძლიერი საქრისტიანო ცენტრი გახლდათ.

სპარსთა მეფის, პეროზის მეფობის მე-8 (467) წელს ვარსქენ პიტიახში გაემგზავრა ქალაქ კტეზიფონს, „კარად სამეფოდ", სადაც უარყო ქრისტიანობა, მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა, მეორე ცოლად შეირთო სპარსთა მეფის ასული (სომხური ვერსიით - სიდედრი), შემდეგ კი ქართლში დაბრუნდა.

შუშანიკმა როცა შეიტყო ქმრის ღალატი და სარწმუნოების უარყოფა, მაშინვე სახლიდან წავიდა პროტესტის ნიშნად და ეკლესიის მახლობლად მდებარე ერთ სახლაკს შეაფარა თავი.

ცურტავში მოსულმა ვარსქენმა გიგო თუ არა ცოლის განდგომის ამბავი, განრისხდა და შეუთვალა სასახლეში დაბრუნებულიყო, მაგრამ განდგომილი დედოფალი ქმრის რისხვას არ შეუშინდა და უარი შემოუთვალა. ამის გამო, რამდენჯერმე სცემა ცოლს უმოწყალოდ, ფეხშიშველი ათრია ძეძვებზეც კი. როცა მისი ნებისყოფა ვერ გატეხა, დილეგში დაამწყვდია სამუდამოდ.

შუშანიკი ფიზიკურ ტანჯვასა და შეურაცხყოფას მოთმინებით იტანდა, თავს ლოცვით ინუგეშებდა. იმის იმედით, რომ ამქვეყნიური ტანჯვით, საიქიოში მარადიულ ნეტარებას მოიპოვებდა. კითხულობდა სახარებას, „მოწამეთა წიგნებს" და გალობდა ფსალმუნებს, რომელნიც ზეპირად იცოდა. მტკიცე სარწმუნოებრივი ერთგულებით მთელ ქართლში გაითქვა სახელი და ხალხის თანაგრძნობაც მოიპოვა. ექვსი წელი დაჰყო დილეგში პატიმრად და, როცა მე-7 წელი დადგა, 475 წლის 17 ოქტომბერს, ნაგვემნაწამები და ხანგრძლივი მარხულობის გამო განლეული დედოფალი გარდაიცვალა.

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხლამცა ხართ იგიცა და შენცა, უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენადვე მოიქეცინ", - აი, ესაა ის პირველი სიტყვები, შუშანიკ დედოფლისაგან რომ გვესმის ნაწარმოებიდან, - სიტყვები მკაცრი და შეუვალი, უშეღავათო და მრისხანე. ამიტომაც აღარ გვიკვირს, რომ „კაცმან მან (ვარსქენის მსახურმა) ვერ იკადრა სიტყვად მისა".

მეორედ, მკითხველი დედოფალს უაღრესად შეძრწუნებულს ვხედავთ - დავარდნილს „ქუეყანასა ზედა", „ცრემლითა მწარითა" მოსთქვამს ვარსქენის სულიერი დაცემის გამო.

...შემდგომ „აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და, ღმრთის მოშიშებით, ეკლესიად შევიდა", შვილებთან ერთად, სადაც ლოცულობს დაუცადებლად.

და, აი, ერთადერთი შტრიხი, რომელიც შუშანიკის ქალური ბუნების „იწროებას" (სისათუთეს) გამოხატავს, - ეკლესიის მახლობლად „სახლაკი ერთი მცირე" მოიძია, შევიდა შიგ „სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა".

მერმე მოდის უცნაური მწერლური ტალანტით დაღდასმული დიალოგი შუშანიკ დედოფალსა და იაკობ ცურტაველს შორის. ღრმა ქვეტექსტები მოქმედ პირთა სულის მოძრაობას წარმოგვიდგენს. დიალოგის დასასრულს, იაკობ ცურტაველი შეეცდება კიდევ ერთხელ გაუთვალისწინოს ვარსქენის „მწარე გონებისაგან" მოსალოდნელი საშიშროება - „გვემასა და ტანჯვასა დიდსა" შეგამთხვევსო, - ეუბნება დედოფალს.

ეს უკანასკნელი კი ეტყვის, - „უმჯობეის არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა. რამეთუ მასმიეს მე პავლეის მოციქულისაგან - „არა დამონებულ არს ძმა, გინა დაი, არამედ განეყენენ!"

„მე ვთქვი, „ეგრეთ არს", - დასძენს იაკობ ცურტაველი.

საინტერესოა, რომ იმავე პავლე მოციქულთან ასეთ რასმეს ვკითხულობთ:

„დედაკაცი, რომელსაც ურწმუნო ქმარი ჰყავს და სურს მასთან ცხოვრება, ნუ დატოვებს ქმარს, ვინაიდან ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება, სხვანაირად თქვენი შვილებია რა წმინდანი იქნებიან" (1 კორინთელთა მიმართ, თავი 12-14).

მხოლოდ ამ აზრს მოსდევს შუშანიკის მიერ დამოწმებული ზემომოხმობილი ციტატა:

„მაგრამ თუ ურწმუნოს სურს გაყრა, გაეყაროს; ასეთ ვითარებაში ძმა ან და დამონებულნი არ არიან, რამეთუ მშვიდობისაკენ მოგვიწოდა ღმერთმა" (1 კორ., 6-15).

ურწმუნო ვარსქენს რომ არ სურს გაყრა? რატომღა აქტიურობს შუშანიკი?!

ამასვე გვასწავლის უფალი სხვაგანაც, არაერთხელ:

„თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით. შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარლებო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას. ვინაიდან წერია: ჩემია შურისგება და მე მივაგებ"- ამბობს უფალი.

ამიტომ, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე; თუ სწყურია, დაალევინე; რამეთუ, ამის გაკეთებით ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე. არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით (რომაელთა მიმართ, თ.12, 18-21), „ვინაიდან ღმერთი უწესრიგობისა კი არ არის, არამედ - მშვიდობისა" (1 კორინთელთა მიმართ, 15,33).

მაშ, რატომ მიატოვა შუშანიკმა ქმარი და, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ეშმაკთაგან ძლეულ ვარსქენს მორწმუნე მეუღლისაგან სულის კურნება?

რატომ მრისხანებს ეგზომ უსაზღვროდ შუშანიკი?

„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?" - „ჰრქვა... წმიდამან შუშანიკ რისხვით... და განყარნა ხელი და ჭიქა იგი პირსა შეალეწა და ღვინო იგი დაითხია".

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი", - გვასწავლის უფალი.

შუშანიკი არ არის მშვიდი.

როდესაც იაკობ ცურტაველი მალულად იხილავს ნაგვემ შუშანიკს, „დაბძარულსა და განსივებულს", „აღუტევე ხმა და ვტიროდიო", - იტყვის.

პასუხად შუშანიკის მრავლისმეტყველი ხმა გვესმის - „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე". ამის შემდეგ, ხშირად გვეტყვის მოძღვარი თავისი სულიერი შვილის შესახებ, მსგავს ტრაგიკულ შემთხვევებში, - „ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა..."

ხოლო მაშინ, როდესაც შუშანიკს აუწყეს: „შვილნი იგი შენნი მიაქცია მოგობასო", რჯული შეაცვლევინაო შენს შვილებს, წამიერად ისევ „უწინდებური" შუშანიკის მხილველნი ვხდებით:

„იწყო თაყვანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თვისსა ქვე-დამართ სცემდა", მაგრამ ეს მხოლოდ წამიერად. შემდგომ „სულთითქვნა და თქვა: გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტრისათა".

შუშანიკი დედოფალი და შუშანიკი მოწამე - ორი, არსებითად, განსხვავებული მოვლენაა. რამდენადაც უკომპრომისო და შეუვალი, პატივს ჩვეული და მრისხანეა პირველ, იმდენად სულგრძელი და ქრისტიანულად მოყვასია მეორე შემთხვევაში. ალბათ, ამითაც აიხსნება რადიკალურად განსხვავებული რეაქციები ორ, ფაქტობრივად, ერთგვაროვან მოვლენაზე - ქმრისგან რჯულის შეცვლაზე, ერთი მხრივ, და შვილების გამაზდეანებაზე, მეორე მხრივ. თორემ, ხომ არ შეიძლება პირველი მოვლენა უფრო მტკივნეულად განეცადა, ვიდრე მეორე?!

ჩვენი აზრით, აქ უნდა იყოს საძიებო იაკობ ცურტაველის, როგორც ჰაგიოგრაფის მიზანდასახულება - გვიჩვენოს სასწაულმოქმედი ცხოველმყოფელობა ქრისტიანობისა (რელიგიისა, რომელსაც სიყვარულის ღვთაებრივი ძალით ხელეწიფება ადამიანის სულის აღორძინება - ასხივოსნება, ბოროტის დათრგუნვა და კეთილის აღზევება არა მხოლოდ მაკროკოსმოსში, ობიექტურ რეალობაში, არამედ ყველგან და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულში), თუკი თვითონ ადამიანი არ განუდგება ღმერთს და ერთგული იქნება მისი. ეს კი ძვირი ერთგულებაა, რომელიც, არცთუ იშვიათად, ადამიანის სიცოცხლეს ითხოვს მსხვერპლად. რას ვიზამთ, „ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფია", მარადიული სასუფევლის მოსაპოვებლად კი ღირს წუთისოფლის, სატანის საუფლოს გაწირვა.

„ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკვდების... რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკვდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკვდავთა შეჭმა აქავე ამას ცხოვრებასა", - ასე ეტყვის ნაგვემი შუშანიკი იარებზე დასეული მატლის ხილვით შეძრწუნებულ იაკობს. ასე სწამს შუშანიკს, ასე სწამს იაკობ ცურტაველს და სიყვარულის უძლეველობის ამ რწმენით ცდილობს მკითხველიც აღვსებასაც.

ამიტომ დაიწერა, ალბათ, „შუშანიკის წამება" - „ჭირი ქმნის მოთმინებას, მოთმინება - გამოცდილებას, გამოცდილება - იმედს" (რომაელთა მიმართ, 5, 3-4).

პერსონაჟებზე დაკვირვება, აუცილებელი პროცესი ნაწარმოების აღქმა-გააზრებისათვის, მათი (ამ მოქმედ პირთა) ნაწარმოებში პირველი გამოჩენიდან იწყება. მოგვწონს, ან მიუღებელია მათი სიტყვა-მოქმედებანი ჩვენთვის, მკითხველისათვის და ასე, თანდათან იკვეთება ჩვენი წარმოდგენები მათზე. ლიტერატურულ ნაწარმოებთა პერსონაჟების წარმოსახვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა, გასაგები მიზეზების გამო, იმ ერთადერთ სიტყვიერ მინიშნებებს ეძლევათ, რომლებითაც წარმოგვიდგენს ავტორი მათ, ავტორისეული დახასიათების, პერსონაჟთა ურთიერთდახასიათებისა თუ ე.წ. ავტოდახასიათების სახით.

ამ თვალსაზრისით, ჟანრის თავისებურებების გამო, განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ჰაგიოგრაფიაში. აქ მხოლოდ ორი ფერით წამოჩნდება ბოროტება და სიკეთე - შავითა და თეთრით. ამ ჟანრის ნაწარმოებთა პერსონაჟები ან მხოლოდ „კარგები", ან მხოლოდ „ცუდები" შეიძლება იყვნენ. „საშუალო" ან „გარდამავალი" მათ შორის არ არსებობს.

ამ აზრით გამორჩეულად საინტერესოა ე.წ. „მთავარი უარყოფითი პერსონაჟი - ვარსქენ პიტიახში, ძეი არშუშაისი".

„უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისაისა" მუდამ გულს ტკენდა შუშანიკს. მარად ევედრებოდა ღმერთს, ვარსქენისათვის ლოცულობდა, „რათამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებისა ქრისტესსა".

ვარსქენი კი „სამგზის საწყალობელია" და „უბადრუკი", „ყოვლად განწირული", რადგან „ყოვლით კერძოვე თავი თვისი ქრისტეისგან განაგდო". „ძღვნად თავისა თვისსა შესწირვიდაო მტერს", - გვეუბნება იაკობ ხუცესი მასზე.

„მწარე გონება აქვს მას, გვემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს" - უთვალისწინებს ქმრისგან მოსალოდნელ საფრთხეს იაკობი დედოფალს და ჩვენს წარმოდგენაში ახალი შტრიხი ემატება ვარსქენის ხატს.

და, აი, უკვე თავად ის ეცხადება ჩვენს მზერას. მოვუსმინოთ იაკობ ცურტაველს:

„ვითარ აღდგა პიტიახში, გვიწოდა ჩვენ, ხუცესთა და მივედით და სიხარულით შეგვიმთხვინა და გვრქვა ჩვენ: „აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ".

შეივსო სიტყვიერი პორტრეტი რენეგატი პიტიახშისა, მერყევი და გაორებული კაცისა. ჭეშმარიტად, „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა", როგორც მოგვიანებით იტყვის მასზე ავტორი. ალბათ ამიტომაც ირჩევს სატანური აგრესიულობით „გალმათ შეედავოს" მეუღლეს, - „შენ ჩემი ხატი დაამხე" (ხატი - სალოცავი).

ერთში კი მართალია, - „საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წასრულ ხარო, - როცა მომხდარს, ვითარცა ფაქტს დააფიქსირებს. მერეც არაერთხელ შეუთვლის დაჟინებით: „აღდეგ და მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ეგევითარი გონება გიპყრიეს!". მუქარასაც გაურევს:

„უკეთუ არა, თრევით მოგითრიო", „განიწყო გული და იბრდღვენდა მისთვის", „და შემდგომად მოვიდა მგელი იგი" და მგლური საქმე ქმნა: „იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისით დასთრგუნვიდა მას... ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი... და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებლად სახელსდებდა მას".

ტრაპეზის მეორე დღეს, „ვითარცა ცისკარ ოდენ იყო", მსახურს ჰკითხა: „წყლულებისა მისგან ვითარ არს?" რა მოისმინა უნუგეშო: „ვერ განსარინებელ არსო", თავად შევიდა ნაგვემი დედოფლის სანახავად. რა იხილა იგი, „დაუკვირდა (ე.ი. გაუკვირდა) დიდძალი სიმსივნე მისი", თითქოს სხვის ნაავკაცარს უყურებდა... მსახურს უბრძანა, არავინ შეეშვა მის სანახავად და თვით ნადირობად წარვიდა"...

... ვკითხულობთ ამ სისხლითა და ტკივილით გაჯერებულ ფრაზებს და, უნებურად, მეფე აბესალომი გვახსენდება „ეთერიანიდან":

*„ვის გინდათ ქალი ეთერი,*
*მე სანადიროდ მივალო"...*

იქნებ, ორსავ შემთხვევაში ერთგვარ სულის მოძრაობასთან გვაქვს საქმე?

იქნებ, ნადირობა აფორიაქებული სულისათვის თავდახსნის განწირული მცდელობაა, საკუთარი თავის გადარჩენის განწირული მცდელობაა, საკუთარი თავისაგან გაქცევის უიმედო იმედია? თუ... გაკერპებული კაცის გულისგამყინავი ცინიზმი?

იაკობ ცურტაველის, როგორც ავტორის დიდ მწერლურ ღირსებად მიგვაჩნია ფაქტის ამგვარი უკომენტარობა. დაე, იფიქროს მკითხველმა ის, რასაც გული და გონება უკარნახებს, დაე, იფიქროს!

ასევე უკომენტაროდ გვეძლევა ვარსქენის მომდევნო რეპლიკებიც შუშანიკის სადედოფლო სამოს-სამკაულის დაბრუნების შესახებ.

ყველაზე „ძლიერი არგუმენტი", ვარსქენის ხელთ არსებულთაგან, - დედოფლის საწინააღმდეგოდ რომ მოიხმარს, მისი მეუღლეობრივი უფლებებია, შუშანიკთან ურთიერთობაში რომ გააჩნია. ამიტომაც იყენებს ასე ხშირად მას: „გამომეც ცოლი ჩემი! რად განმაშორებ ჩემგან?" - ეუბნება აფოც ეპისკოპოსს. იცის სულმოკლე, უსამართლო პიტიახშმა თავისი უფლებები - „რომელნი ღმერთმან შეაერთა, კაცნი ნუ განაშორებთ", მოვალეობები... მოვალეობები კი უფლებებში არევია და... „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა", გონებადაბნელებულს"...

ვარსქენი უცნაურად სასტიკია და ცინიკოსი: „ჰე, ჰე. განისუენე!" - ეტყვის პასუხად ჯაჭვით დაბორკილ შუშანიკს, როცა ამ უკანასკნელს მოწამის უტეხი რწმენით აღმოხდება - „მე ამას მხიარულ ვარ, რათა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო" („მუნ" - იქ, საიქიოში).

მორიგი წამებიდან მესამე კვირის თავს მცველს დედოფლისას ეკითხება:

„აქამომდე ცოცხალღა არსა საწყალობელი იგი?"

პასუხი უიმედოა და... ვარსქენის ხმა გვესმის ისევ: „ნურარაი გგლიან (ნურაფერი გადარჩებს)! უტე, მოკუდეს!" განა ყველაფრის მიუხედავად, საოცარი არ არის ვარსქენისაგან ისიც, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, „მოციქულნი მიავლინა და ჰრქვა - „ნუ ნება ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად! უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ!"

როცა პასუხად მოისმინა - ჩორს თუ გამგზავნი, „ვინ უწყის თუ კეთილსა რასმე მივემთხვიო, შენგან, ბოროტებისაგან განრიდებულიო", შეფიქრიანდა, - „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოსო" და განზრახვაზე ხელი აიღო.

რა არის ეს?

ბოროტი სურვილი პიტიახშისა, რადაც უნდა დაუჯდეს, „განარიდოს" დედოფალყოფილი ყოველგვარ სიკეთეს თუ... ავადმყოფურად მტანჯველი ეჭვი ცოლის, თუნდაც ცოლყოფილის, შესაძლო გაორგულების გამო?!

ყოველი იმას იმკის, რაც დასთესა; „სულის სიმშვიდის ვერსით მპოვნელია" ვარსქენი - კაცი ღალატიანი და ცრუ, ზნეობრივად ორგემაგე, გაუწონასწორებელი ზნე-ხასიათით, ამპარტავნობითა და გულზვიადობით, დასჯილი ეშმაკის გზაზე მავალს ეშმაკი დასცემს! - ამიტომ არის ის „საბრალობელი", - როგორც არაერთგზის მოიხსენიებს შუშანიკი, - და „უბადო".

ასეთის ხვედრი კი განწირულთა სასჯელია, - ასე გვასწავლის იაკობ ცურტაველი.

და, აი, „გასრულდა ესე ამბავი"(ც)...

შილერი მახსენდება:

„თუ მხატვრულ სამყაროსთან შეხვედრამ მცირედ მაინც არ გაგაუკეთესა, დრო და ენერგია, მას რომ შეალიე, დაკარგულად ჩათვალე"!

„მცირედ მაინც..."

რაგვარ „სულისპურად" ექცევა მკითხველს ძველი ქართული მწერლობის ეს უცნაურად საცნაური ჰაგიოგრაფიული თხზულება, - ბავშვობიდან რომ მოგვყვება და დიდ ლიტერატურასთან მიახლების ერთ-ერთ ბედნიერ შესაძლებლობად არსებობს (ხომ „შუშანიკის წამებით" ვიწყებდით, ოდითგანვე, ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას?!)...

სულაც არ ვაპირებთ პრობლემის გამარტივებას, თუ ვიტყვით, რომ ყოველი არსითი სიყვარულის საზომით იზომ-იწონება, ყოველგვარი პოზიტიურის სასიკეთოდ მამოძრავებელი ღერძი სიყვარულზე გადის, უსიყვარულოდ ჭეშმარიტი ბედნიერება არ არსებობს, - რამეთუ ღმერთი სიყვარულია, ქრისტიანული მსოფლშეგრძნებითა და მსოფლხედვით, რომლის მთავარი „საყრდენი იდეა" ასე ფორმულირდება: „თუ გსურს იყო ბედნიერი, იყავი! ნუ ჩაკლავ შენში ადამიანს, ნუ დაუკარგავ ღმერთს შენ თავს, ნუ მოუკვდები სიყვარულს!

მტერი?

მტერიც გიყვარდეს, რამეთუ დღევანდელი მტერი შენი, ხვალ, ღვთის წყალობით, მოყვასად შეიძლება გექცეს (ადამიანები ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგაც ხომ ჯანმრთელდებიან?!).

ცხადია, არ ვაპირებთ სიყვარულის ფილოსოფიურ თუ რელიგიურ-მეტაფიზიკური არსის წვდომა-ანალიზს. ამგვარი „ინტელექტუალური ოპერაცია" სხვაგვარ სუბიექტურსა და ობიექტურ პირობებს ითხოვს, - ჩვენი ამჟამინდელი მიზანი ვიწროა და დასაზღვრული:

შევეცადოთ და გავათვალსაჩინოვოდ რით „თანაბრობენ სივრცეებში" ერთი მხრივ, „შუშანიკის წამებით" გაცხადებული ადამიანური ყოფა და, მეორე მხრივ, - დღევანდელი არსებობა ჩვენი; სად არის ცოცხალი, მფეთქავი ნერვი „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობისა", ქართული კლასიკური მწერლობა რომ წარმოადგენს?

როგორია „სულთა გადაძახილი საუკუნოვანი დრო-ჟამის მანძილზე? ადამიანი ხომ თავისი არსით (თავისი სულიერი ცხოვრებით) მარადიული, შეუცვლელი „მუდმივობაა" (რაზეც საგულისხმოდ მიანიშნებს ადამიანის სულიერ ფასეულობათა, ინტერესთა უცვლელობა და მისით განპირობებული კულტურის ერთიანობა და უწყვეტობა).

„შუშანიკის წამების" არსებობის მიზეზ-მიზანიც სიყვარულის „შუქჩრდილებით" დასაზღვრული ყოფნის ტრაგიზმით განისაზღვრება... სიყვარული კი, არცთუ იშვიათად, უმკაცრესი მხილებით გამოიხატება, - დაუნდობელი, უშეღავათო თვითგვემით გამოიხატება; სისასტიკის ზღვრამდე მისული ზნეობრივი უკომპრომისობით, სულიერი პურიტანობით გამოიხატება!

- არც გასაკვირია, - ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელმა ანტიკურმა სამყარომ იცის, რომ „ვარსკვლავებისაკენ ტანჯვის გზით მიდიან" (რუსთაველი გავიხსენოთ: „მაშა, ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?!", „თუ ლხინი გვწადის უფლისგან, ჭირნიცა შევიწყნაროდეთ!" „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!").

თეოზისის გზა რთულია და წინააღმდეგობრივი, სულის კათარზისი უპირობო ნეტარება არცროდის ყოფილა. უფლის ჯვარცმა-აღდგომის მეტაფიზიკური არსი სწორედ აქაა საძიებო. ჭეშმარიტი ღიმილი ცრემლიანი ღიმილია („როცა სისხლს ცრემლი დაეპკურება, მხოლოდ მაშინ იბადება მშვენიერი ვარდისფერი!" ნოვალისი).

სიყვარული, როგორც გვასწავლიან, ბედნიერების სავალი გზის სიძნელეს გვიიოლებს. მეტიც, ის ერთადერთი გზაა ბედნიერებისაკენ მიმავალი, რამეთუ მისით და მხოლოდ მისით ცხადდება ბედნიერების ტრაგიკულად მშვენიერი არსი, რამდენადაც ადამიანი ღვთით დასაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ორერთიანობაა „ჯილდოსი" და „სასჯელისა" (იმავე დროს -„პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის", - იტყვიან დიდი ქრისტიანი სულები ამგვარ შემთხვევაში).

ჩვენ, - ბევრის (თუ ყველაფრის არა!) მიღების მსურველები, ბევრის გაღების ვერშემძლეებად გვაქცია ყოფამ და გავთითოკაცდით („ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე!" - თუ დაიკვნესებდა მტკივნეული სული, პასუხიც არ აყოვნებდა, - „შენი ჭირი ჩვენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩვენი არსო!"). სიყვარულია სწორედაც, „მე"-ს მოჯადოებულ-მომაკვდინებელი წრიდან თავდახსნის ერთადერთი საშუალება! დაგვვიწყებია, რომ მხოლოდ ის არის ჩვენი, „რასაც გავცემთ", „რასაც - არა, დაკარგულია!" - და... უგამონაკლისოა ეს მცნებაც, ვითარცა ყველა ზნეობრივი მაქსიმა. ამგვარი მსხვერპლად შეწირვა ყველა „წმიდა ტარიგს" ძალუძს, - ყველას, სახედ და ხატად ღვთისად შექმნილ ადამიანთაგან (თუმცა, „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცადმდე", და „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს", რამეთუ „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა!" - და ეს ყველაფერი, უმთავრესად სუბიექტური მიზეზის გამო).

სიყვარული ხომ ერთგულების გარეშე არ არსებობს?!

„ცხოვრება არჩევანიაო", - გვასწავლიან. მართლადაც, გვასწავლიან!

ჩვენი თავისუფალი ნების არჩევანია ორთაგან ერთი გზა: „გზა უფლისაკენ", - მძიმე ჯვარით გასავლელი გზა და ია-ვარდით ფენილი „გზა არსაით", „ბჭენი ჯოჯოხეთისანი" („როცა სოფელში შეხვიდე, სუყველგან ორი გზა არი!", - ხმიანობს გენიალური ქართული მსოფლაღქმა).

შუშანიკი ხორციელია, ქალია, დედაა, ცოლი და დედოფალია!

ვინ, თუ არა მან, უწყის ამქვეყნიურ სიამეთა ხიბლი და, ამდენად, დიახაც დიდად უჭირს მასზე უარი! ადვილია არჩევანი ცუდსა და კარგს შორის, უძნელესია კარგისა და უკეთესის გარჩევაც და არჩევაც, მით უფრო - უმწვავესი „ცაიტნოტით" გამძაფრებული სულის ექსტრემუმის დროს!

„დგება წამი, როცა მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებ, რომ შენი განვლილი (იქნებ გასავლელიც) სიცოცხლე ამ წამისათვის მზადება ყოფილა.

შუშანიკს უყვარს და... სიყვარულმა გადაარჩინა, მისი ღიმილი კარგის (ხორცის) უკეთესისთვის (სულისთვის) გამწირავის ცრემლიანი ღიმილია. ავტორიტეტი ხომ პირველყოვლისა, სულაც საკუთარი თავის წინაშე სჭირდება ადამიანს (რათა შევინარჩუნოთ საუკეთესო დღეები ჩვენი არსებობისა)?!

ვარსქენს ვერ უყვარს („ორ სკამზე ვერავის მოუხერხებია ერთდროულად ჯდომა, რამეთუ „არც ვის ხელეწიფება ორთა უფალთა მონება!"), თორემ, ვის არ სურს იყოს უკეთესი?!

ხორცის სულისათვის ვერგამწირავის ტრაგედია, „სურვილთა კეთილობანი", „საქმეთა კეთილთა თვინიერ" ბოროტ ენერგიად იქცევა და ანგრევს სულის ღვთაებრივ ტაძარს ადამიანში (რის შედეგადაც უფლის ხატად შექმნილი არსება ეშმას წილ-კერძად იქცევა ხოლმე).

„ან - ან!" - ძნელთუძნელესი დილემაა, მეორმოსვლის აპოკალიფსურ ხანაში მყოფი ხორცით დამძიმებული მოკვდავის წინაშე აღმართული!

შუშანიკმა, ღვთით შეძლო და ებოძა კიდევაც „ჯილდო!

ვარსქენმა ვერ შეიძლო და, ულვთობით, უსიყვარულობისათვის განწირული ყოფა ბუმერანგივით მიბრუნებულ სასჯელად ექცა მის ცოდვით დამძიმებულ სულს! ჩვენ?!

„არავის ხელეწიფების ორთა უფალთა მონება!" - ისევ „ირეკს სულში" უფლის ხმა, ირეკლავს ადამის მე ღვთაებრივ სიხარულსა და მწუხარებას...

„აი, მე ვდგავარ თქვენს გულებთან და გიხმობთ - გამიღეთ კარი;

მე ვარ ნათელი, მაგრამ თქვენ ვერ მხედავთ;

მე ვარ გზა, მაგრამ თქვენ არ მომყვებით;

მე ვარ ჭეშმარიტება, მაგრამ თქვენ არ გჯერათ ჩემი;

მე ვარ სიცოცხლე, მაგრამ თქვენ არ მეძებთ;

მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ;

მე ვარ უფალი, მაგრამ თქვენ არ მემორჩილებით;

მე ვარ თქვენი ღმერთი, თქვენ კი არ მევედრებით;

მე თქვენი საუკეთესო მეგობარი ვარ, მაგრამ თქვენ არ გიყვარვართ;

და თუ არ ხართ ბედნიერნი, მე ნულარ დამადანაშაულებთ!"

გვესმის უფლის ხმა! სულიწმიდის ხმა გვესმის, - პატრიარქის ბაგეთაგან გაცხადებული:

„ჩვენი მიწიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს და ამიტომაც, ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და, დღეს თუ ხვალ, მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს".

**ნინო მგალობლიშვილი**,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## მადლობა შორიდან

ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ჩემი ქუთაისის ვარდ-მაისობაც ნისლით იფარება ჩემს მეხსიერებაში. ერთი რამ კი არამც და არამც მავიწყდება. ის კი არადა, შემიძლია თვალი დავხუჭო და ფერებში აღვიდგინო ის წამი, ის მომენტი... სკოლის კლუბში ფილმ „სხვისი შვილების" ჩვენებისას გვერდით მჯდომმა უფროსკლასელმა საჩვენებელი თითი ჩემსკენ რომ მომართა და სხვათა გასაგონად შემეკითხა:

შენც ხომ გყავს დედინაცვალი?

მას შემდეგ შემძულდა ეგ სიტყვა. მგონია, რომ არათუ ჩვენს ცხოვრებას, ლექსიკონის ფურცლებსაც სტკივა ამ სიტყვის არსებობა.

მეფისნაცვალი?! კი, ბატონო!

დედინაცვალი?! არამც და არა!

მაწვნის იმ ერთ ციცქნა შემქმნელს თუ „დედოს" ვეძახით... სხვისი შვილების გამზრდელმა რად „ინაცვლა"?!

ჩემი დედიკო - მანანა შარაბიძეა...

ეს „ტიტული" 21 წლის ქალიშვილმა მას შემდეგ მოირგო, რაც მე და ჩემი ორი ტყუპისცალი, წლინახევრით უფროს ძმასთან ერთად 1 დღისანი დავობლდით.

„დედის ამაგს ხელისგულზე ერბო-კვერცხის შეწვითაც ვერ გადაიხდიო" - ბავშვობაში მასწავლიდნენ. მაშინ არც მიფიქრია მასწავლებლისთვის მეკითხა, სხვისი ობლების გამზრდელ დედასთვის თუ რითი შევძლებდი ამაგის გადახდას.

მას შემდეგ ვფიქრობ იმ დაუსმელ შეკითხვაზე. პასუხი ახლაც არა მაქვს!

მახსენდება, თუ როგორ სათუთად ინახავდა დედა ჩემს პირველკლასელობისას ნაჩუქარ, ჩემივე ხელით დახატულ სარვამარტო მისალოცს (მაშინ 3 მარტი ჯერაც არ არსებობდა), მასთან ერთად კი ხელსახოცზე დაწერილ ჩემს პიონერულ ფიცს, რომ ცხოვრებაში სიგარეტს აღარ გავეკარებოდი.

ვფიქრობ, იმ მისალოცში სათუთად გამოყვანილი სიტყვებიც შევასრულე, რომ მუდამ მეყვარებოდა, და ხელსახოცზე დაწერილი ფიციც.

თუ დედას უღალატებ, მერე სამშობლოს ღალატიც ადვილია!

იქნებ, სამშობლოს ღალატიც დედის ღალატია?! მისი დამღერებული იავნანის უმადურობა?

ამ სურათს, ამ წერილს რომ ახლავს, ლამაზი სახელი აქვს: „ერთი იავნანა სამისათვის". ალბათ ამ იავნანებით, ჩურჩულით წაკითხული ზღაპრებით ხდებოდა ჩვენი დამყნობა - მოყვასის, ჩვენი ლამაზი ქალაქის, სამშობლოს სიყვარულთან, რომ შემდეგ ისეთი ნაყოფით გვეხარა, რომ ამაგი დაგვებრუნებინა.

არა ხელისგულზე „ყიყლიყოს" შეწვით, არამედ მამულის სამსახურში დგომით!

ჩვენი, ტყუპების სახელების საწყისი ასოების ერთობლიობა ჩვენი მშობელი დედის სახელს კრავს: მან-უჩარი, ან-ზორი, ა-ვთანდილი! - მანანა!

და შენს სახელსაც...

მაშინ, როცა ამ სახელებს გვარქმევდნენ, ღმერთის ნებით, უნებლიედ, ჩვენს სახელებში ჩაიდო ის კოდი, რომ მადლიერება შენდამიც გამოგვეხატა, ზუსტად ისე, თანაბრად, როგორც მშობელი დედისადმი.

და სამთავე ძმას საკუთარ სახელებთან ერთად შენი სახელიც გვეტარებინა!




24 წლის დაგვიანებით მშობელი დედისადმი მიძღვნილ წერილში შენს მოსახელეს, ჩვენს მშობელ დედას ისიც ვთხოვე, რომ თუკი ოდესმე შენთან შეხვედრის ბედნიერება ერგება, ხელები დაგიკოცნოს, გულში ჩაგიკრას და დად მიგიღოს, - იმ დიდი გმირობისათვის, დიდი ქალობისათვის, რასაც სამი საშინლად ანცი ბიჭუნას აღზრდა ჰქვია.

რეჟისორი თემურ ჩხეიძე დედას, მედეა ჩახავას ყოველთვის ასე მიმართავდა თუ მოიხსენიებდა: „ქალბატონო დედა!"

ამ ორ სიტყვაში, ერთი შეხედვით არისტოკრატიულ მიმართვაში, მე ერთნაირად ვკითხულობ - სიყვარულს, კრძალვას, მოწიწებას და ფეხისწვერებზე სიარულის სიჩუმეც მესმის.

ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გილოცავ, ქალბატონო დედა!

დე-და!

**მანუჩარ კაჭახიძე**

დედავ - სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ - ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.
ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას", „მზე შინას",
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.
შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
ამ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.
მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბალღივით.
დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო.
თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.
როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული,
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.

**იოსებ ნონეშვილი**

ქართველი გამოცდილი ადვოკატის თანაშემწე -Paralegal

**მთავაზობთ საემიგრაციო მომსახურებას**

მოგემსახურებით სახლიდან გაუსვლელად 7 დღის განმავლობაში ნიუ იორკის, პენსილვანიისა და ნიუ ჯერსის მაშტაბით. ასევე შესაძლებელია ფოსტის, კომპიუტერის საშუალებით ან ოფისში სტუმრობით (სამხრ. ნიუ-ჯერსიში)

☒ ქორწინებაზე დაფუძნებული GREEN CARD-ისთვის საჭირო საბუთების მომზადება;
☒ ქორწინებაზე დაფუძნებული 2-წლიანი პირობითი GREEN CARD-ის 10-წლიანით შეცვლა განქორწინებამდე ან განქორწინების შემდეგ;
☒ მოქალაქეობის მისაღებად საჭირო საბუთების მომზადება;
☒ მომავალ ან კანონით რეგისტრირებულ მეუღლეთათვის ვიზების მისაღებად საჭირო საბუთების მომზადება (K-1; K-3);
☒ მოქალაქეობის ან GREEN CARD-ის მფლობელთათვის საქართველოდან ოჯახის წევრების ჩამოსაყვანად საჭირო საბუთების მომზადება;
☒ სავიზო დოკუმენტაციები;
☒ დახმარება ტურისტულ B1-B2 და სტუდენტურ F1-F2 ვიზების მიღებასა და გაგრძელებაში;
☒ სტატუსის შეცვლა სტუდენტური ვიზის F-1 ფორმიდან ან პირიქით; F-1 ვიზის აღდგენა;
☒ J-1 გაცვლითი პროგრამის ვიზის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
☒ თანამშრომლობა EESL-ის კურსებთან, კოლეჯებთან და ინსტიტუტებთან.

ეთი სალაძე

(848) 448-9290

esaladze@yahoo.com

სიკეთითა და სითბოთი აღსავსე ქალბატონს, მუდამ მეგობრის გვერდით მდგომს, ჩვენს **ელნირი გეგეშიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, იხარე და იბედნიერე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად, მალე დაბრუნებას გისურვებთ მშვიდობიან და აყვავებულ საქართველოში.

**ნინო ხარაბაძე, ნარგიზა ბიბიჩაძე,
მაია სულაქველიძე, ქეთი მანდარია, მანუჩარ კაჭახიძე**

* * *

ძვირფასს ქალბატონს, **ლილი ცქიფურიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, გამძლეობას, ვაჟების კარგად ყოფნას, ოჯახთან გაერთიანებას.

**ნინო ხარაბაძე, მანუჩარ კაჭახიძე, თამაზ ხარაბაძე**

* * *

უსაყვარლეს ქალბატონს, რესტორან „თბილისის" თბილ დიასახლისს, ჩვენს **ხათუნა ბაღათურიას** ვულოცავთ დაბადების დღეს.

სიხარულსა და ბედნიერებას, ულევ წარმატებებს ვუსურვებთ ოჯახსა და საქმიანობაში თავის ულამაზეს ოჯახთან ერთად.

**მეგობრები
გაზეთ „მამულის" რედაქციიდან**

**11 ოქტომბერს, კვირას,
„ქართული რთველი 2009"
ქართული ტრადიციები ამერიკაში გრძელდება**

**ქალაქი ლანკასტერა, პენსილვანია.
ქართული ერთდღიანი ექსკურსია,
გასვლა ბრაიტონიდან,
დილის 7 საათზე**

- მგზავრობა კომფორტული ავტობუსით;
- ამერიკული ვენახის და ღვინის დამუშავების ტექნოლოგიების დათვალიერება;
– სხვადასხვა სახის ღვინის დეგუსტაცია;
– სურვილისამებრ ეკოლოგიურად სუფთა და პროდუქტების შეძენა;
– გექნებათ საშუალება თქვენი ხელით დაკრიფოთ და შეიძინოთ ყურძენი ნებისმიერი რაოდენობით, სურვილისამებრ იქვე დაწუროთ;
– სადილი ღია ცის ქვეშ (ქართული ტრადიციებით: მწვადები, ღვინო და „ქეიფი ვენახის პირას");
- გელოდებათ სიურპრიზი, რომელსაც შეიტყობთ ადგილზე;
– ჩამოსვლა ნიუ-იორკში ღამის 10 საათზე;
- ადგილზე ბილეთები არ გაიყიდება!

www.gelanyusa.com 718-263-9030




## იყიდება



რუსთავში, ქალაქის შემოსასვლელში (თბილისის მიმდებარე ტერიტორია) იყიდება ახლად გამართული, კეთილმოწყობილი სამსართულიანი სახლი მანსარდით (სტუდიო), დარბაზით და ხუთი საძინებელი ოთახით. საერთო ფართი 460 კვ.მ, ფუნქციონირებს იტალიური სისტემის გათბობა და წყლის გამაცხელებელი. მიწის ფართია 4 მეასედი.

ფასი: 240 000 დოლარი

ტელეფონი: 8 24 17 65 85 (რუსთავი);
011-32-10843206 (ბრიუსელი) **ალექსანდრე**

**იყიდება** საბურთალოზე რესტორან „თაგლაურას" თავზე (სააკაძის მოედანთან) ახლად აშენებულ კორპუსში სამოთახიანი (95მ²) ბინა. მშვენიერი ხედით მტკვრის სანაპიროზე. პირველი სართული (საცხოვრებელი მე-3). კომუნიკაციები შეყვანილია. რკინის კარები, ტიხრები, კარ-ფანჯარა გაკეთებულია.

შესაძლებელია განვადება! ფასი 55.000$ ტელეფონი: (895) 56-75-69 ირაკლი

## სამძიმარი

მარინა გიორგაძე, ნათელა მოსიაშვილი, ცირა ცქიფურიშვილი, მარინა გელაშვილი, ნანა ბერაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნარგიზა ბიბიჩაძეს უდიდეს მწუხარებაში მამამთილის

**ოთარ ბიბიჩაძის**

გარდაცვალების გამო.

მანუჩარ კაჭახიძე, ნინო ხარაბაძე, იამზე გოგუაძე, დალი ხოფერია, ნანა ქათამაძე, ციცო სურმავა თანაუგრძნობენ ნარგიზა ბიბიჩაძეს მწუხარებაში მამამთილის

**ოთარ ბიბიჩაძის**

გარდაცვალების გამო.

თამაზ ხარაბაძე, მანუჩარ კაჭახიძე, ლერი ასათიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მხატვარსა და ქუთაისის კოლორიტს, ოთარ ქანდარიას უდიდესს მწუხარებაში, დის, **გულნარა ქანდარიას** გარდაცვალების გამო.




MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

**შემოწირულობა „მამულის" გადარჩენისათვის**

სურვილი მაქვს „მამულის" არსებობისათვის გავიღო —$

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

მაია ნინოშვილის სააგენტო

**GEORGIA-USA TRAVEL**

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214




Discount plus - YOUR STORE!

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn



სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით

# პოლიტიკური თავშესაფარი უკვე შესაძლებელია ქართველებისათვის!*



რჩევები თქვენთვის

## მუდმივი რეზიდენტობის უცნობი ალტერნატივა

ძალიან ხშირად ემიგრანტები ან უახლესი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში განიხილავენ სხვადასხვა გზებს თუ როგორ ჩამოიყვანონ საკუთარი ახლობელი თანამემამულეები აშშ-ში. სამწუხაროდ, ზოგიერთი განიხილავს შტატებში მოხვედრის არალეგალურ გზებსაც. მიუხედავად ამისა, არსებობს ალტერნატივა (რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება), როდესაც პიროვნება შეიძლება შემოვიდეს შეერთებულ შტატებში, როგორც მუდმივი რეზიდენტი სამსახურეობრივი კუთხით. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს შესაძლებლობა მხოლოდ იმ ადამიანებისათვისაა, ვინც უკვე იმყოფება აშშ-ში, თუმცა პატარა ან დიდ კომპანიას შეუძლია დაასპონსოროს პირი, რომელიც იმყოფება შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და იგი უკვე მწვანე ბარათით შემოვა ქვეყანაში.

მცირე ზომის (ერთი ან ორი თანამშრომელი), საშუალო ან დიდ კომპანიას შეუძლია დაასპონსოროს ერთი ან რამოდენიმე პიროვნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუდმივ რეზიდენტობაზე. მაგალითისათვის, მცირე სამშენებლო კომპანიას შეუძლია დაასპონსოროს აშშ-ს გარეთ მყოფი პიროვნებისათვის მუდმივი რეზიდენტობა, თუ ამ პიროვნებას აქვს ორწლიანი გამოცდილება ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა დურგლობა, ავეჯის აწყობა და ა.შ. პიროვნებას არ ჭირდება შესაბამისი განათლება, მხოლოდ ორი წელი სამუშაო გამოცდილება საკმარისია.

სხვა მაგალითები სამსახურისა და შესაბამისი გამოცდილების თანხვედრის არის: სილამაზის სალონი და დალაქი, რესტორანი და შეფ-მზარეული, ინსტალაციაზე მომუშავე კომპანია ხეზე მომუშავე სპეციალისტისათვის ან მარმარილოს დამმონტაჟებლისათვის. აღნიშნული მაგალითები ეხება ორწლიანი გამოცდილების მოთხოვნის პოზიციებს. არის ასევე სხვადასხვა შესაძლებლობები ბიზნეს-მენეჯერებისათვის სხვადასხვა ტიპის მცირე კომპანიებში და უამრავი პროფესიული კომპანიები, რომელთაც შეუძლიათ დაასპონსორონ ხალხი შეერთებულ შტატებს გარეთ. სამუშაოს შესაძლებლობები უამრავია.

ამჟამად, აღნიშნული პროცესი გრძელდება სამი-ოთხი წელიწადი. მიუხედავად ამისა აშშ-ს ემიგრაციით პროცესის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს, მეტადრე ახალი ადმინისტრაციის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში. დამატებით არის კიდევ გარკვეული სარეკლამო მოთხოვნები, რომლებიც გასავლელია აქ აშშ-ში და ეს სტატია მოკლე მიმოხილვაა ამ ოფციის.

პროცესის საუკეთესოდ დახასიათება შეიძლება შემდეგი მაგალითით: ვთქვათ ამერიკული სამშენებლო კომპანიის მფლობელი არის ამერიკაში მცხოვრები პიროვნება. მფლობელი მოდის ჩვენს კომპანიაში და ამბობს, რომ სჭირდება ორი პიროვნება საკუთარ კომპანიაში დასასაქმებლად. მას ჭირდება დურგალი და არ აკმაყოფილებს არცერთი დურგლის კვალიფიკაცია საკუთარ რეგიონში. თუ მან იცის ვინმე საქართველოში დურგალი ორწლიანი შესაბამისი გამოცდილებით, მას უკვე შეუძლია დაიწყოს დასპონსორების პროცესი. თუ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები სწორად და უშეცდომოდ წარიმართა და დაკმაყოფილდა აშშ-ს და დსთ-ს შესაბამისი მოთხოვნები, მაშინ დაახლოებით სამ წელიწადში საქართველოში მცხოვრები პიროვნება შემოვა აშშ-ში მუდმივი რეზიდენტის ბარათით და შეეძლება მოითხოვოს აშშ-ს მოქალაქეობა ოთხი წლისა და ცხრა თვის შემდგომ. თუ კომპანია საკმარისად დიდია, შეუძლია გააკეთოს მულტი-დასპონსორება ადამიანთა ჯგუფისათვის.

ცოტა არ იყოს ღიმილისმომგვრელია, როდესაც აშშ-ში მყოფი ადამიანები იხდიან 20, 40 ათასს დოლარს, რათა მათმა ახლობლებმა არალეგალურად შემოაღწიონ შეერთებულ შტატებში. ეს მაშინ, როდესაც სხვადასხვა გარემოებების არსებობისას არსებობს ლეგალური და გაცილებით იაფი გზა რომ ჩამოიყვანო პიროვნება შეერთებულ შტატებში, როგორც მუდმივი რეზიდენტი.

ინდივიდის დასაქმების კუთხით დასპონსორება ემიგრაციის ხელმისაწვდომი საშუალება იყო ბოლო 30 წლის განმავლობაში. გასაკვირია, რომ ბევრი მცირე კომპანია არ იყენებს ამ შესაძლებლობას, რომელსაც მათ ემიგრაციის კანონი სთავაზობთ.

ANDREW P. JOHNSON, ESQ.

# ენდრიუ ჯონსონი

(ყოფილი სახელმწიფო ადვოკატი, რომელიც ახლა ემიგრანტთა უფლებებს იცავს აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ ბოლო 10 წელი)

**1-212-693-3355**



- უფასო კონსულტაცია;
- ადვოკატის ასისტენტი ყაზახეთიდან, რომელიც საუბრობს რუსულად;
- ჩვენ წარვმართავთ თქვენს ემიგრაციულ საქმეს, დეპორტაციას, Asylum-ის გასაჩივრებას და ოჯახურ პეტიციებს

* **რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უჩნდებათ სამართლიანი საბაბი და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება შეერთებულ შტატებში, განპირობებული იმ საფრთხეებთან, რაც სამშობლოში დაბრუნებულებს ემუქრებათ!**


ასავალ დასავალის პარტნიორობით
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
მამული
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE
MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770
საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
რედაქციაში კომპიუტერული სისტემის ცვლილებების გამო გაზეთის ოქტომბრის ნომერს გამოცემა დააგვიანდება.